

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

მ ე რ ი მ ა ხ ა რ ა ძ ე

საგაზეთო ფელეტონის იუმორის ეპოქალურ-კულტურული
არსი და კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პერსპექტივა
(ქართული და ინგლისური საგაზეთო ფელეტონების მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა – ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოც. პროფესორი თეა შავლაძე

ბათუმი

2018

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

მერი მახარაძე

20.09.2018

შინაარსი

შესავალი -----	
5	
თავი I. ფელეტონი როგორც საგაზეთო სტილის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი და მისი სატირულ - იუმორისტული ბუნება -----	
--11	
1.1. ფელეტონი როგორც მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი და მისი ადგილი მასმედიაში -----	12
1.2. სატირა როგორც იუმორისტული დისკურსის ერთ-ერთი გამოვლინება -----	18
თავი II. ფელეტონის როგორც ჟანრის მახასიათებელი ნიშან-თვისებები -----	
27	
2.1. ფელეტონის რაობა -----	27
2.2. ფელეტონის ჟანრობრივი მახასიათებლები -----	29
2.3. ფელეტონის ძირითადი სახეები -----	34
2.4. ავტორ - ფელეტონისტის როლი ფელეტონში -----	35
თავი III. ფელეტონის ლინგვოსტილისტური და სტრუქტურული თავისებურებები --	

-39	
3.1. ფელეტონის ლინგვოსტილისტური თავისებურებები-----	39
3.2. ფელეტონის სტრუქტურული თავისებურებები -----	46
3.3. ფელეტონის სათაურების სპეციფიკა -----	54
თავი IV. ქართული ფელეტონის გენეზისი და მისი ლინგვოკულტურული ბუნება ---	

-60	
4.1. ქართული ფელეტონის სათავეებთან -----	64
4.2. XX საუკუნის დასაწყისის ქართული ფელეტონები -----	70

4.3. ფელეტონი საბჭოთა საქართველოში -----	73
4.4. XXI საუკუნის ქართული ფელეტონი -----	80
თავი V . ინგლისური ფელეტონის გენეზისი და მისი ლინგვოკულტუროლოგიური ბუნება -----	87
5.1. ინგლისური სატირულ-იუმორისტული ესე – ფრანგული ფელეტონის ექვივალენტი ინგლისში -----	87
5.2. ინგლისური სატირულ-იუმორისტული ესეს წინამორბედები ინგლისში -----	90
5.3. ინგლისური ფელეტონი XIX საუკუნეში -----	93
5.4. ინგლისური ფელეტონი XX საუკუნეში -----	98
5.5. თანამედროვე ინგლისური ფელეტონი -----	101
დასკვნა -----	108
გამოყენებული ლიტერატურა -----	117

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი და მნიშვნელობა განუსაზღვრელია. ყველაფერი, რისთვისაც არსებობს მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება და რასაც იგი აკეთებს, საბოლოოდ მის შინაარსშია განსხეულებული.

პუბლიცისტური ნაწარმოების ფორმასა და შინაარსში მოქცეული ახალი ამბავი ერთგვარი ტექსტური მთლიანობაა, რომელშიც ადვილი შესამჩნევია ერთი მხრივ ლინგვისტური, მეორე მხრივ კულტუროლოგიური ინოვაციები.

ჟურნალისტური ტექსტი ენაში და არა მარტო ენაში მიმდინარე მოვლენების „სარკეა“. თუკი წინათ ამას მხატვრული ლიტერატურა აკეთებდა, დღეს ეს როლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პუბლიცისტურმა ჟანრებმა შეითავსა. სწორედ ცხოვრებაში არსებული კრიზისული სიტუაციები და მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური პროცესები ქმნიან იმ ტექსტობრივ სივრცეს, რომელსაც მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი წარმოაჩენს. თუმცა მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი იმით განსხვავდება წმინდა პუბლიცისტური ჟანრისგან, რომ მასში ერთმანეთს თანხვდება დოკუმენტური და მხატვრულ-ლიტერატურული ელემენტები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დოკუმენტალურობა მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრის ტექსტებში მეორეხარისხოვანია და წინა პლანზე ავტორის მიერ ფაქტის ან მოვლენის სუბიექტური შეფასებაა გამოტანილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრები მიზნად ისახავს ფაქტისადმი შემოქმედებით მიდგომას.

სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემა. ჩვენი ნაშრომის სათაურია „საგაზეთო ფელეტონის იუმორის ეპოქალურ-კულტურული არსი და კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პერსპექტივა“ (ქართული და ინგლისური საგაზეთო

ფელეტონების მასალაზე), რომელიც ეძღვნება საგაზეთო ჟანრობრივი სივრცის ერთ-ერთი ტექსტის ტიპის, ფელეტონის კვლევას, სადაც სწორედ ფაქტისადმი შემოქმედებით მიდგომას ეთმობა უდიდესი ყურადღება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ მეტად მნიშვნელოვანია ასეთი ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა. მიუხედავად ფელეტონის სოლიდარული ასაკისა (იგი უკვე ორ ასეულ წელს ითვლის), შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც ჟანრი საბოლოოდ ჯერ არ გამქრალა და საკმაოდ მიმზიდველი და პერსპექტიულია როგორც მკითხველთათვის, ისე მკვლევართათვის.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ფელეტონის, როგორც მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრის განვითარების ისტორია და გზები ორ განსხვავებულ კულტურაში - ქართულსა და ინგლისურში, ვნახოთ რა და რა სახით/ფორმით პოულობს იგი გამოვლინებას, არის თუ არა ფელეტონთა ენობრივი გაფორმება მსგავსი აღნიშნულ კულტურებში და რა სპეციფიკური ნიშან-თვისებებით გამოირჩევა იგი ქართულ და ინგლისურ კულტურაში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ კონკრეტული ამოცანები:

1. შევისწავლოთ პუბლიცისტური და საგაზეთო სტილის სპეციფიკა;
2. შევისწავლოთ ფელეტონის, როგორც ჟანრის სხვადასხვა სახეები და მათი მახასიათებლები;
3. გამოვიკვლიოთ ქართული და ინგლისური ფელეტონების განვითარების ისტორია და შევისწავლოთ ისინი ლინგვოსტილისტური და სტრუქტურული კუთხით;
4. ცალ-ცალკე ენების ანალიზით მიღებული შედეგების შეპირისპირების მეშვეობით გამოვავლინოთ ქართულ და ინგლისურ ფელეტონებს შორის მსგავსება-განსხვავებანი.

კვლევის ეტაპობრივი ხასიათი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

I ეტაპი: განვიხილოთ რას წარმოადგენს ერთი მხრივ, პუბლიცისტური და საგაზეთო სტილი, ვისაუბროთ ჟურნალისტურ დისკურსზე, რომელიც თანამედროვე ჟურნალისტიკაში სამ კატეგორიად იყოფა: საინფორმაციო, ანალიტიკური და მხატვრულ-პუბლიცისტური. განვსაზღვროთ, რის საფუძველზე მივაკუთვნებთ ჩვენ

ამა თუ იმ ტექსტს კონკრეტულ ჟანრს. შვეისწავლოთ ზოგადად საგაზეთო სტილის მახასიათებლები და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ საგაზეთო კომუნიკაციის ძირითადი ფუნქციების შესწავლას. გამომდინარე იქედან, რომ საგაზეთო ფელეტონი მკითხველის გართობას ისახავს მიზნად, განსაკუთრებული ყურადღება ამ ფუნქციას დავუთმოთ.

II ეტაპი: რადგანაც ფელეტონის ერთ-ერთი დიფერენციალური ნიშანი – მძაფრი სატირა და გროტესკია, აუცილებელია შვეისწავლოთ ზოგადად სატირის ჟანრი, ე.წ. სატირული დისკურსი და იუმორის სხვადასხვა გამოვლინება;

III ეტაპი: შვეისწავლოთ რა სახის ტექსტს წარმოადგენს ფელეტონი და განვსაზღვროთ ის თეორიული ასპექტები, რომლებიც განსაზღვრავენ მას, როგორც ტექსტობრივ ფენომენს. შვეისწავლოთ ფელეტონის ტიპები, ჟანრობრივი მახასიათებლები და მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებები.

IV ეტაპი: გასაანალიზებელი ემპირიული მასალის დახასიათება. დავაკვირდეთ ემპირიულ მასალას და მოვახდინოთ მათი ლინგვისტიკისტური ანალიზი; **ემპირიულ მასალად გამოყენებულია** ქართული ფელეტონის ნიმუშები ჟურნალ-გაზეთებიდან: „ივერია“, „დროება“, „ნიანგი“, „კვირის პალიტრა“ და ინგლისური სატირულ-იუმორისტული ესეები და იუმორისტული სვეტის სტატიები, იგივე ფელეტონები ცნობილი ინგლისური სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთებიდან: Punch (The London Charivari), The Wipers Times, Private Eye, News Thump, News Biscuit, The Daily Squib, The Spoof.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ზემოაღნიშნული თემის სინთეზურ კვლევაში. თანამედროვე საზოგადოებაში ძალზედ აქტუალურია მედიის როლი და მნიშვნელობა. ასევე აღსანიშნავია, რომ შეპირისპირების მაგალითზე ნაკლებად არის გამოკვლეული ისეთი ლინგვისტური ფენომენი როგორცაა ფელეტონი და მისი გამოვლინება ისეთ საინტერესო და მრავალმხრივ სფეროში როგორცაა მედია.

პრობლემის აქტუალურობა. დისერტაცია აღნიშნულ საკითხზე მართლაც საჭირო და აუცილებელია, რადგან ფელეტონთა რიცხვმა ქართულ და ინგლისურენოვან პრესაში საგრძნობლად იკლო, სავარაუდოდ, პრესის

დემოკრატიულობიდან გამომდინარე, თუმცა როგორც ჟანრი იგი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ფელეტონი დღეს უკვე ჩანაცვლა პოპულარულმა სატირულ-იუმორისტულმა შოუებმა და ანიმაციური ფორმის სატირულმა გადაცემებმა. ამდენად, მნიშვნელოვანია ვნახოთ, თუ რა გახდა ფელეტონის პოპულარობის შემცირების მიზეზი, როგორი იყო მისი როლი წარსულში და რა ფუნქცია აკისრია მას დღეს თანამედროვე საზოგადოებაში.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ იგი შეიცავს ენათა ტიპოლოგიისა და კულტუროლოგიისათვის ფასეულ დაკვირვებებსა და დასკვნებს.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა ისაა, რომ იგი საინტერესო მასალას შეიცავს როგორც ზოგად ლინგვისტურ ლექციათა კურსებისთვის, ასე, კურსებისთვის ლინგვისტურ ანგლისტიკაში. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას ინგლისური ენის სტილისტიკის, ფუნქციური სტილისტიკის, ხატოვანების თეორიის, ტექსტის ლინგვისტიკის, დისკურსის, ლინგვოკულტუროლოგიის ლექცია-სემინარებზე. ასევე შესაძლებელია მისი გამოყენება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესშიც. ნაშრომი დააინტერესებს ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიით დაინტერესებულ პირებს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს და ჟურნალისტებს.

გამოყენებული მეთოდოლოგია და მეთოდთა სისტემა. რაკი ჩვენ ვიკვლევთ ჟურნალისტური ტექსტის ერთ-ერთი ტიპს (ფელეტონს) ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში, შეიძლება ვთქვათ, რომ ნაშრომი ინტერდისციპლინარული ხასიათისაა. ანუ, ჩვენ ვახდენთ სამი მეცნიერული დისციპლინის: ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიის, კულტუროლოგიის და ლინგვისტიკის გამოცდილებათა სინთეზირებას, რაც გვამლევს ინტერდისციპლინარულ კვლევას. ნაშრომის ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტაცია ეფუძნება ინტერდისციპლინიზმს, თუმცა ნაშრომში ასევე გამოყენებულია დაკვირვების, აღწერილობითი, სემანტიკური ანალიზის და შეპირისპირებითი მეთოდები.

კვლევის თეორიულ ბაზად გამოვიყენეთ: ქართველი (გ. კვარაცხელიას, ი. ჩხობამის, ს. ტაბაღუას, თ. გოგოლაშვილის, გ. შამილიშვილის), რუსი (ე. ჟუბრინას, ო.

ციგანოვის, ა. ისტომინას, ს. ლოგაჩევის, დ. ზასლავსკის, ი. გალპერინის), და უცხოელი მკვლევრების (პ. სიმფსონის, რ. სეპის, კ. დიანინას, მ. პეტკუს, რ. მენკოფის, ა. პიეტილას და სხვათა) ნაშრომები.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. იგი შედგება შესავლის, ხუთი თავის და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევო პრობლემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. აქვე განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტი.

ნაშრომის პირველ თავში „ფელეტონი როგორც საგაზეთო სტილის მხატვრულ - პუბლიცისტური ჟანრი და მისი სატირულ-იუმორისტული ბუნება“ მსჯელობა მიმდინარეობს იმაზე, თუ რომელ დისკურსს მივაკუთვნოთ ფელეტონი – პოლიტიკურ, მასობრივ-კომუნიკაციურ თუ იუმორისტულ დისკურსს. ასევე ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა არის ფელეტონის კოგნიტური ბაზა, რომელ ფუნქციურ სტილს – პუბლიცისტურს თუ საგაზეთოს შეიძლება მივაკუთვნოთ იგი. მოცემულ თავში ნათქვამია, რომ ფელეტონი სამივე სახის დისკურსს აერთიანებს თავის თავში და იგი საგაზეთო სტილის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრია, რომელშიც მხატვრულობა და პუბლიცისტურობა ერთმანეთს არის გადაჯაჭვული. რაც შეეხება მის კოგნიტურ ბაზას, მისი კოგნიტური ბაზა „სამყაროს სატირული სურათია“. რაკი ფელეტონი სატირასა და იუმორს ეყრდნობა, საჭიროდ ჩავთვალეთ ერთი ქვეთავი სატირის სახეების და მისი ნიშან-თვისებების შესწავლისთვის დაგვეთმო.

ნაშრომის მეორე თავში „ფელეტონის როგორც ჟანრის მახასიათებელი ნიშან-თვისებები“ საუბარია ტერმინ „ფელეტონი“-ს სხვადასხვაგვარ გაგებაზე, ფელეტონის ძირითად სახეებზე და მის ჟანრობრივ მახასიათებლებზე, ავტორ ფელეტონისტის როლზე ფელეტონში.

ნაშრომის მესამე თავში „ფელეტონის ლინგვისტიკური და სტრუქტურული თავისებურებები“ კვლევა მიმდინარეობს ორი კუთხით. ერთი მხრივ საუბარია ფელეტონის ექსპრესიულობაზე, მისთვის დამახასიათებელ სტილისტიკურ

ხერხებზე. მაგალითების ანალიზის საფუძველზე დასახელებულია ის სტილისტიკური ხერხები (სატირა, ირონია, გროტესკი, სარკაზმი, სატირული მეტაფორები, იუმორით გაჟღენთილი შედარებები), რომლებიც ქმნის ფელეტონის ხატოვანებას. მეორე მხრივ შესწავლილია ფელეტონის სტრუქტურული თავისებურებები, დანახულია მისი მსგავსება იუმორისტულ მოთხრობასთან და ესესთან/ნარკვევთან; საუბარია ფელეტონის ჰიბრიდულ ფორმებზე. მოცემულ თავში ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი ფელეტონის სათაურთა კვლევას.

ნაშრომის მეოთხე თავი „ქართული ფელეტონის გენეზისი და მისი ლინგვოკულტურული ბუნება“ დიაქრონულ ჭრილში შეისწავლის ქართულ ფელეტონს, წარმოაჩენს სხვადასხვა დროის ფელეტონის თემატურ, შინაარსობრივ და სტრუქტურულ სახესხვაობებს.

ნაშრომის მოხუთე თავში „ინგლისური ფელეტონის გენეზისი და მისი ლინგვოკულტურული ბუნება“ საუბარია ინგლისურში ტერმინის „ფელეტონი“ არ არსებობაზე და აღნიშნული ტერმინის სხვა ტერმინებით (სატირულ - იუმორისტული ესე, იუმორისტული სვეტის სტატია) ჩანაცვლებაზე; დიაქრონულ ჭრილში შესწავლილია ინგლისური ფელეტონის განვითარების გზა, მისი თემატური, შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

დასკვნით ნაწილში ასახულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

თავი I. ფელეტონი როგორც საგაზეთო სტილის მხატვრულ - პუბლიცისტური ჟანრი და მისი სატირულ - იუმორისტული ბუნება

დღეს არავინ დაობს, რომ ფელეტონი თავის თავში სამი სახის დისკურსს აერთიანებს: 1) ბაზისური ინტენციის მიხედვით იგი პოლიტიკური დისკურსის ატონალური ჟანრია; 2) მიზნად ისახავს რა მასების ინფორმირებას და დარწმუნებას, იგი მასობრივ-კომუნიკაციურ დისკურსს მიეკუთვნება; 3) მკითხველზე ზემოქმედების თვალსაზრისით კომიკურ/იუმორისტულ დისკურსს წარმოადგენს.

შევეცდებით, დავასაბუთოთ ზემოთ წარმოდგენილი დებულება. პირველი – რატომ უნდა მივაკუთვნოთ იგი პოლიტიკურ დისკურსს? ნუთუ ყველა ფელეტონი პოლიტიკურ საფუძველს ატარებს? რათქმაუნდა, არა. ფელეტონი სხვადასხვა საკითხს შეიძლება ეხებოდეს, იქნება ეს პოლიტიკურ - ეკონომიკური, სოციალური თუ ზოგადსაკაცობრიო საკითხები. თუმცა ფელეტონების დიდ ნაწილში მაინც პოლიტიკური მოვლენის თუ სიტუაციის სატირული ინტერპრეტაცია ხდება. მის კოგნიტურ ბაზას წარმოადგენს „სამყაროს სატირული სურათი“, რომლის სტრუქტურული ელემენტებია: პოლიტიკური სუბიექტები, პოლიტიკოსთა ქმედებები და მათი ქმედებების შედეგები.

რატომ წარმოადგენს ფელეტონი კომიკური დისკურსის ჟანრს? იუმორი ხშირად კრიტიკის საფუძველია, ანუ, მისი საშუალებით შეიძლება შეფასების გაკეთება და ნაკლის გამოვლენა. ჟელტუხინას მიხედვით, ფელეტონის კომიკური ინტენციის მიზანია: 1) სიცილის რეაქციის გამოწვევა, რათა იდეოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს მკითხველზე. 2) აგიტაციის ან პროპაგანდის განხორციელება მკითხველის მიმართ (მოწოდება, დარწმუნება, ჩაგონება, რაიმე გრძნობის გამოწვევა, ქმედებისკენ მოწოდება) და ა.შ. 3) მკითხველის თვალში ობიექტის დისკრედიტაცია (Желтухина, 2003 :357).

ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფელეტონში დაცინვა იარაღია, იუმორი კი, ამ იარაღის ნიშან-თვისება. როგორც გ. შამილიშვილი წერს სტატიაში „ხუმრობა, იუმორი, სატირა – ეს ცხოვრებაა“: „ფელეტონის საშუალებით მწერალმა უდიდესი ამოცანა უნდა დაისახოს, შექმნას კომიკური სიტუაცია. ისეთ მდგომარეობაში

ჩააყენოს თავისი გმირები, რომ გამოჩნდეს მათი სასაცილო არსი. ფელეტონი არის ერთ-ერთი ყველაზე მეტრძოლი ჟანრი, რომელიც ემსახურება ნაკლოვანებათა მხილება-ლიკვიდაციას..... ფელეტონში კომპრომისი არ არსებობს. დასაგმობს გმობს, სათანადო ორგანიზაციასაც ზომებს აღებინებს. ყოველივე ამით კი საზოგადოების პროგრესს, წინსვლას უწყობს ხელს (შამილიშვილი, 2010 :186).

ფელეტონის „ირონიული ქვეტექსტი“ მკითხველის მიმხრობის ყველაზე ძლიერი საშუალებაა. სწორედ ქვეტექსტმა უნდა გააძლიეროს მისი შინაარსი და გაზარდოს მკითხველზე ზემოქმედების ძალა.

როგორც მსჯელობიდან ჩანს, ფელეტონის საშუალებით ერთი მხრივ, ხდება მკითხველის ინფორმირება მიმდინარე მოვლენებით, მეორე მხრივ ხდება მკითხველის მსოფლხედვის ფორმირება, მისი აზრის შეცვლა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ფელეტონის საშუალებით ფელეტონისტი სოლიდარობას უცხადებს საზოგადოებას, ეხმარება რა მკითხველს ამა თუ იმ სუბიექტის ან მოვლენის დიფერენცირებაში და სწორი ხედვის ჩამოყალიბებაში.

1.1. ფელეტონი როგორც მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი და მისი ადგილი მასმედიაში

როდესაც საქმე ეხება ისეთ ტექსტობრივ ფენომენს როგორც ფელეტონია, ძნელია გვერდი ავუაროთ ფუნქციონალურ სტილზე საუბარს, კერძოდ, თუ რომელ ფუნქციურ სტილს უნდა მივაკუთვნოთ იგი – პუბლიცისტურს თუ საგაზეთოს. ამიტომ საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვსაზღვროთ რას წარმოადგენს ფუნქციური სტილი, რა და რა სახის ფუნქციური სტილი არსებობს, რა მახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა როგორც პუბლიცისტური, ისე საგაზეთო სტილი და სად არის ფელეტონის ადგილი.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ფუნქციური სტილი: მეცნიერული, ოფიციალური თუ პუბლიცისტური ენის სისტემას წარმოადგენს. თითოეულ მათგანს სპეციფიკური ლექსიკური, სინტაქსური და ფონეტიკური ნიშნები გააჩნია. როგორც ი. არნოლდი წერს: „ფუნქციური სტილების წარმოქმნა და არსებობა განპირობებულია

საზოგადოების სფეროთა განსხვავებული სპეციფიკით“ (Арнольд,1981 :245). ფუნქციური სტილის დაახლოებით მსგავს განმარტებას იძლევა ვ. კუზნეცოვი: „ფუნქციური სტილები ენის ნაირსახეობებია, რომლებიც საზოგადოების განსაზღვრულ სფეროს შეესაბამებიან“ (Кузнецов, 1991 :13). ცნობილი რუსი მკვლევარი ი. გალპერინი ფუნქციურ სტილს სხვაგვარად რეგისტრს და დისკურსსაც უწოდებს და მას შემდეგნაირად განსაზღვრავს: Functional Style is a system of interrelated language means serving a definite aim in communication. It is the coordination of the language means and stylistic devices which shapes the distinctive features of each style and not the language means or stylistic devices themselves (Galperin, 1977 :217) („ფუნქციური სტილი წარმოადგენს ენობრივ საშუალებათა სისტემას, რომელიც კონკრეტულ მიზანს ემსახურება. თითოეულ ფუნქციურ სტილს მისთვის დამახასიათებელი ენობრივი საშუალებები და სტილისტური ხერხები ახასიათებს“ – მ.მ)

ი. გალპერინის თანახმად ხუთი ფუნქციური სტილი ანუ ტექსტის ხუთი ტიპი არსებობს:

1. ბელეტრისტული სტილი – ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქცია;
2. პუბლიცისტური სტილი – საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ფუნქცია;
3. საგაზეთო სტილი – ინფორმაციული და შემფასებლური ფუნქცია;
4. სამეცნიერო სტილი – მტკიცების ფუნქცია;
5. ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი – ერთ საქმეში ორი, ერთმანეთზე დაპირისპირებული ჯგუფის პირობათა დადგენის ფუნქცია.

ნებისმიერი ფუნქციური სტილი შედგება უფრო მცირე დონის ერთეულებისგან: ქვესტილებისგან და ჟანრებისგან.

პუბლიცისტური სტილი დამოუკიდებელ ფუნქციურ სტილად არსებობას მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებს და მასში შემდეგი ქვესტილები არის გაერთიანებული: ორატორული სტილი, ესეს სტილი და საგაზეთო სტატიების სტილი.

რაც შეეხება პუბლიცისტური სტილის მიზანს, მისი მიზანია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, დააჯეროს მკითხველი თუ მსმენელი (საჯარო

გამოსვლის შემთხვევაში), რომ მწერლის ან გამომსვლელის აზრია ერთადერთი ჭეშმარიტი აზრი და იგი გაზიარებულ უნდა იქნას.

რუსი სტილისტიკოსი ი. გალპერინი მიიჩნევს, რომ პუბლიცისტურ სტილს საერთო აქვს ერთი მხრივ სამეცნიერო სტილთან, მეორე მხრივ ემოციურ პროზასთან, ანუ ბელეტრისტულ სტილთან. ის, რაც პუბლიცისტურ სტილს სამეცნიერო სტილს ამსგავსებს არის: ბმული, ლოგიკურად მწყობრი წინადადებები, მაკავშირებლების მთელი რიგი და ტექსტის აბზაცებად სწორი დაყოფა. რაც შეეხება პუბლიცისტური სტილის ემოციურ პროზასთან მსგავსებას, აქ შემდეგი საკითხებია გასათვალისწინებელი. ისევე როგორც პროზაში, აქაც ადგილი აქვს ემოციური ლექსიკის გამოყენებას. პუბლიცისტიკაშიც შეხვედებით სტილისტიკურ ხერხებს (მაგრამ არა ახალს და ავტორისეულს, არამედ უკვე ცნობილს და „გაცვეთილს“) და კოლოკვიალურ ლექსიკას.

როგორც ჩანს მსგავსება არსებობს პუბლიცისტურ და საგაზეთო სტილებს შორისაც. საგაზეთო და პუბლიცისტური სტილის მსგავსებაზე წერს ს. ტაბალუა თავის დისერტაციაში „მედიაჟანრი Glosse როგორც ლიტერატურული ფენომენი“: „თავისი ამოცანა რომ წარმატებით შეასრულოს, საგაზეთო და პუბლიცისტურ სტილს უნდა გააჩნდეს დარწმუნების როგორც ობიექტური, ასევე ემოციური ძალა“ (ტაბალუა, 2010 :26). აღნიშნული მოსაზრება მიუთითებს საგაზეთო და პუბლიცისტური სტილების მსგავს ფუნქციაზე – მასების დარწმუნების ფუნქციაზე. მართალია საგაზეთო/ჟურნალისტურ ფუნქციურ სტილს ორი ძირითადი ფუნქცია, კერძოდ შეტყობინების და ზემოქმედების ფუნქცია გააჩნია, მაგრამ მათ შორის წამყვანი მაინც აუდიტორიაზე ზემოქმედება და ზეგავლენის მოხდენაა. ნებისმიერი საგაზეთო ტექსტი აწვდის მკითხველს ინფორმაციას და ამავე დროს ზეგავლენასაც ახდენს მასზე. ამგვარად, საგაზეთო სტილის გამორჩეული ნიშნებია: 1) სუბიექტის როლი ანუ ტექსტის ავტორის როლი; 2) ენობრივი საშუალებების სოციალური ღირებულებანი.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ ვახსენეთ პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთ ქვესტილად მოიაზრებს ი. გალპერინი ჟურნალისტურ/საგაზეთო სტატიებს, რაც გვადლევს იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ ძნელია ამ ორ სტილს შორის ზღვარის

გავლება. იმისთვის, რომ უკეთ გავერკვეთ, სად არის ფელეტონის ადგილი, რომელ ფუნქციურ სტილს მიეკუთვნება იგი, საჭიროა, საგაზეთო სტილი და მისი ფუნქციები მოკლედ დავახასიათოთ.

გაზეთი, როგორც მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა, კომუნიკაციის ერთობ საინტერესო და ორიგინალურ ფორმას წარმოადგენს, სადაც კომუნიკანტებს (ადრესანტს და ადრესატს) შორის არ არის უშუალო კავშირი, იგი ფაქტობრივად დისტანტური ტიპისაა, ე. ი. ინფორმაციის გადამცემი (ადრესანტი) აქტიურია, მიმღები (ადრესატი) კი – პასიური (გოგოლაშვილი, 2006 :3).

საგაზეთო სტილის ფუნქციურ მახასიათებლად ი. გალპერინი მიიჩნევს ინფორმაციის მიწოდების და შეფასების ფუნქციას, რაც არ იძლევა ამ სტილის ადეკვატურ განსაზღვრებას.

საგაზეთო სტილის ფუნქციების შესახებ მკვლევრები სხვადასხვა აზრისა არიან:

ე. პ. პროხოროვი წიგნში «В ведение в теорию журналистики» („შესავალი ჟურნალისტიკის თეორიაში“) საგაზეთო სტილის ექვს ფუნქციას გამოყოფს:

- ა) კომუნიკაციური;
- ბ) იდეოლოგიური, ანუ სოციალურად ორიენტირებული ფუნქცია, როცა ამბის გადმოცემისას გაზეთი ცდილობს მოახდინოს გავლენა მასათა ცნობიერებასა და ღირებულებებზე;
- გ) უშუალოდ-მარგანიზებული (იგი გულისხმობს, როგორც ჟურნალისტიკის ვალდებულებებსა და მოვალეობებს, ისე ინფორმაციის ხარისხიანად მიწოდებას);
- დ) კულტურულ-ჩამომყალიბებელი, ანუ ფუნქცია, რომელიც საზოგადოების წევრების კულტურის, მათ შორის ქცევის ეტიკეტის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს;
- ე) სარეკლამო-მაინფორმირებელი;
- ვ) რეკრეატიული, ანუ გართობის, დამაბულობის მოხსნის ფუნქცია (Прохоров, 2002).

გ. კვარაცხელია წიგნში «ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა» საგაზეთო კომუნიკაციის სამ ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას (კვარაცხელია, 1990): ა) საინფორმაციო, ბ) აგიტაცია-პროპაგანდის, გ) ზემოქმედების, ანუ ექსპრესიული.

მ. ორკოდაშვილი კი საგაზეთო კომუნიკაციის 16 ფუნქციას გამოყოფს: ინფორმაციული, პროპაგანდისტულ-აგიტაციური, სარეკლამო, ანალიზურ-ზემოქმედებითი, სოციალურ-შემფასებლური, კრიტიკა-თვითკრიტიკის, პრობლემის დასმის, აპელაციურ-შემაგულიანებელი, მომწოდებლური, ლოზუნგურ-დეკლარაციული, ფასეულობების ჩამოყალიბების, იდეების ჩამოყალიბების, საგანმანათლებლო, სამყაროს ენობრივი კლასიფიკაციის, ოპერატიულ-ეფექტური ასახვის, ისტორიის მანძილზე თაობებისათვის გადასაცემი (ორკოდაშვილი, 1999).

ჩვენ ვიზიარებთ თ. გოგოლაშვილის მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ გაზეთს სამი ძირითადი ფუნქცია აქვს: **ინფორმაციული** (ეს გაზეთის უმთავრესი ფუნქციაა და გულისხმობს ადრესატისთვის ახალი ამბის ოპერატიულად და ლაკონური, კონდენსირებული სახით მიწოდებას), **ზემოქმედების** (ამ ფუნქციის საშუალებით ხდება მკითხველის ცნობიერებაზე ზემოქმედება, მისი ქცევის მართვა, რაც როგორც იმპლიციტური, ისე ექსპლიციტური ლინგვისტური საშუალებების გამოყენებით მიიღწევა) და **გართობის** (იგი მკითხველის მიზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა).

თ. გოგოლაშვილი გართობის ტიპებს ორ ქვეჯგუფად ჰყოფს. ესენია: 1. **შემეცნებით-მაინფორმირებელი**, სადაც გაერთიანდებულია: კროსვორდი, ჰოროსკოპი, სპორტი, ფსიქოლოგიური ტესტი, სატელევიზიო პროგრამის ანონსი. 2. **გართობის: ანეკდოტი, ფელეტონი.**

საგაზეთო სტილი ჟანრთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტრადიციულად გამოყოფენ: საინფორმაციო-საგაზეთო, ანალიტიკურ-საგაზეთო და მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრებს.

მკვლევარი ი. კადიკოვა იძლევა საგაზეთო ჟანრთა კლასიფიკაციას და შემდეგნაირად გვიხასიათებს თითოეულ მათგანს:

ინფორმაციული ჟანრები: ქრონიკა, ჩანახატი, ინტერვიუ, ანგარიში, მგზავრის ჩანაწერები, მიმოხილვა, რეპორტაჟი; ინფორმაციულ ჟანრებში მთავარია ახალი მოვლენის ასახვა, ის თუ რა მოცულობით, რა გზით გადმოცემენ ამ ახალ მოვლენას.

საინფორმაციო-საგაზეთო ჟანრებში ძირითად სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას შეტყობინება წარმოადგენს.

ანალიტიკურ ჟანრებს მიეკუთვნება: კორესპონდენცია, სტატია, მიმოხილვა, რეცენზია. ანალიტიკური ჟანრები იძლევა მოვლენების, ფაქტების ფართოდ გაშუქების შესაძლებლობას. ანალიტიკური ჟანრებისთვის დამახასიათებელია: ანალიზის სიღრმე, განზოგადების სიფართოვე, ფაქტების შეფასებათა ობიექტურობა. ანალიტიკური ჟანრებისთვის წამყვან სამეტყველო კომპოზიციურ ფორმას მსჯელობა წარმოადგენს.

მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრს წარმოადგენს: ნარკვევი, ფელეტონი, პამფლეტი. მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრები სინთეზური ჟანრებია, რაკი მათში მხატვრულობა და პუბლიცისტურობა ისეა შერწყმული, რომ ძნელია დამტკიცება რომელი მათგანია უმთავრესი. ისინი ლიტერატურის და პუბლიცისტიკის საზღვარზე დგანან, ორივეს ელემენტებს ითვისებენ და ქმნიან საკუთარ მრავალფეროვან ჟანრობრივ სივრცეს. მხატვრულობა რეალობის ხატოვანი ასახვაა, ხოლო პუბლიცისტურობა ხასიათდება თხრობის დოკუმენტური ტენდენციურობით. თუმცა ამ ორიდან პირველადი მაინც ავტორისეული აზრია კონკრეტულ ფაქტზე. ავტორის შეფასების გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება ისეთი სტილისტური ხერხები, როგორცაა: სატირა, იუმორი, გროტესკი (Кадыкова, 2011).

როგორც ვხედავთ, ფელეტონი საგაზეთო სტილის განუყოფელი ნაწილია. ის გახლავთ საგაზეთო სტილის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრებიდან ერთ-ერთი გამორჩეული, რომელშიც მხატვრულობა და პუბლიცისტურობა ერთმანეთს გადაჯაჭვულია და რომელიც სატირული დისკურსის შესანიშნავი გამოვლინებაა.

1.2. სატირა როგორც იუმორისტული დისკურსის ერთ-ერთი გამოვლინება

ჯორჯ ბერნარდ შოს ერთგან უთქვამს: “There is no more dangerous symptom than a temptation to write about wit and humour” („არ არსებობს იმაზე მეტი სახიფათო რამ, ვიდრე ცდუნება – დაწერო იუმორისა და მახვილგონიერების შესახებ – თარგმანი ჩვენია). აღნიშნული ციტატა გვეუბნება, თუ რამდენად ძნელია სატირულ-იუმორისტული ნაწარმოების შექმნა. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, მწერლები მაინც არ უშინდებიან იუმორს და სატირულ-იუმორისტულ ვერბალურ ტექსტებს ყოველდღიურად ვხვდებით როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე მასმედიაშიც (სატირულ-იუმორისტული საგაზეთო სტატიების, ფელეტონების, გრაფიკული სახით გადმოცემული იუმორის ანუ კარიკატურების სახით, ანიმაციური ფორმის სატირული გადაცემების თუ სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო შოუების სახით). ყველაფერი ეს იმის დასტურია, რომ ადამიანს იუმორის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.

იუმორი დაკავშირებულია ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობასთან და გულისხმობს, რომ პიროვნებას შეუძლია მოვლენაში, ფაქტში დაინახოს მისი სასაცილო, კომიკური, მხიარული მხარე. იუმორის მიზანია, გააცინოს ან გაართოს ადამიანი. თუმცა, ზოგჯერ იუმორის საშუალებით შესაძლებელია გამოხვიდე უხერხული სიტუაციიდან, ანუ თავი დააღწიო არასასურველ ვითარებას.

ცნობილია, რომ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას შეუძლია იუმორის აღქმა და გაგება, ანუ მათ ეცინებათ, როდესაც სასაცილო რამეს ამბობენ. ასეთ ადამიანებზე ამბობენ, რომ მათ იუმორის გრძნობა აქვთ. გაცილებით ცოტაა ადამიანი, რომლებსაც შეუძლიათ ამბავი იუმორისტულად გადმოსცენ, სხვები გაამხიარულონ. თუმცა იუმორი, გარკვეულწილად, დაკავშირებულია გემოვნებასთან, რადგან რაც ერთ ადამიანს მოსწონს და გასართობად და სასაცილოდ მიაჩნია, მეორე ადამიანისათვის ზოგჯერ უცნაური და მიუღებელი შეიძლება იყოს.

იუმორის აღქმასა და გაგებაზე ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ადამიანის ასაკი, განათლება, რელიგია, კულტურა, სოციალური კუთვნილება, გეოგრაფიული გარემო და ინტელექტი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გარემო, კონტექსტი, რომელშიც ყვებიან სასაცილო ანუ იუმორისტულ ამბავს. ბუნებრივია, რაც ერთ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება დიმილის მომგვრელი იყოს, სხვა სიტუაციაში შეიძლება შეუფერებელი იყოს სათქმელადაც კი (მაგალითად, ანეკდოტის მოყოლა მგლოვიარე ადამიანისათვის). იუმორის განსხვავებული ფორმები არსებობს: ირონია, პაროდია, სატირა, ანეკდოტი, ხუმრობა, კალამბური და სხვა.

იუმორისადმი ინტერესი საუკუნეებს ითვლის. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან ამ ფენომენის ნიშან-თვისებად მიიჩნევდნენ შეუთავსებლობას თქმულსა და ნაგულისხმევს შორის, ანუ სხვა სიტყვებით, მის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ დონეებს შორის. თომას შულცი, რომელსაც ეკუთვნის იუმორის აღქმის სპეციფიკის შესწავლის ერთ-ერთი წარმატებული ცდა, შეუთავსებლობას ამ ორ პლანს შორის უწოდებს კონფლიქტს მოსალოდნელსა და რეალობას შორის (რუსეიშვილი, 2008 :255).

მკვლევარი პ. სიმფსონი წიგნში “On the Discourse of Satire” („სატირული დისკურსის შესახებ“) იუმორის სხვადასხვა ფუნქციაზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. ეს ფუნქციებია:

- 1) it relieves embarrassment;
- 2) it signals aggression;
- 3) it displays courage in adversity;
- 4) it serves as a coping mechanism;
- 5) it functions as an instrument of social influence;
- 6) it rehearses and redesigns the categories and concepts of serious discourse.

- 1) ხსნის დამაბულობას და ანეიტრალებს უხერხულ სიტუაციას;
- 2) მიუთითებს აგრესიაზე;
- 3) გვიჩვენებს „ჭირსა შიგან“ გაუტეხლობას;
- 4) ასრულებს სიძნელის დაძლევის მექანიზმის დანიშნულებას;
- 5) გვევლინება საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის იარაღად;

6) გარდაქმნის სერიოზული დისკურსის კატეგორიებსა და ცნებებს (თარგმანი ჩვენია).

როგორც ვხედავთ, იუმორი მრავალფეროვანი ფუნქციებით ხასიათდება. ამიტომაც უთქვამს მკვლევარ ჯ. მილერს: “a very difficult subject to talk about, and it is an even more difficult subject to be scientific about” (Miller, 1988:6) („იუმორზე ძნელია ლაპარაკი, მით უფრო მისი სამეცნიერო თვალსაზრისით კვლევა“ – თარგმანი ჩვენია). მაგრამ მიუხედავად სიძნელეებისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში იუმორი ძალიან კარგადაა შესწავლილი. მას შეისწავლიდნენ როგორც ლინგვისტები, ისე სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები და ფსიქოთერაპევტებიც კი. მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება პერიოდი, როცა იუმორისტული დისკურსის მიმართ მკვლევართა ინტერესი იზრდება. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მანამდე ვერბალური იუმორით ლინგვისტები არ ინტერესდებოდნენ. ვერბალური იუმორი ყოველთვის იყო ინტერესის საგანი სხვადასხვა მიმართულების მეცნიერთათვის, მაგრამ მათი ინტერესი ვერბალური იუმორის მიმართ სხვადასხვა სახის მოკლე ფორმის სტატიებსა თუ ნარკვევებში ვლინდებოდა (ბრაუნი, ჰელერი, ჰოკეტი). სამოცდაათიან წლებში გამოჩნდა საქსის ეთნომეთოდოლოგიური ნაშრომი, რომელშიც შესწავლილი იყო კალამბურის იუმორისტული ბუნება. ათი წლის შემდეგ კი ნაშის და რასკინის მონოგრაფიები, რომლებშიც იუმორისტული დისკურსი აკადემიურ დონეზე იყო შესწავლილი. იუმორის ენობრივ სტრუქტურას და მის ძირითად ფუნქციებს შეისწავლიდნენ ნორიკი, ელეგზენდერი, რედფერნი, ატარდო და სხვანი. იუმორის შესახებ კვლევები მრავალფეროვანია, რაც იმის დასტურია, რომ იგი სიღრმისეულად არის შესწავლილი როგორც ლიტერატურათმცოდნეების, ისე ლინგვისტების, სტილისტიკოსების და იუმოროლოგების მიერ.

ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ იუმორის ძირითადი ფუნქციები და გვსურს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მკვლევართა აზრიც გავითვალისწინოთ.

მკვლევარი ზივი იუმორისტულ დისკურსსა და ცოლ-ქმრულ ურთიერთობას შორის ხედავს მსგავსებას და აქედან გამომდინარე აყალიბებს იუმორის ხუთ ძირითად ფუნქციას: აგრესიული, სექსუალური, სოციალური, თავდაცვითი და ინტელექტუალური (ზივი, 1988:225). ზივი იქვე მიუთითებს, რომ იუმორის სხვადასხვა სახეს სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ერთადერთი სატირა გახლავთ იუმორის

ის სახე, რომელშიც სამი სხვადასხვა ფუნქციაა (აგრესიული, სოციალური, ინტელექტუალური) სინთეზირებული. აი რას წერს ის სატირის ძირითად ფუნქციებზე: “**The aggressive function** always ridicules or makes fun of a victim, allowing the non-victim a feeling of superiority. **The social function** can serve to reinforce intra and inter group bonds, strengthening the cohesiveness of interpersonal relations. **The intellectual function** which is based on absurdities, word play and nonsense, provides pleasure in “the temporary freedom from strict rules and rationality (Ziv, 1988: 225) („სატირის აგრესიული ფუნქცია გამოიხატება „მსხვერპლზე“ დაცინვით. მისი საშუალებით სატირიოსი საკუთარ უპირატესობას წარმოაჩენს დასაცინ ობიექტზე. სოციალური ფუნქციის საშუალებით ინტრა (შიგა) და ინტერ (ურთიერთშორისი) ჯგუფები უკავშირდება ერთმანეთს. ინტელექტუალური ფუნქცია კი დაფუძნებულია აბსურდზე, სიტყვათ თამაშზე და მკითხველს სიამოვნებას გვრის” – თარგმანი ჩვენია).

მართალია, სატირა მრავალფუნქციურია, მაგრამ იგი ძირითადად და ყველაზე კარგად მაინც აგრესიულ ფუნქციას ასრულებს, ირჩევს რა სუბიექტს ან საგანს დასაცინად და იერიშის მისატანად.

კიდევ ერთი მკვლევრის აზრს მოვიყვანთ სატირისა და იუმორის ფუნქციების შესწავლის მიზნით. მკვლევარ ბასუს თანახმად, იუმორს და მათ შორის სატირასაც, სამი ფუნქცია აქვს: “lubrication,” (გაქონვა/გაზეთვა) “friction,” (უთანხმოების, კონფლიქტის გამომწვევი) “glue” (შემკვრელი/ შემაკავშირებელი) (Basu, 1999 :391). იუმორს შესწევს უნარი საზოგადოების გაერთიანების და იმ ყინულის გაღობის, რომელიც თითოეულ საზოგადოებაშია. ბასუ თვლის, რომ შესაძლებელია იუმორის როგორც „a fine – grained social sandpaper” აღქმა, რადგანაც იუმორის დროს გულწრფელობა ნაკლებად საშიშია და ამასთანავე იუმორი შეიცავს ნაკლებ კრიტიკას. მესამე, იუმორი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც „social glue” (სოციალური მაკავშირებელი) გამომდინარე იქიდან, რომ იგი იწვევს მოსვენებას და გართობას (Basu, 1999 :390).

მართალია, იუმორის შესწავლას მკვლევარები დიდ ყურადღებას უთმობენ, მაგრამ მსგავსი რამის თქმა სატირის შესახებ შეუძლებელია. სატირა კარგად მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობაშია ნაკვლევია ლიტერატურული კრიტიკოსების მიერ, რაც

შეეხება ლინგვისტების და იუმოროლოგების ინტერესს იუმორის ამ განსაკუთრებული სახის მიმართ, შეიძლება ითქვას მინიმალურია. არადა, სატირა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების, ზეპირი თუ წერილობითი ინტერაქციის განუყოფელი ნაწილია.

ტერმინის „სატირა“ შესახებ მეცნიერებს არაერთგვაროვანი პასუხი აქვთ. როგორც მეცნიერები ამბობენ, აღნიშნული ტერმინის ეტიმოლოგია ორი სიტყვის: **satyr** და **satura** ნაზავია. პირველ სიტყვას თუ დავაკვირდებით, გაგვახსენდება ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ტყის ღვთაება – სატირი. სატირები ბერძნული მითოლოგიის თანახმად ნაყოფიერების დემონები არიან. ისინი შედიოდნენ დიონისეს ამაღლაში. სატირი ბეწვით დაფარული, გრძელთმიანი, წვერებიანი არსებაა, მას ცხენის, ან თხის ჩლიქები და ცხენის კუდი აქვს, ასევე ცხენის ან თხის ყურები, თუმცა თავი და ტორსი ადამიანის გააჩნია. სატირები შფოთისთავები იყვნენ, ისინი მუდამ სალამურზე უკრავდნენ, ცეკვავდნენ და სვამდნენ ღვინოს.

მეორე სიტყვა კი მომდინარეობს ლათინური გამოთქმიდან *lanx satura* რაც „a full dish of various kinds of fruits“ ანუ, „მრავალფეროვანი ხილით სავსე თასს“ ნიშნავს.

ტერმინის „სატირა“ უკანასკნელ ეტიმოლოგიას იზიარებს ქართველი ლიტერატურათმცოდნე ც. ბარბაქაძე და ჟურნალ „სემიოტიკის“ მერვე გამოცემაში იგი წერს: „სატირა ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით „ნარევს“ ნიშნავს. მაგრამ, როგორც ლიტერატურული ხერხი, იგი „სინამდვილის მხატვრული ასახვის ისეთ ფორმას წარმოადგენს, როდესაც გამანადგურებელი სიცილით ამხილებენ ასახულის უარყოფით, მანკიერ ბუნებას. იუმორი სატირისგან განსხვავებით კეთილგანწყობილია ასახულის მიმართ და ცდილობს სიცილით „განკურნოს“ იგი, გამოასწოროს მისი ნაკლი. სატირა კი „ბოლომდე“ აშიშვლებს თავის ობიექტს და ააშკარავებს შეუთავსებლობას გარეგან და შინაგან მხარეებს შორის, ფორმასა და შინაარსს შორის“ (ბარბაქაძე, 2010: 45).

ის, თუ რა განასხვავებს იუმორს სატირისგან კარგად არის ასახული ცნობილი ქართველი მწერლის, ფელეტონისტის და საბავშვო ლექსების ავტორის ნ. დუმბაძის ერთ გონივრულ გამონათქვამში: „სატირა და იუმორი ერთი დედის შვილები არიან. იუმორი თბილი მხაპია, ის ათბობს და ეფერება ადამიანს, თან ჭუჭყსაც ჩამობანს,

ჭუჭყის ისიც ჩამოხანს, ოღონდ ფუფქავს“ (ნ. დუმბაძე, „ლიტერატურული საქართველო“, 1978 :2).

სატირის, როგორც ჟანრის მახასიათებელ ნიშან-თვისებებზე ვკითხულობთ Columbia encyclopedia - შიგ: “From ancient times satirists have shared a common aim: to expose foolishness in all its guises – vanity, hypocrisy, pedantry, idolatry, bigotry, sentimentality – and to effect reform through such exposure. The many diverse forms their statements have taken reflect the origin of the word satire which is derived from the Latin satura, meaning “dish of mixed fruits.” („უძველესი დროიდან მოყოლებული სატირიკოსის მოვალეობა იყო წარმოეჩინა საზოგადოების უგუნურების მთელი რიგი გამოვლინებები: პატივმოყვარეობა, ფარისევლობა, პედანტიზმი, ფანატიზმი, სენტიმენტალიზმი და აღნიშნული ნაკლოვანებების ჩვენებით შეეცვალა ისინი“ – თარგმანი ჩვენია).

სატირისთვის დამახასიათებელია პუბლიცისტურობა, ავტორისეული ტენდენციურობა და გადაულახავი ზღვარი ავტორისეულ იდეურ სამყაროსა და მხილების ობიექტს შორის, ხოლო მისი ესთეტიკური ამოცანაა გამოიწვიოს და გამოაცოცხლოს გახსენება მშვენიერისა, რასაც შეურაცხყოფს მხილების ობიექტი თავისი მანკიერი არსით.

სატირის აქტუალობა დამოკიდებულია ისტორიულ, გეოგრაფიულ და სოციალურ ფაქტორებზე. რამდენადაც უფრო ზოგადსაკაცობრიოა იდეალი, რომლის საშუალებით სატირიკოსი წარმოაჩენს თავის ანტი იდეალს და რამდენადაც უფრო ესთეტიკურად გამართულია მისი უარყოფითი სიცილი, მით უფრო ხანგრძლივდება სატირის ცხოველმყოფელი მნიშვნელობა.

სატირა აღმოცენდა ძველ რომაულ ლირიკაში (მისი ფუძემდებელია გაიუს ლუცილიუსი), შემდეგ დაკარგა ჟანრულობა, თუმცა განსაზღვრავს სხვადასხვა ჟანრის: იგავ-არაკის, ეპიგრამის, პამფლეტის, ფელეტონის არსს. სატირის პრინციპზე აგებული რომანი გადაიქცევა სატირულ რომანად, დრამა კი კომედიად. სატირისთვის დამახასიათებელი იერსახე იქმნება ჰიპერბოლიზაციით, გაზვიადებით, გროტესკით, სარკაზმით.

ვფიქრობთ აქ აუცილებელია ვისაუბროთ სატირის ნაირსახეობებზე. სატირა სამი სახისაა: Horatian, Juvenalian, Menippean. პირველი სახის სატირა ნაკლებად მწვავეა. ის არ ისახავს მიზნად კონკრეტულ ინდივიდში ან მოვლენაში ნაკლის დაძებნას.

მასში მთავარია იუმორი და მიზნად ისახავს მხოლოდ ადამიანის გახალისებას – ‘A key element of Horatian satire is that the audience is also laughing at themselves as well as the subject of the mockery’. ამ სახის სატირულ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს ჯ. ოსტინის „სიამაყე და ცრურწმენა“.

მეორე სახის სატირა ყველაზე მწვავეა. მისი დაცინვის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც საზოგადოება, ისე კონკრეტული ინდივიდები და ორგანიზაციები. ამ ტიპის სატირა მიზნად ისახავს მკითხველში გაბრაზებას. უილიამ გოლდინგის „ბუზების მბრძანებელში“ სწორედ ამ სახის სატირაა გამოყენებული.

მესამე სახის სატირა მეორესთან ახლოსაა, თუმცა ფოკუსირება აქ არ არის ერთ კონკრეტულ მიზანზე. სატირას სხვადასხვა სამიზნე ჰყავს. ლუის კეროლის საბავშვო წიგნში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ სწორედ ამ სახის სატირაა გამოყენებული.

რას წარმოადგენს სატირა როგორც დისკურსი? ამის შესახებ პაულ სიმფსონის წიგნში “On the Discourse of Satire” („სატირული დისკურსის შესახებ“) ვკითხულობთ: Satire functions as a high-order discourse, higher than what systemic-functional and other linguistics classify as genre or register, and certainly higher than what literary critics traditionally mean by the term “genre of literature.”(სიმფსონი, 2003:8), („სატირა წარმოადგენს მაღალგანვითარებულ დისკურსს. იგი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის, რასაც სისტემურ-ფუნქციური ან სხვა ენათმეცნიერება მოიხსენიებს „ჟანრად“ და რა თქმა უნდა იმაზე უფრო მაღლა დგას, ვიდრე, რასაც ლიტერატურული კრიტიკოსები ტრადიციულად გულისხმობენ ტერმინით „ლიტერატურული ჟანრი“ – თარგმანი ჩვენია).

სატირული დისკურსის დროს სამი ძირითადი მონაწილეა: პირველი გახლავთ **სატირიკოსი**, იგივე სატირული ტექსტის შემქმნელი, მეორე გახლავთ **ადრესატი**, ანუ ადამიანი (მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი), ვინც ეცნობა სატირულ ტექსტს და მესამე გახლავთ **სატირის ობიექტი**, ის კონკრეტული ინდივიდი თუ მოვლენა, რომელზედაც სატირიკოსის მიერ თავდასხმა მიმდინარეობს, რომელსაც სატირიკოსი

აკრიტიკებს. სატირიკოსი და ადრესატი ერთდროულად დებულობენ მონაწილეობას დისკურსში, ხოლო სატირის ობიექტი არ არის ე.წ. „invited participant” (მოწვეული მონაწილე) ამ დისკურსში. წარმატებულ სატირულ ნაწარმოებში კარგად ჩანს ორი მათგანის – სატირიკოსის და მკითხველის ტანდემი, ხოლო ცუდად დაწერილ სატირულ ტექსტში კავშირი ტრიადაში დარღვეულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სატირიკოსსა და მკითხველს შორის კავშირი დისტანციური ხდება, და მკითხველი და სატირის ობიექტი თანხვედრა ერთმანეთს.

სატირულ ტექსტში კარგად ჩანს სატირიკოსის მიზანი. სატირიკოსი წინასწარ გათვლის ვისზე ან რაზე იღებს ის იერიშს და სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით ცდილობს ტექსტის გაკონტროლებას. ანუ, ის თუ რა ფაქტზე ან მოვლენაზე ამხვილებს სატირიკოსი ყურადღებას, რას ირჩევს განხილვის თუ გაკილვის საგნად, მკვეთრად ავლენს სატირიკოსის სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციას. სატირიკოსის მიერ დაწერილი ტექსტი თვით სატირიკოსის სახეა, მისი აზროვნების ანარეკლის მატარებელია. სატირიკოსის იუმორი ზოგჯერ წინასწარ გამიზნულია, ზოგჯერ კი გაუთვლელი, შემთხვევითი. ამის მიხედვით იუმორისტული გამოთქმა სამი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს:

- 1) სატირიკოსი ცდილობს იყოს სასაცილო და არის კიდეც;
- 2) სატირიკოსი ცდილობს იყოს სასაცილო, მაგრამ ვერ აღწევს მიზანს;
- 3) სატირიკოსი არ ცდილობს იყოს სასაცილო, მაგრამ მაინც სასაცილოა.

გრიფინი და დასტინი წიგნში: “Satire: A Critical Introduction” („სატირა: კრიტიკული შესავალი“) სატირიკოსის შესახებ წერენ: „Satire usually employs a special kind of narrator called a mask or persona. Satiric voice speaks in the first person. As for characters they themselves reveal their folly and ridiculousness through their own actions, words and thoughts (Griffin, 1994 :34) („სატირულ ნაწარმოებში სატირიკოსის სახე ნიღბის ქვეშ იმალება. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. სატირული ნაწარმოების გმირები თავად ავლენენ თავიანთ ნაკლოვანებებს და დასცინიან საკუთარ მოქმედებას, სიტყვებსა თუ ფიქრებს – თარგმანი ჩვენია).

სატირიკოსი ორი სახის შეიძლება იყოს: **ოპტიმისტი**, რომელსაც უყვარს ხალხი, საზოგადოება, მაგრამ ამავე დროს ფიქრობს, რომ საზოგადოება ბრმაა და სულელი. ამიტომაც მათ ღიმილით ეუბნება სიმართლეს და ცდილობს

საზოგადოებაში არსებული უმეცრების განკურნებას. მეორე სახის სატირიკოსი – პესიმისტი, უფრო დაუნდობელია, მას უყვარს ცალკეული ინდივიდები, მაგრამ სძულს საზოგადოება და ცდილობს, გული ატკინოს და შეურაცხყოს.

სატირული ვერბალური ტექსტის აღქმის ფორმულა ასეთია: Ironic Humor + Informed Criticism = Implicit Argument for reform (ირონიული იუმორი + კრიტიკა = იმპლიციტური არგუმენტაცია).

როგორც ვხედავთ, სატირა იუმორისტული დისკურსის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფორმაა. იგი ყველაზე ძლიერი იარაღია, რაც კი ადამიანს შეუქმნია. მის წინააღმდეგ კონტროლმა არავის გამოუგონებია. სატირა აფხიზლებს საზოგადოებას და სწორ ორიენტაციას აძლევს მას. იგი ასევე პროპაგანდის და მასებზე ზეგავლენის საუკეთესო საშუალებაა.

თავი II. ფელეტონის როგორც ჟანრის მახასიათებელი ნიშან-თვისებები

2.1. ფელეტონის რაობა

მოცემულ თავში ჩვენ განვსაზღვრავთ პრესის მნიშვნელოვან მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრს – ფელეტონს. ეს ჟანრი მნიშვნელოვანია როგორც ფუნქციური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, რადგანაც ყველაზე კარგად გამოხატავს ჟურნალისტიკის პუბლიცისტურ ჟანრს.

ცნობილი რუსი მწერალი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი მიხეილ კოლცოვი ფელეტონის შესახებ მეტაფორულად ამბობდა: *Фельетон – это камень, который дает широкие, далеко расходящиеся круги на воде* (Кольцов, 1961) („ფელეტონი იმ ქვას ჰგავს, რომელიც წყალში ფართო, შორს გაბნეულ ჭავლს ქმნის“ – თარგმანი ჩვენია).

ფელეტონის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ პ.კლაინის მეტაფორული განმარტებაც: „ფელეტონი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის და შემდეგ მის მიერ დანახულსა და მოსმენილს ფარდას ხდის და საზოგადოების წინაშე „ამიშვლებს“.

სიტყვა „ფელეტონი“ ფრანგული წარმოშობისაა (ფრ. *feuilleton* რაც „ფურცელს“ ნიშნავს). მეთვრამეტე საუკუნის ლექსიკონებში აღნიშნული სიტყვა არ არსებობდა. ტერმინი „ფელეტონი“ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. 1800 წელს საფრანგეთში დაიწყო გაზეთის „*Journal des Debats*“ გამოცემა, რომელსაც დამატებითი ფურცლები ერთვოდა. დასაწყისში ფელეტონი წარმოადგენდა გაზეთის დამატებით ფურცელს, რომელზედაც დატანილი იყო რეზიუმეები, გამოცანები და სხვადასხვა სახის განცხადებები. იმავე საკითხზე ენციკლოპედია „ბრიტანიკაში“ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც განსხვავებულ ინფორმაციას ვკითხულობთ: **“Feuilleton was originally a kind of supplement attached to the political portion of French newspapers. Its inventor was Bertin the elder, editor of the *Débats*. It was not usually printed on a separate sheet, but merely separated from the political part of the newspaper by a line, and printed in smaller type.** In French newspapers it consisted chiefly of non-political news and

gossip, literature and art criticism, a chronicle of the fashions, and epigrams, charades and other literary trifles; and its general characteristics were lightness, grace and sparkle („პირველი ფელეტონები წარმოადგენდა ფრანგული გაზეთის დამატებით ნაწილს, რომელიც მიზნული იყო მის პოლიტიკურ ნაწილზე. მისი დამაარსებელი გახლდათ ბერტინი (უფროსი), გაზეთის *Débats* რედაქტორი. ფელეტონები არ იბეჭდებოდა ცალკე ფურცელზე, არამედ უბრალოდ გამოყოფილი იყო გაზეთის პოლიტიკური ნაწილისგან პატარა ხაზით და მცირე შრიფტით იყო დაბეჭდილი. ფელეტონებად ითვლებოდა არაპოლიტიკური ახალი ამბები, ჭორები, ლიტერატურული კრიტიკა, ეპიგრამები, შარადები და სხვა“ – თარგმანი ჩვენია).

ტერმინის „ფელეტონი“ არა ერთ განმარტებას იძლევა რუსი პუბლიცისტი და მკვლევარი დ. ზასლავსკი თავის სალექციო კურსში „Фелетон в газете“ („ფელეტონი გაზეთში“).

„ფელეტონს ზოგჯერ უწოდებენ სხვადასხვა საგაზეთო მასალას“, – წერს იგი და ასახელებს ოთხ პუნქტს, რაც ახასიათებს მას: პირველი პუნქტის თანახმად ფელეტონი ეწოდება გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც იბეჭდება გვერდის ქვემო ნაწილში, მეორე პუნქტით ფელეტონი ეწოდება სტატიას გაზეთის ან ჟურნალის სპეციალურ განყოფილებაში. გერმანულ პრესაში ფელეტონი არის სპეციალური გვერდი, რომელშიც გამოქვეყნებულია ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, რეცენზიები წიგნებსა და თეატრალურ დადგმებზე“. მესამე პუნქტით ფელეტონი ეწოდება სატირული და იუმორისტული ხასიათის სტატიებს, მიუხედავად მათი მოცულობისა და ადგილისა, სადაც ისინი არიან მოთავსებული. ასეთი ტიპის ფელეტონი ყველაზე მეტად გავრცელებული იყო საბჭოთა პრესაში და ბოლოს, მეოთხე პუნქტში ნათქვამია: ფელეტონი ეწოდება სტატიებს სამეცნიერო, ლიტერატურულ-კრიტიკულ, ხელოვნებისა და ისტორიის თემებზე, რომლებიც დაწერილია ლიტერატურულად ბრწყინვალე, მხატვრული ელემენტებით“ (Заславский, 1952: 28).

როგორც ვხედავთ, თავდაპირველად ფელეტონი იყო საგაზეთო ბლოკი, ხოლო მოგვიანებით შეიქმნა ფელეტონის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი და ჟურნალ-

გაზეთების ფურცლებზე სატირული ხასიათის მოთხრობები, ე.წ. ფელეტონები გამოჩნდა.

რუსი მკვლევარი ე. ჟურბინა ფელეტონის შექმნას „პრესის დემოკრატიულობას“ უკავშირებს და მას რევოლუციურ მოვლენად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ფელეტონის ძირითადი მიზანი დისკუსიის წარმოშობაა და ფელეტონის ჟანრი იმიტომ შეიქმნა, რომ მკითხველთან საუბარი განხორციელებულიყო (Журбина, 1974:296). როგორც ჩანს ე. ჟურბინა ეწინააღმდეგება ტრადიციულ ვერსიას, რომლის თანახმადაც ფელეტონი გაზეთის დამატებით ფურცელს წარმოადგენდა რომელზედაც ყოველგვარ უმნიშვნელო ამბებს წერდნენ. ე. ჟურბინა გამოდის მეორე რუსი მკვლევრის ბ. ტომაშევსკის წინააღმდეგ (რომელიც ტრადიციული მოსაზრების მომხრეა) და წერს: «Автор не только не ставит вопроса о расчленении истории газетной рубрики и истории рождения нового литературного жанра, а, напротив, с первых же строк статьи стремится связать эти вопросы в один узел...» (Журбина, 1974 :301). („ავტორი არამარტო არ განიხილავს საგაზეთო რუბრიკის ისტორიის გამოჯვანას ახალი ლიტერატურული ჟანრის დაბადების ისტორიისგან, არამედ, პირიქით, სტატიის პირველივე ხაზიდან ცდილობს მათ ერთ საკითხად წარმოჩენას“ – თარგმანი ჩვენია)

ფაქტია, რომ ის, რასაც ძველად ფელეტონს ეძახდნენ, სრულიად არ შეესაბამება დღევანდელი ფელეტონის ჟანრს. ის, რაც წარსულში ფელეტონად იწოდებოდა, იყო აპოლიტიკური და არაოფიციალური, მაგრამ დროთა განმავლობაში მან ევოლუცია განიცადა და ისეთი სახე მიიღო, რომელიც დღეს ჩვენთვისა ცნობილია.

2.2. ფელეტონის ჟანრობრივი მახასიათებლები

რით ხასიათდება ფელეტონი, რით განსხვავდება იგი სხვა სახის საგაზეთო მასალისაგან, რა არის მისი პუბლიცისტური მახასიათებლები?

მეცნიერები დაიბნენ იმის შესახებ, თუ რომელ ჟანრს მიაკუთვნონ ფელეტონი. რუსი მეცნიერი ს. მოროზოვი სრულიად უარყოფს ფელეტონის მხატვრულ ხასიათს და წერს: «Фельетон, перешедший границу художественности, перестает быть фельетоном.

Творческая задача фельетониста – при помощи комбинации взятых у художников готовых сочетаний завлечь читателя и умелым переключением малой темы в большую, общественного порядка – получить чисто газетный эффект. Быстро и сильно повлиять на массового читателя» („ფელეტონი, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებს ემსგავსება, წყვეტს ფუნქციონირებას როგორც ფელეტონი. ფელეტონისტის მიზანი უნდა იყოს ენობრივი საშუალებების ისე გამოყენება, რომ მკითხველის ყურადღება მიიქციოს და შეძლოს პატარა თემის საყოველთაო მნიშვნელობის თემად გადაქცევა და მისთვის საგაზეთო ეფექტის მიცემა“ – თარგმანი ჩვენია).

მეორე რუსი მკვლევარი დ. ზასლავსკი თვლის, რომ ფელეტონისტის მოვალეობაა ფაქტის, მოვლენის, თემის პოლიტიკური გაანალიზება რაც მწერლის მახვილგონიერების და პერსონაჟის დახატვის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. დ. ზასლავსკის აზრს იზიარებს კიდევ ერთი რუსი მკვლევარი ო. ციგანოვი. იგი ხაზგასმით მიუთითებს ფელეტონის პუბლიცისტურ ბუნებაზე: «Принадлежит к публицистическому жанру, фельетон граничит с художественной литературой» („მიეკუთვნება რა პუბლიცისტურ ჟანრს, ფელეტონი ემიჯნება მხატვრულ ლიტერატურას“ – თარგმანი ჩვენია).

ქართველი მკვლევარი ნ. შენგელია დ. ზასლავსკის და ო. ციგანოვის აზრს იზიარებს და მიიჩნევს, რომ „ფელეტონი მაღალკვალიფიციური მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრია, რომელიც გულისხმობს შესრულების პუბლიცისტურ მანერას, როგორც ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის განზოგადების აუცილებელ პირობას. ამასთანავე, იგი უნდა ემორჩილებოდეს მხატვრული ნაწარმოების აგების საერთო კანონებს და არჩეული თემისა და მიზნის შესაბამისად იყენებდეს სატირისა და იუმორის ელემენტებს“ (შენგელია, 2005: 202).

ე. ჟურბინა ფელეტონს სინკრეტულ ჟანრად მიიჩნევს, რომელიც თავის თავში სხვადასხვა ჟანრის ელემენტებს შეიცავს. ჟურბინას ეთანხმება მ. კოლცოვიც, რომელიც ფელეტონს სინთეზურ ჟანრად მიიჩნევს.

რაც შეეხება უცხოელ მკვლევრებს, გერმანელი მკვლევარი ჰააკე თვლის, რომ ფელეტონები თავისი არსით პოეტურია და საკუთარი აზრის გასამყარებლად

ფელეტონთა მეტაფორულ ბუნებაზე ამახვილებს ყურადღებას: They use metaphors to reflect the abstract elements in everyday life but in so doing, allow the reader to better recognize the excitement of daily living and, thus, make life concrete (Haake, 1951-1953 :272).

კიდევ ერთი უცხოელი მკვლევარი მ. კოლმანი კი ფელეტონის ჟანრს ესესთან/ნარკვევთან აიგივებს და წერს: “The two forms are so similar that feuilletons should simply be classified as essays” („ეს ორი ფორმა იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ ფელეტონი ნარკვევად უნდა ჩაითვალოს“ – თარგმანი ჩვენია).

გ. კვარაცხელია მიუთითებს, რომ „ნარკვევებსა და ფელეტონებს მხატვრულ პუბლიცისტიკას მიაკუთვნებენ, რითაც ხაზგასმულია მათი სიახლოვე მხატვრულ ლიტერატურასთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგაზეთო მეტყველების სუბიექტი სოციალურად განზოგადებული და ორიენტირებულია, რაც აისახება კიდევ ენობრივ წყობაში. მის ინდივიდუალურობას არ შეიძლება ისეთი გასაქანი ჰქონდეს გაზეთში, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში; ჟურნალისტიკის ინდივიდუალური მანერა ერთგვარად იჩრდილება სტილისტიკურად მრავალფეროვან საგაზეთო მასალაში. ამასთანავე, ჟანრობრივი განსხვავებანი ტექსტში უფრო მნიშვნელოვნად აისახება, ვიდრე ავტორის ინდივიდუალური სტილი. გაზეთის ჟანრები და საგაზეთო-პუბლიცისტიკის ჟანრები ერთმანეთს არ ემთხვევა. ისევე როგორც სამეტყველო ურთიერთობის სხვა სფეროები, აქაც მკვეთრი საზღვრის გავლება ჟანრებს შორის არ ხერხდება. უმთავრესი ისაა, რომ მიუხედავად ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა, მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ გაზეთის ენის ფუნქციურ ერთიანობაზე, მის მთლიანობაზე, როგორც საინფორმაციო-ზემოქმედების ფუნქციის ენობრივ განხორციელებაზე“ (კვარაცხელია, 1990, 127-128).

გერმანელი მკვლევარი ვენი თვლის, რომ „ფელეტონის თემატიკიდან, ავტორის ინტენციიდან და წერის მანერიდან გამომდინარე ფელეტონი შესაძლოა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრს დაემსგავსოს, ასე მაგალითად ანეკდოტს, ბიოგრაფიას, ნარკვევს და სხვა“ (Seppi, 2003).

რაკი ფელეტონი თავისი ბუნებით დიდად ჩამოჰგავს სხვა ჟანრებს, ამიტომაც მკვლევრები დღეს საუბრობენ ფელეტონის მრავალსახეობაზე (ფელეტონი-პამფლეტი, ფელეტონი - მოთხრობა, ფელეტონი-დიალოგი, ფელეტონი-მონოლოგი, ფელეტონი-დღიური, ფელეტონი-წერილი, ფელეტონი-პაროდია და ა. შ.). ასევე განარჩევენ „პატარა“ და „დიდი“ ფელეტონს.

ბევრი მკვლევარი იმაზეც მიუთითებს, რომ ფელეტონი შეუძლებელია მაღალ მხატვრულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ, რადგანაც იგი ჟურნალ-გაზეთებში იწერება და ფართო მასებისთვის არის განკუთვნილი. გავიხსენოთ, რას ამბობდა გერმანელი ფილოსოფოსი ა.შოპენჰაუერი ჟურნალისტიკის შესახებ: „ჟურნალისტიკა ლიტერატურული აქტივობის ყველაზე დაბალი ფორმაა“. აღნიშნულ მოსაზრებაში მართლაც არის სიმართლის მარცვალი, რადგანაც ჟურნალისტები, რომლებიც ამა თუ იმ გაზეთისთვის მუშაობენ, დროში შეზღუდულები არიან და არა აქვთ სათანადო დრო მათ მიერ შექმნილი პროზაული ნაწარმოების დასახვეწად. ისინი ვალდებული არიან მუშაობა გარკვეულ ვადებში დაამთავრონ. გამომდინარე იქიდან, რომ გაზეთს ხალხთა მასები ეცნობა, ჟურნალისტიც იძულებულია გათვლა მასებზე გააკეთოს და თხრობის დროს მარტივი, ყოველდღიური ლექსიკა, კოლოკვიალიზმები და კლიშეები გამოიყენოს. თუმცა ბევრი მკვლევარი იმასაც ამტკიცებს, რომ ჟურნალ-გაზეთებშიც კი შეიძლება მაღალ მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა. ჰააკე წერს: “Feuilletons are proof that journalism can be quality literature.” (Haake, 1951-1953 :306), („ფელეტონი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ჟურნალისტიკაც შეიძლება მაღალმხატვრული იყოს“ – თარგმანი ჩვენია).

ფელეტონი მსჯელობის საგნად ირჩევს ისეთ მოვლენას, რომელიც სუბიექტური გაშუქების საშუალებას იძლევა და მასზე მსჯელობისას უხვად იყენებს სტილისტურ ხერხებს: ირონია, სატირა, გროტესკი, სარკაზმი. ამასთანავე ფელეტონის ავტორი განიხილავს და აფასებს ფაქტს.

ფელეტონი თავისი არსით შეფასებითია. ის იწერება მოვლენების ავტორისეული შეფასებით, რითაც ხდება მკითხველი აუდიტორიის აზრის ფორმირება. ეს მიზანი შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ისე მიზნად ისახავდეს ადრესატის გართობასაც. პირველ შემთხვევაში შეფასება გამოდის როგორც

ძირითადი მიზანი, ხოლო კომიკურობა – მისი მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. ე.ი. შეფასება და კომიკურობა ერთმანეთთან იერარქიულ დამოკიდებულებაში არიან. მეორე შემთხვევაში კომიკურობის ეფექტის შექმნა წარმოადგენს ერთ-ერთ დამოუკიდებელ მიზანს და ადგილი აქვს ამ ორი ცენტრალური კატეგორიის პარალელურ დამოკიდებულებას.

ფელეტონები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შეფასებითი მიმართულებით. ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ექსტრალინგვისტური ფაქტორები: 1) საერთო სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, 2) გაზეთის ტრადიციული სტილი, 3) ფელეტონის თემატიკა; 4) ფელეტონისტის წერის თავისებური მანერა და მისი შეხედულებები (ჩხოზაძე, 2005:244).

როგორც ს. ტაბაღუა წერს თავის დისერტაციაში „მედიაჟანრი Glosse როგორც ლიტერატურული ფენომენი“: „ფელეტონი ერთი მხრივ, წარმოადგენს ტექსტობრივ რეალიზაციას და მეორე მხრივ, ეკუთვნის ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ ასპექტს და თავის შინაარსობრივ-სტრუქტურ ფორმაში ატარებს ამ ეპოქის ძირითად ნიშანთა ერთობლიობას“ (ტაბაღუა, 2010:9). ამით მკვლევარს იმის თქმა სურდა, რომ ყველა ფელეტონში ჩანს გარკვეული პერიოდის აქტუალური საკითხები და იმ პერიოდის მოთხოვნები, რომელ პერიოდსაც და მოვლენასაც ასახავს ესა თუ ის ფელეტონი. იმავე აზრს ვკითხულობთ უცხოელ მკვლევართან სეპისთან: In spite of the casual style of feuilletons, the genre is important because it reflects the culture of the time“ (Seppi, 2003 :4), („მიუხედავად მისი არარეგულარული სტილისა, ჟანრი მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი წარმოაჩენს კონკრეტული ქვეყნის და კონკრეტული დროის კულტურას“ – თარგმანი ჩვენია).

სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრების გაცნობის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ ფელეტონი ჰიბრიდული ჟანრია და იგი აერთიანებს სატირული პუბლიცისტური ჟანრების ყველაზე ტიპურ მხარეებს და იძლევა შემოქმედებითი წარმოსახვის მნიშვნელოვან თავისუფლებას ნაწარმოების კომპოზიციური წყობის შექმნის, აგრეთვე გამომსახველობითი საშუალებების შერჩევის პირობებში. ეს არის ცოცხლად, იუმორით დაწერილი საგაზეთო მოთხრობა, რომელიც ამასხარავებს თანამედროვე ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს, მახინჯ მოვლენებს. თუკი ისევ მ.

კოლცოვს დავესესხებით, „ფელეტონი მხოლოდ მაშინაა ღირებული, თუკი ის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ფაქტს აღწერს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ანეკდოტია“.

2.3. ფელეტონის ძირითადი სახეები

მეცნიერები გამოყოფენ ფელეტონის ორ სახეს: **დოკუმენტალური**, რომელიც ფაქტებზე დაყრდნობით იწერება და **კონსტრუირებული**, ავტორის მიერ შეთხზული, რომელსაც საერთო მაინც აქვს მომხდარ ფაქტთან.

შეფასების ინტენსივობისა და ორიენტირებულობიდან გამომდინარე ი. ჩხობამე გამოყოფს ფელეტონის რამდენიმე ტიპს: 1) მკვეთრად კრიტიკული; 2) ზომიერად კრიტიკული; 3) ხუმრობით კრიტიკული.

მკვეთრად კრიტიკული ფელეტონები იწერება იმისათვის, რომ გაკიცხოს, გამოააშკარავოს მანკიერი მოვლენები, ჩამოაყალიბოს მკითხველის მხრიდან მათდამი ნეგატიური დამოკიდებულება. უარყოფითი შეფასება მათში აშკარად დომინირებს და ხშირად მთლიანად გამორიცხავს ობიექტის დადებით შეფასებას. მეორე ჯგუფის ფელეტონები **ზომიერად კრიტიკული** – ნაკლებად მკვეთრი და ემოციურია ნეგატიური ურთიერთობის გამოსახატავად. მათში შეიძლება შეერწყას უარყოფითი და დადებითი შეფასებები. მესამე ჯგუფის ტექსტები – **ხუმრობით-კრიტიკული** შეიცავს უარყოფითი შეფასების მხოლოდ ელემენტებს და მათაც დადებითი შეფასების შეფერილობის ფონზე. უარყოფითი შეფასება უფრო ნაკლებია, ვიდრე–პირველ და მეორე ჯგუფში (ჩხობამე, 2005:245).

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე განარჩევენ „დიდ“ და „პატარა“ ფელეტონს. „პატარა ფელეტონს“ სხვაგვარად causere-ს უწოდებენ. ეს გახლავთ ძირითადად 100 ხაზისგან შემდგარი სტატია, რომელშიც გაშუქებულია ჩვეულებრივი ყოფა.

გარდა ზემოდასახელებული ფელეტონის სახეებისა, ჩვენ შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილს კიდევ რამდენიმე სახე შევმატოთ – ეს ფელეტონის ჰიბრიდული ფორმებია: ფელეტონი-პამფლეტი, ფელეტონი-მოთხრობა, ფელეტონი-ლექსი, ფელეტონი-დიალოგი,

ფელეტონი-მონოლოგი, ფელეტონი-დღიური, ფელეტონი-წერილი, ფელეტონი-პაროდია, ფელეტონი-ნეკროლოგი, ფელეტონი-საგაზეთო სტატია და ა. შ.).

თემატური თვალსაზრისით თუკი ვიმსჯელებთ, აქაც შესაძლებელი იქნება რამდენიმე სახის ფელეტონის გამოყოფა: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ლიტერატურულ-კრიტიკული და ა.შ.

2.4. ავტორ - ფელეტონისტის როლი ფელეტონში

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სისტემაში ფელეტონისტს კომუნიკატორს უწოდებენ. კომუნიკატორი იძლევა ინფორმაციას, ასწავლის და ართობს. ხოლო რეციპიენტი, იგივე მკითხველი აღიქვამს, სწავლობს, ერთობა და იღებს გადაწყვეტილებას. კომუნიკაციის პროცესი ხშირად განპირობებულია იმით, თუ როგორ ესმის კომუნიკატორს თავისი სოციალური დანიშნულება, რა პრინციპებით ხელმძღვანელობს თავის პროფესიულ საქმიანობაში, რა მსოფლხედვა აქვს მას.

ავტორ-ფელეტონისტის სახე უმნიშვნელოვანესია ფელეტონში, სწორედ მას უკავშირდება ნაწარმოების სტილური საშუალებები. სწორედ ის არის ის შინაგანი ღერძი, რომლის გარშემო თავს იყრის ყველა სტილისტური სისტემა (Ирхорова, 2002:87).

ფელეტონის ავტორს არ შეიძლება მთხრობელი ეწოდოს, იგი ანალიტიკოსია, რომლის ძირითადი დანიშნულებაა, გადმოცემულ შინაარსს რეალურობა შესძინოს. ის უფლებას იტოვებს დააკვირდეს მოვლენებს, ეპიზოდებს, მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია და შეფასება, ზოგჯერ წარმოგვიდგინოს ისინი დრამატიზებულიად, ფილოსოფიურად განსაჯოს ეს მოვლენები და საბოლოოდ შექმნას საშუალება აუდიტორიას ჩამოუყალიბდეს უნარი ფაქტისადმი საკუთარი თამამი მოსაზრების გამომუშავების (ტაბალუა, 2010:139).

წარსულში, კერძოდ 1800 წელს, როცა საფრანგეთში პირველი ფელეტონები გამოჩნდა, ფელეტონისტების როლი ამგვარად განისაზღვრებოდა: ისინი დადიოდნენ ქუჩებში, აკვირდებოდნენ, რა ხდებოდა და რას ამბობდნენ საზოგადოებაში და შემდეგ ეს ყველაფერი გაზეთის ფურცლებზე გადაჰქონდათ (“Early feuilletonists “wandered about the city and relayed what they saw and heard in the street,” becoming the reader’s “expert tour

guide and a friendly companion. The writer of the feuilleton presented himself as a man on the street and simulated easy conversation with the reader about common concerns”). სწორედ აქედან უნდა მოდიოდეს ფელეტონის მეორე სახელი “Talk of the Town.” ფელეტონისტი მიმართავდა კოლოკვიალურ სტილს მკითხველთან სასაუბროდ, რაც ფელეტონის ენას ადვილად აღსაქმელს ხდიდა მკითხველისთვის.

თემა, რომელსაც ფელეტონისტი განიხილავს, საჭირობოტოა. ავტორ-ფელეტონისტი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს მის მიერ შერჩეულ ფაქტზე, ირჩევს მას თემად და ერთგვარად გადაამოწმებს კიდევ საზოგადოების აზრს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ანუ, ფელეტონში კარგად ჩანს ფელეტონისტის შემფასებლური ტონი. თუკი ფელეტონისტი ფელეტონში პათოსს აჭარბებს, ეს შესაძლებელია მას ეპათიოს, რადგანაც იგი თავისუფალი ადამიანია და თავის მოქალაქეობრივ საქმეს აკეთებს. ფელეტონის ავტორმა იცის, რაზე ექნება მის მკითხველს რეაქცია.

როგორც ს. ტაბალუა ამბობს თავის დისერტაციაში: „კომუნიკატორის მიზნები ინფორმატული, გავლენითი და დირექტიული ხასიათისაა. მათი მთავარი მიზანია რეციპიენტის სულსა და გონებაში შექმნას შესაბამისი ორიენტაცია, ან შეცვალოს არსებული ორიენტაცია ამა თუ იმ პირსა თუ მოვლენაზე“ (ტაბალუა, 2010:148).

ფელეტონის დაწერა იოლი როდია. იგი ავტორ-ფელეტონისტისგან ძალისხმევას და ნიჭიერებას მოითხოვს. ის, თუ რამდენად ძნელია ფელეტონზე მუშაობა კარგად ჩანს მ. კოლცოვის ციტატაში: “Нужно этот жанр беречь и культивировать, несмотря на то, что жанр фельетона как синтетический жанр – жанр необычайно трудный, требующий непрерывной работы над собой, непрерывной работы в разных областях, жанр, пожалуй, единственный, в котором никак не обойдешься техминимумом, а где все время нужен техмаксимум. И этот техмаксимум всегда нужно выполнять» („საჭიროა აღნიშნული ჟანრის შენარჩუნება და კულტივირება. ეს ჟანრი უჩვეულოდ ძნელია და მოითხოვს ფელეტონისტისგან მაქსიმუმის გაკეთებას” – თარგმანი ჩვენია)

რუსი პროფესორი დ. ზასლავსკი თავის სალექციო კურსში სახელწოდებით “Фелетон в газете” („ფელეტონი გაზეთში“) მიუთითებს იმ აუცილებელ პირობებზე, რომლებიც ავტორ-ფელეტონისტმა უნდა გათვალისწინოს. მისი აზრით,

ფელეტონისტის უპირველესი მოვალეობაა, სწორად შეარჩიოს ფაქტი, რომელზედაც შემდგომ ფელეტონის დაწერას აპირებს. ფელეტონისტმა კურიოზულობიდან გამომდინარე არ უნდა აარჩიოს ფაქტი. მის მიერ შერჩეული ფაქტი უნდა იყოს ზუსტი, თუმცა ფელეტონისტს აქვს უფლება, ფელეტონს მის მიერ გამოგონილი ამბები და გმირებიც დაუმატოს. მეორე აუცილებელი პირობაა ფელეტონისტის მიერ თემის და იდეის წვდომა. ფელეტონისტს თუკი ხელთა აქვს მხოლოდ ფაქტი, მაგრამ არა აქვს მკვეთრად გამოხატული იდეა, თემა, თუკი მან არ იცის, რატომ უნდა დაწეროს ფელეტონი მოცემულ ფაქტზე, რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება და რა დასკვნებამდე უნდა მივიდეს, ფელეტონი არ ივარგებს. დ. ზასლავსკი ასევე ყურადღებას ამახვილებს ფელეტონის მხატვრულ მხარეზე, სტილსა და ენაზე. მნიშვნელოვანია ფელეტონის ენობრივი გაფორმება, მისი მხატვრული ხერხებით გალამაზება. იუმორის გარეშე ფაქტიურად ფელეტონის არსებობა გამორიცხულია. ფელეტონისტის ხელოვნება იმაში უნდა გამოჩნდეს, რომ მან მოახერხოს ფაქტის მთელი სიზუსტის დახატვა და მისი ლაკონური ფორმითა და მარტივი ენით გადმოცემა (Заславский: 1952 :23-26).

ფელეტონისტს უდიდესი პასუხიმგებლობა აკისრია ერთი მხრივ, იმათ წინაშე ვისაც აკრიტიკებს, მეორე მხრივ, მკითხველის წინაშე. ფელეტონის დაწერამდე ფელეტონისტმა უნდა გააცნობიეროს, რა უნდა თქვას ამ ფელეტონით და სატირული ანალიზი გაუკეთოს ამა თუ იმ ფაქტს. ფელეტონში სწორედ ფაქტების და მოვლენების ანალიზს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა და არა სატირულ - იუმორისტულ ხერხებს. თუმცა ფელეტონში არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ენას, რომელიც ზუსტი და გამომსახველი უნდა იყოს. ფელეტონისტის მიერ შერჩეული სტილი უშუალო და არაოფიციალური უნდა იყოს, რითაც ფელეტონის ავტორი ფელეტონს ბუნებრიობას შეუნარჩუნებს და მართალი გამოჩნდება მკითხველის თვალში.

ამავდროულად ფელეტონისტს უნდა ახსოვდეს, რა ძალა და როლი აკისრია იუმორს ფელეტონში, ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ყველა ნეგატიური მოვლენის დაცინვა არ ღირს. არის ისეთი საკითხები, რომლებზედაც სიცილი შეუფერებელია. ფელეტონის მიერ მკითხველისთვის მოგვრილი სიცილი განსხვავებულია - ეს არის ცრემლნარევი სიცილი. როგორც ქართველები ვიტყვით „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“.

მ. კოლცოვი თვლიდა, რომ შეუძლებელია ფელეტონის მკითხველმა პირველი ხაზიდან დაწყებული ბოლო ხაზამდე დამთავრებული იცინოს. თუკი მკითხველი ფელეტონის კითხვისას ერთხელ მაინც გაიცინებს, ასეთ ფელეტონს შეიძლება კარგი ფელეტონი ვუწოდოთ. თუკი ორჯერ მაინც გაიცინა, გამოდის, რომ ფელეტონი შესანიშნავი გამოსულა.

ერთი რამ ცხადია, ფელეტონისტებად არ იზადებიან, ფელეტონისტები ხდებიან. მაგრამ ფელეტონისტად გახდომა დიდი შრომის ფასად და საქმისადმი დიდი სიყვარულის შედეგად მიიღწევა.

თავი III. ფელეტონის ლინგვისტიკური და სტრუქტურული თავისებურებები

3.1. ფელეტონის ლინგვისტიკური თავისებურებები

რაკი ფელეტონი მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრს წარმოადგენს, ცხადია მასში არის რაღაც მხატვრული და შესაბამისად ექსპრესიულიც.

ექსპრესიულობა გულისხმობს ადრესანტის მიერ სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვას, რომლის მიზანია ადრესატზე ზემოქმედება. ექსპრესიულობა ფელეტონში პირველ ადგილზე დგას, რადგანაც მისი ტექსტი ავტორისეულ სუბიექტურ მოსაზრებაზეა აგებული. სწორედ ეს სუბიექტური მოსაზრებები ახდენენ ზეგავლენას ადრესატზე. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ფელეტონს განსაკუთრებული აუდიტორია ჰყავს. მისი ტექსტი გონებრივად ყველა პოტენციალის მქონე ადამიანისთვის არ არის ხელმისაწვდომი.

ფელეტონის ხატოვანებას ქმნის სტილისტური ხერხები: **სატირა, ირონია, გროტესკი, სარკაზმი, სატირული მეტაფორები, იუმორით გაჟღერებული შედარებები** და ა. შ., რომლებიც დიდ ხანს რჩება მკითხველის მეხსიერებაში. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ამონარიდებს ქართული და ინგლისური ფელეტონებიდან, რომლებშიც სხვადასხვა სტილისტური ხერხია გამოყენებული მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად და იუმორისტული ეფექტის შესაქმნელად.

ო. ტაბატაძის ფელეტონში „ნინოც ჩაო, ბადრიც ჩაო, „ოქროც“ ჩაო!.... გაკილვის საგანია ნინო ბურჯანაძის პოლიტიკა. როგორც ფელეტონისტი ამბობს, ნ. ბურჯანაძემ პოლიტიკური კრაზი განიცადა 2011 წელს, მისმა გამოსვლებმა მ. სააკაშვილის რეჟიმის გადაგდების მიზნით შედეგი ვერ გამოიღო – **ნინო ბურჯანაძეს პოლიტიკური ცომი საბოლოოდ ჩაუვარდა, ეტყობა, საფუარი ისეთივე იყო, როგორც თავის დროზე მამამისის მიერ შემოტანილი ფქვილი** (ტაბატაძე, 2011). ზემოთ წარმოდგენილ ამონარიდში ფელეტონის ავტორი იყენებს მეტაფორას „პოლიტიკური ცომი საბოლოოდ ჩაუვარდა“ და დასცინის პოლიტიკოს ქალბატონს. ფელეტონისტი ნ. ბურჯანაძის პოლიტიკურ კარიერას მამამისის მიერ შემოტანილ უხარისხო ფქვილით მოზეულილ ცომს ადარებს. გამოყენებული შედარება სარკაზმის შემცველია.

ქართველი ფელეტონისტი რ. შატაკიშვილიც არ ინდობს ნ. ბურჯანაძეს ფელეტონ-ნარკვევში „მის პოლიტიკურ მენიუში წიწმატი იყო მოდაში“ და მასზე წერის დროს უხვად იყენებს იუმორით გაჟღენთილ შედარებებს, მეტაფორებს და ანტონომასიას: „მას დროის დინება მის ფერხთა ქვეშ გაყინულად ეჩვენება, სადაც როგორც ინებებს ისე იციგურავებს. ის ქვეყანასა და მის ხალხს კი არა, ქვეყნის ზედხედს იცნობს მხოლოდ – ვინაიდან სულ ზემოდან უყურებდა ქვეყნიერებას – პარტიული ნომენკლატურის ღვიძლ შვილს არც წარმოუდგენია სხვაგვარი ხედი თუ აქვს ქვეყანას. პოზიციებს იცვლის მარაოსავით. როგორც კი დაინახავს რომ პოზიცია ხელში შემოაცვდა და ვეღარ უნიავეს, მოისვრის და ახალს იღებს. შიგადაშიგ მარგალიტებსაც შეათამაშებს. მას ნინო ბურჯანაძე ჰქვია. მას ერთმა ჟურნალისტმა ჯერ კიდევ მაშინ უწოდა პოლიტიკური ბარბი, როცა ქვეყანას ის ყველაზე საიმედო პოლიტიკოსად ესახებოდა“. წინადადებაში „პოზიციებს იცვლის მარაოსავით. როგორც კი დაინახავს რომ პოზიცია ხელში შემოაცვდა და ვეღარ უნიავეს, მოისვრის და ახალს იღებს“ ფელეტონისტი მხატვრული შედარებით „პოზიციებს იცვლის მარაოსავით“ დასცინის ცნობილ ქართველ პოლიტიკოსს და მისი პოლიტიკური ხედვის ხშირ ცვალებადობაზე მიუთითებს. ავტორ-ფელეტონისტის მიერ გამოყენებული მეტაფორა „როგორც კი დაინახავს რომ პოზიცია ხელში შემოაცვდა და ვეღარ უნიავეს, მოისვრის“ აგრძელებს ზემოთ დასახელებული მიზნის განხორციელებას, დასცინოს პოლიტიკოსს არამდგრადი პოლიტიკური ხედვის გამო. ფელეტონისტს არ ავიწყდება ნ. ბურჯანაძის მარგალიტებიც („შიგადაშიგ მარგალიტებსაც შეათამაშებს“) და პოლიტიკოსის სიყვარულს მარგალიტის ყელსაბამების მიმართ დაცინვის საგნად აქცევს. ფელეტონისტი არ არის გულგრილი პოლიტიკოსის გარეგნობის მიმართ, რასაც მოწმობს მეტონიმი „პოლიტიკური ბარბი“. შატაკიშვილი დასცინის ნ. ბურჯანაძეს მაშინაც, როცა ამბობს: პოლიტიკაში ავაზის ნახტომისთვის მოემზადა, დაიჯერა რომ ვარდების რევოლუცია მისი მოწყობილი იყო და ახალი რევოლუციის კეთებას მიჰყო ხელი. ავაზის ნახტომისთვის მოემზადა და დანარჩენ ოპოზიციასთან ერთად ზედ რუსთაველზე გაიშლართა მისი ამბიცია (შატაკიშვილი, 2011). მოცემულ მაგალითშიც საყურადღებოა მეტაფორა „ზედ რუსთაველზე გაიშლართა მისი ამბიცია“ რაც პოლიტიკოსის კიდევ ერთ კრახზე მიუთითებს.

2015 წელს ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პოლიტიკურ-ეკონომიკურ თემას ლარის გაუფასურება წარმოადგენდა. ამ თემას არაერთი ფელეტონი მიუძღვნეს ქართველმა პუბლიცისტებმა. ერთ-ერთ მათგანში „დუმილი ოქროა?“ ლარის გაუფასურება მიხეილ სააკაშვილის გაქცევასთან არის შედარებული. ეს შედარება მართლაც ორიგინალურია და შესაბამისად ექსპრესიულობითაც გამოირჩევა: მიშასავით გაიქცა ლარი, მიშას დაცვასავით დაედევნა მთელი ეკონომიკური გუნდი და სანამ ივანიშვილმა არ დაუდო ფეხი და განცხადება არ გააკეთა, მანამდე ვერ გააჩერეს. პრინციპში, გაჩერებაც არის და გაჩერებაც, მთლიანობაში ლარს 50 თეთრზე მეტი აქვს მომატებული და თუ მიშას მიერ დაკარგული ტერიტორიებივით არ დაიწყო კლება, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით.

მწარე ირონია იგრძნობა ინტერნეტ წყაროებით გავრცელებულ ანონიმურ ფელეტონ-წერილში, რომელიც თითქოს საქართველოში მცხოვრები ჩინელი მოვაჭრის პირითაა დაწერილი. იგი წერილს წერს დედას ჩინეთში და უყვება საქართველოს, ქართველი ხალხის და მათი წეს-ჩვეულებების შესახებ. ფელეტონის ავტორს სააშკარაოზე გამოაქვს ქართველი ხალხის მანკიერი მხარეები: საკუთარი დედის გინება, ჩხუბი, ტყუილი, სასმელის სიყვარული, უცნაური გლოვა თუ მოლხენა.

.....ჩემს მეზობლად მოხუცი კაცი გარდაიცვალა, ქელეხია და მთვრალი ჭირისუფლები მღერიან. მაინც არ მაძინებენ და გადავწყვიტე წერილი მოგწეროთ..... უცნაური ხალხია. მაგალითად ერთი კვირის წინ ვნახე როგორ მოკლა ცემით ერთმა ბიჭმა მეორე დედის შეგინებისთვის და შემდეგ როგორ ყვებოდა ამ ამბავს და თან თავის საკუთარ დედას აგინებდა. ვნახე, როგორ სვამდა ერთი კაცი ორ ლიტრიანი სასმისით და თითებში სიგარეტით ჯანმრთელობის სადღეგრძელოს; ვნახე ბანანების გამყიდველი, რომელსაც ბანანი არასოდეს უჭამია, იმიტომ, რომ ძვირი ღირს; ვნახე ყურძნის არაყი, რომელიც ბაზრობაზე ერთი ჭიქა ათი ცენტი ღირს და ზუსტად იგივე არაყი კაფეში – ათი დოლარი; აქ ძალიან ღარიბები და გაჭირვებულებიც, კი მსუქნები არიან; ჩვენ ჩუსტებს, კეტებს და წებოს აქ სხვანაირად აფასებენ – ძვირი ღირს.

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში სტილისტური ხერხის – ანტონომასიის საშუალებით დახატულია პარადოქსალური სურათი: ქელებია და შეზარხოშებული ჭირისუფალი მღერის; ბიჭი, რომელმაც დედის გინება არ აპატია მეორეს, თავის თავს საკუთარ დედას აგინებს; სასმისით და სიგარეტით ხელში მამაკაცი ჯანმრთელობას ადღეგრძელებს; ბანანის გამყიდველი ბანანს ყიდის, მაგრამ ბანანის გემო არ იცის; უჭირთ ცხოვრება, მაგრამ მაინც მსუქნები არიან;

ქართველი მკითხველისთვის ეს ნაწყვეტი შესაძლებელია გაზვიადების ელემენტებსაც შეიცავდეს, მაგრამ ფაქტია, რომ უცხოელის თვალთ დასახული ქართველები ასეთია. ფაქტია, რომ ერთ დროს ბევრი ღირსების მატარებელი ქართველი ერი დღითი დღე კარგავს ფასეულობებს და უცხოელის მიერ დასაცინი ხდება. ეჭვიც არავის ეპარება, რომ წარმოდგენილი ფელეტონი ქართველი ავტორის მიერ არის დაწერილი, მაგრამ ავტორი იუჩინარებს საკუთარ თავს და ვინმე ჩინელ მოვაჭრეს აკეთებინებს თანამედროვე საქართველოს შეფასებას. ასე ქართველ მკითხველს კიდევ უფრო შერცხვება, დაფიქრდება ერის ნაკლოვანებებზე და შეეცდება არ გახდეს სხვების დასაცინი.

ქართულ ფელეტონებში ალუზიის და ანალოგიის გამოყენება საკმაოდ ხშირია. აღნიშნული აზრის დასამტკიცებლად გამოგვადგება ფელეტონი სათაურით „ბორშიხვრეპია მიშას გაიგივება ზაქიჭამია გიორგი მეთორმეტესთან“. სათაურშივე მკითხველი ყურადღებას აქცევს ანალოგიას – საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის გაიგივებას საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან. დაისმის კითხვა: საიდან ეს ანალოგია? ისტორიიდან ცნობილია, რომ მეფე გიორგი გურმანი იყო, ჰქონდა ქეიფის საკუთარი წესი და ძალიან უყვარდა ზაქის ხორცი. ხალხმა მეფის ეს სისუსტე ხუმრობის თემად აქცია და ზედსახელი „ზაქიჭამიაც“ აქედან წამოვიდა. ქართველი ხალხისთვის ასევე ცნობილია ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გურმანობის ამბავიც. ფელეტონის ავტორი სწორედ მიხეილ სააკაშვილის ამ სისუსტეზე ამახვილებს ყურადღებას და მას „ხვრეპია მეფის“ სახელით მოიხსენიებს. ფელეტონში ადგილი აქვს ისტორიულ ალუზიას, რომელიც ინტერტექსტუალურ ჩანართად უნდა მივიჩნიოთ. ფელეტონში ასევე დაცინვის საგნად არის ქცეული ექსპრეზიდენტის პოლიგლოტობა. როდესაც

მას მალემსრბოლელი ყანწს მიაართმევს და მასზე უცხო ენაზე მიწერილი ტექსტის წაკითხვას შესთავაზებს, იგი პასუხობს: „იმდენი უცხო ენა ვიცი, შენ ვერც დაითვლიო“. ფელეტონში ნახსენებია იმჟამინდელი ქართლის მსხვილი ფეოდალის, ანდუყაფარ ამილახვარის და ვეზირი ვანოს სახელიც. ცხადია, რომ ვეზირი ვანო იგივე ვანო მერაბიშვილია, ხოლო ანდუყაფარ ამილახვრად რომელიმე რეგიონის ხელმძღვანელი უნდა მივიჩნიოთ, რომელთანაც სააკაშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ფელეტონის დასასრულს ნაჩვენებია, რომ ქვეყანას თავს ესხმიან ლეკები, მაგრამ როცა მეფეს, იგივე სააკაშვილს ამის შესახებ მოახსენებენ და სათანადო ზომების გატარებას სთხოვენ, იგი ამბობს: „რა დროს ლეკებია, ბრიყვო, საქეიფოდ მივდივართ“. ფელეტონში სატირისა და იუმორის საშუალებით დახატულია საქართველოს ექსპრეზიდენტის და იმჟამინდელი მთავრობის მანკიერი მხარეები – ქვეყნის ინტერესების არად მიჩნევა და საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრი. რეალისტური ბუნება, იდეოლოგიურობა და გროტესკულობა – არის ფელეტონის „სატირული სამყაროს სურათი“.

რაც შეეხება ინგლისურ ფელეტონებს, მათშიც მრავლად ვპოულობთ ირონიის, სარკაზმის, იუმორით გაჟღენთილი მეტაფორების, ეპიტეტების, შედარებების, ალუზიების, ალეგორიის, პაროდის მაგალითებს.

თანამედროვე სატირულ-იუმორისტულ სტატიაში: **“Queen Victoria Sells her Granny Panties at UK Auction”** („დედოფალი ვიქტორია ბების საცვლებს აუქციონზე ჰყიდის“), (**The Spooft, 20.07. 2015**) წარმოდგენილია ინგლისის მონარქის – დედოფალ ვიქტორიას პაროდია. აღნიშნული მაგალითი ისტორიულ რემინისცენციასაც წარმოადგენს. მთავარი გმირი, აწ გარდაცვლილი დედოფალი ვიქტორია დროის მანქანის საშუალებით ბრუნდება XXI საუკუნის ლონდონში. იგი აუქციონზე საკმაოდ სარფიანად გაყიდის თავისი ბების ნაქონ ქვედა საცვლებს (ე.წ. ფოხანებს), შემდეგ შედის ცნობილი თეთრეულის მაღაზიაში “Victoria’s Secret Store” და საუკეთესო ხარისხის, სექსუალურ საცვლებს ყიდულობს თავისთვის. დედოფალი ვიქტორია სუპერ თანამედროვე ქალად გვევლინება. იგი მაღაზიის გამყიდველს ეუბნება: “Time for a change. It’s a new day. I’m sick of the old Victorian stuff. („ცვლილებების დროა. ყელში ამომივიდა ვიქტორიანული ძველმანები“ – თარგმანი ჩვენია). მაღაზიიდან

გამოსული დედოფალი ვიქტორია გამვლელისგან ითხოვებს აიფონს და ამჟამინდელ დედოფალს, ელიზაბეტ II-ს ტექსტურ შეტყობინებას გაუგზავნის: “Love it here. Always wanted 2 visit the store named after me. Awesome. U Shld shop here” („ძალიან მომეწონა აქაურობა. ყოველთვის მინდოდა ჩემი სახელობის მაღაზიაში მეყიდა რამე. არაჩვეულებრივია აქ ყველაფერი; გირჩევ ესტუმრო ამ მაღაზიას” – თარგმანი ჩვენია). დავაკვირდეთ იმას, თუ როგორ გარდაისახა დედოფალი ვიქტორია. მან აუქციონზე გაყიდა ბებიის ფოხანები, თავადაც გაიხადა გრძელი საცვლები, საუკეთესო თეთრეულის მაღაზიაში თანამედროვე ბრენდის საცვლები შეიძინა, აიფონიც მშვენივრად მოირგო და თანამედროვე ინგლისელი თინეიჯერით დაიწყო ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა. დავაკვირდეთ იმასაც, რომ დედოფალი ვიქტორია მშვენივრად იცნობს თანამედროვე ტექსტური შეტყობინების წერის სტილს: ელიპტიკური წინადადებები, შემოკლებები. ეს ფელეტონი არის დაცინვა ინგლისურ კონსერვატიზმზე და დედოფალ ელიზაბეტ II-ზე, რომლის ჩაცმის სტილი არ იცვლება ათეული წლების მანძილზე. მასზე თანამედროვე და პროგრესულად მოაზროვნე გამოდგა წარსულიდან დროებით დაბრუნებული დედოფალი ვიქტორია, რომელმაც, დროებით დაბრუნებულმაც კი, ფეხი აუწყო თანამედროვეობას. აი როგორი უნდა იყოს თანამედროვე ცხოვრებაში დედოფალი – გვეუბნება ფელეტონისტი.

ქვემოთ წარმოვადგენთ ამონარიდებს იუმორისტული მოთხრობის სტილში დაწერილი ფელეტონიდან ოსიმორონული სათაურით “**The Poor Little Rich Girl**” („საწყალი პატარა მდიდარი გოგონა“) (The Punch, Vol. 146, Jan 17, 1914). ფელეტონში ნაჩვენებია მწარე სინამდვილე, კერძოდ თუ რა საცოდავად იზრდებიან წარჩინებული ოჯახების შვილები, რომ ერთი შეხედვით არაფერი აკლიათ, მაგრამ ამავდროულად ყველაფერს მოკლებულნი არიან. აი რატომ არის მდიდარი ოჯახის შვილი საცოდავი: **Poor Little Rich Girl** is poor because her parents are too rich. Her father is too busy with finance and her mother with social climbing to spare time for their daughter’s company, so they leave her to the care of governesses and menials („საწყალი პატარა მდიდარი გოგონის გამოა საცოდავი, რომ მისი მშობლები ძალიან მდიდრები არიან. მამამისი ფინანსისტია, დედა კარიერისტი. დაკავებული მშობლები საკუთარი შვილის ბედს აღმზრდელებს ანდობენ“ – თარგმანი ჩვენია). მწარე ირონია და სარკაზმი იგრძნობა

გოგონას მშობლების დახასიათებაში, რომელიც სავსეა მეტაფორებით: Her father, who is a stranger to her, comes on dressed in banknotes and chained to a safe; her mother, also a stranger, wears a society bee which buzzes in the place where her bonnet would have been („მითვის უცნობი მამა ბანკნოტებში გახვეული ბრუნდება სახლში და სეიფს მიეჯაჭვება. მისთვის უცნობი დედა მუდამ საზოგადოებაში ფუსფუსებს“ – მ.მ). აქ არის საინტერესო სიმბოლო – ადამიანის სიმდიდრისადმი მონობის სიმბოლო, რომელიც შემდეგ გაპიროვნების მაგალითში აისახება: The father in his banknotes lashed to a ponderous safe („მამა თავისი ბანკნოტებიანად უზარმაზარი სეიფისკენ გაქანდა“ – მ.მ).

გარდა ლექსიკური სტილისტიკური ხერხებისა (ირონია, სარკაზმი, გაზვიადება, ეპითეტი, შედარება, მეტაფორა და სხვ), ფელეტონებში შევხვდით სინტაქსურ სტილისტიკურ ხერხებსაც, მაგალითად გამეორებას, რიტორიკულ შეკითხვას, თხრობის დროს წყვეტილს. ასევე შევხვდით კონცეპტუალურ სიტყვებზე აქცენტირებას, რომელიც გრაფიკული ფორმით იყო გამოხატული აზრის ეფექტურად გადმოცემისთვის. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ სახის ერთ მაგალითს. ფელეტონი **“Quit this Tomfooling”** („შეწყვიტეთ ხალხის გაპამპულება“) დაწერილია ერთი უბრალო ინგლისელი მოქალაქის პირით, რომელიც ხელისუფლებას ადანაშაულებს ხალხის აბუჩად აგდებაში და „გაპამპულებაში“ (The Wipers Times, 26 February, 1916, No2, Vol.1). წარმოვადგენთ ნაწყვეტს ფელეტონიდან: What have you done? – I ask you what HAVE you done? The answer shame upon you wretched people is nothing – NOTHING. Can you hear the voice of babes yet unborn to you crying the ages – NOTHING? ... I tell you stop – STOP it now – at once! STOP THIS DAMNED NONSENSE! („რა გააკეთეთ? – გეკითხებით, რა გააკეთეთ? ნუთუ არა გრცხვენიათ გაჭირვებული ადამიანების, ნუთუ არ გესმით ჯერ კიდევ არ დაბადებული ბავშვების ტირილი, ნუთუ მართლა არაფერი გესმით? ... ეხლავე შეწყვიტეთ..... შეწყვიტეთ ეს წყეული სისულელე! – თარგმანი ჩვენია). ინგლისელი მოქალაქე საკმაოდ მკაცრად მოითხოვს პასუხს ხელისუფლებისგან და გამუდმებით იმეორებს ფრაზას „რა გააკეთეთ?“ საყურადღებოა სიტყვის „არაფერი“ გამეორებაც, რაც გრაფიკულადაც ასომთავრულით არის გამოხატული. ასევე გრაფიკული თვალსაზრისით თვალს გვჭრის სიტყვა „შეწყვიტეთ“, რომელიც ჯერ ჩვეულებრივ, არა ასომთავრულით არის

წარმოდგენილი, შემდეგ გრადაციას განიცდის და გვხვდება ჯერ ასომთავრულით და ნაწყვეტის ბოლოს საკმაოდ მკაცრ მოთხოვნად წარმოგვიდგება ისევ და ისევ ასომთავრულით გამოხატულ წინადადებაში: „შეწყვიტეთ ეს წყეული სისულელე“. აღნიშნული ფელეტონი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხშირად ირონიულ ტექსტს სერიოზული შინაარსის ტექსტი ჩაანაცვლებს. საქმის სიმწვავიდან გამომდინარე, ზოგჯერ ქვეტექსტური ირონია არ ჭრის და მწვავე კრიტიკაა საჭირო.

კვლევამ დაგვანახა, რომ ფელეტონი საკმაოდ ექსპრესიულია, მასში ვხვდებით ტროპთა ნაირსახეობებს, რომლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე და გარკვეულ წილად ესთეტიკურ ტკბობასაც გვრის მათ.

3.2. ფელეტონის სტრუქტურული თავისებურებები

ფელეტონის ჰიბრიდული ბუნება (ფელეტონი-იუმორისტული მოთხრობა, ფელეტონი-იუმორისტული სტატია; ფელეტონი-ნარკვევი, ფელეტონი-პამფლეტი, ფელეტონი-ზღაპარი, ფელეტონი-წერილი და ა.შ.) განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მკვლევრებს არ ძალუბთ ფელეტონის სტრუქტურული თავისებურებების გამოყოფა. მათი აზრით, ფელეტონი როგორც ჟანრი, ჰიბრიდულია და მან შეიძლება შეითვისოს ნებისმიერი ჟანრისთვის (მხატვრული თუ პუბლიცისტური) დამახასიათებელი სტრუქტურული თავისებურებები. ასე მაგალითად, ფელეტონ-იუმორისტულ მოთხრობას – მოთხრობისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა გააჩნია, ფელეტონ-წერილს – წერილისთვის დამახასიათებელი; ფელეტონი-ნარკვევი – ესეს სტილშია დაწერილი, ფელეტონი-ლექსი – ლექსის ფორმით წარმოგვიდგება და ა.შ.

ქართველი მკვლევარი ი. ჩხობაძე თვლის, რომ ფელეტონთან ყველაზე ახლო მდგომი, მომიჯნავე ჟანრებია მამხილებელი სტატია და სატირულ-იუმორისტული მოთხრობა (ჩხობაძე, 2006:376). შესაბამისად, ფელეტონი სწორედ მამხილებელი სტატიის, იუმორისტული მოთხრობის და კრიტიკული ესეს / ნარკვევის ფორმით წარმოგვიდგება ყველაზე ხშირად. ქვემოთ შევეცდებით ქართული ფელეტონების (ფელეტონის იგივე ჰიბრიდული ფორმები შეგხვდა ინგლისურშიც) მაგალითზე წარმოვაჩინოთ ის სტრუქტურული თავისებურებები, რომლითაც ფელეტონი

ემგავსება იუმორისტულ მოთხრობას, მამხილებელ სტატიას, კრიტიკულ ესეს, ლექსს, ნეკროლოგს, წერილს და ა.შ.

ფელეტონი სატირულ-იუმორისტული მოთხრობის მსგავსად სატირულ დისკურსს განეკუთვნება. ორივე მსჯელობის საგნად ირჩევს ისეთ მოვლენას, რომელიც სუბიექტური გაშუქების საშუალებას იძლევა და მასზე მსჯელობისას უხვად იყენებს სტილისტურ ხერხებს: ირონია, სატირა, გროტესკი, სარკაზმი, სატირული მეტაფორები, პაროდული ელემენტები. ამასთანავე ორივე შეფასებითია. ორივეში ვხვდებით მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს: კომპოზიციას, სიუჟეტს, მხატვრულ სახეს. ხშირად იმდენად ძნელდება მათ შორის საზღვრის დადგენა, რომ ზოგიერთი ავტორ-ფელეტონისტის ნაწარმოები ერთდროულად იუმორისტულ მოთხრობად და ფელეტონად მოიხსენიება. ამის საუკეთესო მაგალითია ნ. დუმბაძის, ა. ჩეხოვის იუმორისტული მოთხრობები.

ფელეტონსა და სატირულ-იუმორისტულ მოთხრობას შორის არსებული სტრუქტურული მსგავსება-განსხვავებების დადგენის მიზნით, გავაანალიზოთ ნ. დუმბაძის ცნობილი იუმორისტული მოთხრობა „ქელები“ (დუმბაძე, 1990:488-493) და შევადაროთ იგი თ. ჭეიშვილის ფელეტონად აღიარებულ იმავე სათაურის მქონე ტექსტს.

	ნ. დუმბაძის იუმორისტული მოთხრობა „ქელები“	თ. ჭეიშვილის ფელეტონი „ქელები“
წინათქმა	ძალიან სცდებით, თუ გგონიათ, რომ ქელები მიცვალებულის სულის საპატივცემოდ გამართული ბანკეტი იყოს და სხვა არაფერი. მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა, ან როგორ განმარტავდა მას საბა თავის ლექსიკონში, მაგრამ გურიაში ქელები ბევრ	წინათქმის გარეშე

	რამეს ნიშნავს.	
ექსპოზიცია	თითქოს მიქელგაბრიელს ამის შესახებ სპეციალური დადგენილება ჰქონდეს გამოტანილი, ადამიანები რატომღაც უფრო ხშირად ნაშუადამევს კვდებიან. ასე მოუვიდა ალათი ბებიასაც. მე მაშინ სოფელში ვიყავი და დავესწარი მის დასაფლავებას.	ვასიკოს ბებიის გარდაცვალების ამბავი მეხვიით გავარდა სოფელ ქვემო ქელეხეთში და ზემო ქელეხეთამდისაც მიაღწია. ვასიკო იმ დროს უმუშევარი გახლდათ, მაგრამ არ დაბნეულა ბიჭი: აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მეზობლებს, მოყვრებს დაესესხა რამდენიმე ათას მანეთს. საკლავი მორეკა, პური და ღვინო მოზიდა.
კვანძი	შევედი ეზოს სიღრმეში და საქელეხო სამზადისს დავუწყე თვალყურის დევნება. უზარმაზარ საარყე ქვაბებში ლობიო დუღს და ნერვიულობს. ღომი ფშვინავს და იბერება, ფლავი იხრუკება და მოზვერი იხარშება. სამასკაციან სუფრაზე დახვავებულია: ყველი, ცოცხალი, ხიზილალა, ტარანი, მწვანილი, „ვინიგრეტი“, ფხალი, არაყი, ღვინო, პური, მჭადი, მარილი, – მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ქორწილს ესაჭიროება. პროცესიაზე მოსული გულშემატკივრები კი სევდიანი და მგლოვიარე ხმით ესიტყვებიან ერთმანეთს.	მოვიდა ხალხი და დაიწყო გლოვა. . . ვასოს ბიძაშვილი, ტიტვიკო ჭიშკართან იჯდა წინ ქალაღადაფარებული მაგიდა ედგა, მარჯვნივ საანგარიშო ედო, მარცხნივ – ღვინიანი დოქი, ხელში სია ეჭირა და ეზოში მანამ არ შემოუშვებდა არავის, სანამ საყოველთაოდ დაწესებულ გადასახადს არ გადაახდევინებდა.
კულმინაცია	როგორც იქნა, ხალხი მიიპატიჟეს სუფრაზე და დაიწყო ქეიფი. ალათი ბიცოლა კი წევს და ელოდება, როდის გაძლება 1000	ნაშუადამევს ვასიკო და ტიტვიკო ოდაში ჩაიკეტნენ. –ათასი! სამი ათასი! ათი ათასი! ჩვიდმეტი ათასი! სულ ჩვიდმეტი

	<p>კაცი. მზე უკანასკნელად ჩადის ალათისთვის. ეზოში ღვინით გაბრუებული ხალხი დაბორიანებს.... ოთხჯერ წაუჩოქეს გზაში კუბოს წამლებებმა ალათი ბეზიას კუბოს, სამჯერ ამოაგდეს კუბოდან, სამჯერ ჩაიხუტეს გულში და სამჯერ ჩაასვენეს ისევ კუბოში, ბოლოს, როგორც იქნა, მიიყვანეს სასაფლაოზე.</p>	<p>ათას რვაასოცდახუთი მანეთი შემოვიდა, ჩემო ვასიკო!</p> <p>– ბეზიაჩემის სული აცხონოს ღმერთმა. ახლა ამ ფულით სამი ათას მანეთს ვალს გავისტუმრებთ, დანარჩენს კი მე და შენ გავიყოფთ.</p> <p>– ვასიკო, ადექი, ბეზია გენაცვალოს, უკვე ათი საათია! – აღვიძებდა ვასოს ბეზიამისი და ახლგამელოტებულ თავზე ნაზად უსვამდა დამჭკნარ თითებს ...</p>
კვანძის გახსნა	<p>გარდაცვლილს ტირილი და პატივისცემა უნდა და მაგი ჩვენზე უკეთესად არავინ იცის, მარა ნამეტანი არაფერი არ ვარგა.</p>	<p>–შენ ცოცხალი ხარ, ბეზია?</p> <p>–აბა რავა? განცვიფრებისგან პირი დაალო მოხუცმა. ხომ არაფერი დაგესიზმრა, ბეზია გენაცვალოს!</p>
ბოლოთქმა	<p>თენდებოდა. ალათი ბეზიას სახლის ახლომახლო თავშეკავებული მრავალჟამიერი გუგუნებდა.</p>	<p>ბოლოთქმის გარეშე</p>
კონფლიქტი	<p>გარეგანი კონფლიქტი – ავტორი ქელების ტრადიციის წინააღმდეგ</p>	<p>გარეგანი კონფლიქტი – ავტორი ქელების ტრადიციის წინააღმდეგ</p>
ნაწარმოების გმირები	<p>ავტორი, ბიკენტი, ნინიჩკა, ბესო, მიხაკო, რაჟდენა, ამბაკო ბაბუა</p>	<p>ვასიკო, ტიტვიკო, ბეზია</p>

ზემოთ განხილული ორივე ნაწარმოები იდეური თვალსაზრისით მსგავსია. მათში დაცინვის საგანია 1500 კაციანი ქელები და ის ქართველები, რომელთაც ქელებით უყვართ თავის გამოჩენა. ორივე ნაწარმოებში სატირულად არის დახატული ქელებისთვის მზადება, უამრავი საკლავის დაკვლის პროცესი,

შეზარხოშებული ჭირისუფალი, რომელსაც მიცვალებულის გამოსვენება ავიწყდება და ის სიხარული, რომელიც გასვენების შემდეგ გვიან ღამით „გადასახურავის“ დათვლას მოყვება ხოლმე. ორივე ნაწარმოების ავტორის იუმორის მიზანია ცალკეული პიროვნებების და სიტუაციების სასაცილო კუთხით წარმოჩენა. ეს ორი ტექსტი სტრუქტურულადაც მსგავსია. ორივე მათგანში ჩანს სიუჟეტის განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტები: ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ა.შ. აქა-იქ გვხვდება ლირიკული ჩართულებიც. რაც შეეხება განსხვავებას, განსხვავება იმაშია, რომ ნ.დუმბაძის იუმორისტულ მოთხრობაში იუმორი რბილია, მკითხველს ღიმილს გვრის, ჩააფიქრებს, მაგრამ აგრესიას არ იწვევს. ხოლო ფელეტონის იუმორი მკითხველის გართობაზე მეტად, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ცდილობს, მისი იუმორი გაცილებით მწვავეა. როგორც ვხედავთ სტრუქტურული განსხვავება იუმორისტულ მოთხრობასა და ფელეტონს შორის არ არსებობს, განსხვავება იუმორის სიმწვავეშია.

ზოგჯერ ფელეტონი სტრუქტურულად კრიტიკულ ესეს ემსგავსება. თუკი ფელეტონში, რომელსაც იუმორისტული მოთხრობის ფორმა გააჩნდა, მთავარი ყურადღება ამბის თხრობაზე, ნარაციაზე იყო გამახვილებული, ესეს ფორმის ფელეტონში ყურადღება ავტორისეული აზრის წარმოჩენაზე, საზოგადოებისთვის საჭირობოტო საკითხის კრიტიკულ შეფასებასა და მსჯელობაზეა შეჩერებული. ამ სახის ფელეტონში სამი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა: შესავალი, მთავარი ნაწილი და დასკვნა. საილუსტრაციოდ გამოგვადგება ფელეტონი სათაურით „მასწავლებელი და მისი მოვალეობანი“ („დროება“ № 13, 1983).

შესავალი: სასწავლებელი, მასწავლებელი, მოსწავლე – ეს სამი სიტყვა ჰგავს ერთმანეთს არა მარტო გარეგანის შეხედულებით, არამედ შინაგანი ხასიათითაც, რომელიც უფრო თვალსაჩინოა და უფრო მკვიდრად აკავშირებს მათ. არც ერთი მათგანი არ არის ახლად შემოღებული სიტყვა: იგინი არსებობენ დიდი ხანია. მათი დაბადება ხალხთა შორის უახლოვდება თვით ადამიანის დაბადებას. მაშასადამე ყველას სმენია, ყველას გაუგონია ეს სიტყვები.... საკვირველი რამ არის, ჩვენს დროში სწავლა–განათლების საქმე! თითქო ყველამ ერთგვარად იგრძნო დროის მოთხოვნილება, ყველა შეჰხარის სკოლებს და სწადიან მათი გავრცელება.

მთავარი ნაწილი: მერე რა გამოვიდა ამ მიმართებით? – ყმაწვილმა დაჰყო ორი წელიწადი სასწავლებელში – მესამე წელიწადს ზის იგი სკამზე, უჭირავს ხელში წიგნი და თვალცრემლიანი უზიარებს თავის ტოლ-ამხანაგებს ახლად აშლილ ფიქრებს: „ღმერთო ჩემო, განა შევესწრობი იმ ბედნიერს დღეს სკოლაში აღარ ვიყო? შევესწრობი იმ დროს, რომ ვთქვა ეხლა გავათავე სწავლა და სრული თავისუფალი ვარო? ოჰ, შემძულდა ეს კედლები, მომბეძრდა შეგირდობა!

ხედავთ, ბედნიერების მაგივრად, რა ნაღველში და ბოროტში ჩავარდნილა ეს უსუსური ქმნილება? ვინ არის დამნაშავე? იქნება მისი კეთილი მშობელი? – სრულიადაც არა: მან თავისი მოვალეობა წმინდად აღასრულა, და დარწმუნებულიც არის, რომ მისი შვილი ბედნიერია, რადგან სკოლის გარეთ არ დარჩა და მაშასადამე, აუცილებლად ადრე თუ გვიან შეიქმნება განათლებულ კაცად, სასარგებლოდ თავის თავისა და თავის სამშობლოსი.

.... ვინ არის სკოლის დაწვის მიზეზი? ვინ არის მოვალე იმ ბავშვის მასწავლებლის დათხოვნისა საზოგადოებისგან! ვინ არის მოვალე იმ ბავშვის წინაშე, რომელიც ესე სიძულვილით უყურებს შეგირდობას და რომელსაც წმინდა სასწავლებელი საპყრობილედ მიაჩნია? ვინ უნდა იყოს ბოლოს აქ გასაკითხი, რომ მასწავლებელს სიცოცხლე და უქმე თუ სანატრელად შექმნია? მასწავლებელი, მასწავლებელი და კიდევ მასწავლებელი!

დასკვნა: სიყვარული მოწაფისადმი მასწავლებელს გზას უკვლევს: არა ერთხელ უჩვენებს თუ როგორ მოიქცეს ერთს ან მეორე გასაჭირ შემთხვევაში და ჰბადებს მასში მოთმინებას, რაიცა შეადგენს მის უსაჭიროეს ხასიათს.

ფელეტონში წინა პლანზეა წამოწეული ფელეტონისტის სუბიექტური შეხედულება, საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს პირველ პირში; გამოყენებულია არა ერთი რიტორიკული შეკითხვა; ფელეტონის სტრუქტურა იდენტურია ესეს სტრუქტურისა, რაც გვამძლევს იმის საფუძველს, რომ ვამტკიცოთ, ფელეტონს შეუძლია დაემსგავსოს ნებისმიერი ჟანრის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებს.

ფელეტონი შეიძლება დაწერილი იყოს დიალოგური ფორმით (დრამატული ფელეტონი). **ფელეტონი – დიალოგის** ნათელი მაგალითია ა. წერეთლის „ბენია და ბემტია“. წარმოვადგენთ ნაწყვეტს ფელეტონიდან:

ბენია: ძლივს, ძლივს მელირსა შენი ნახვა ჩემო ბეშტია! აგერ სამ თვეზე მეტი იქნება ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ და აღარ გვიბაასნია ქვეყნის წალმა-უკუღმა ტრიალზე. სად იყავი, მეგობარო, ავით ხო არ ყოფილხარ?

ბეშტია: ეეჰ, ჩემო ძვირფასო, ავით არ ვყოფილვარ, მარა არც კაი საქმე მჭირვებია! სულ გაანადგურეს აი ჩვენი იმერეთი ოჯახდაქცეულებმა!გურია ხომ, საწყალი გურია, სულ ნაცარტუტად აქციეს. ამის მნახველს და მაყურებელს გულზე ბოღმა შემომმაწვა და ქე ვიჯექი სულ სახლში. ახლა, ცოტა გულზე მომიშვა, და შენკენ გამოვეშურე, ჩემო ბენია, თქვენკენ მომხდარი არჩევნების ამბების გასაგებათ.

ბენია: შენ უთუოდ ხულიგნების არჩევნების საქმე უფრო გაინტერესებს, სხვა თვითონაც გეცოდინება, და ამას გაგაცნობ.

ბეშტია: მეც სწორეთ მაგის კითხვა მინდოდა.

ბენია: ხულიგნების ისტორია თავიდან შენც გეცოდინება. იმათი თხოვნით მთავრობამ ზაკონ-კანონი გამოუშვა, რომელსაც სამი ივნისის კანონს ეძახიან. ამ კანონის ძალით შარშანდელი არჩევნების კანონი თავუკუღმა შეიცვალა, დაკოჭლდა, დაბრუციანდა, ერთი სიტყვით დამახინჯდა.

წარმოდგენილ ნაწყვეტში დიალოგი ბეშტიასა და ბენიას შორის მიმდინარეობს. ისინი საქართველოს ორი სხვადასხვა კუთხიდან არიან, ამიტომაც მათ დიალოგში სჭარბობს კოლოკვიალური ლექსიკა და დიალექტიზმები. ფელეტონი-დიალოგი ხალხური კილოთი და ხალხური ფორმით გამოირჩევა, რითაც ფელეტონისტი კიდევ უფრო დამაჯერებლად წარმოაჩენს უბრალო ხალხის გულისტკივილს.

ფელეტონს შესაძლოა ლექსის ფორმაც გააჩნდეს. საილუსტრაციოდ კვლავ აკაკი წერეთლის **ლექსი-ფელეტონი** გამოგვადგება. „დროების“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა აკაკის სატირითა და იუმორით აღსავსე ფელეტონები, რომლებშიც ხშირად ჩართული იყო პოეტის ლირიკული შედევრები. ქვემოთ წარმოდგენილი პოეტური ფელეტონით პოეტი სასტიკად ამათრახებს გაბატონებული ფენებიდან გამოსულ დეგრადირებულ ახალ თაობას („ჭრელაძეებს“), რომელსაც ეროვნული მრწამსი დაუკარგავს:

ქართულ ენას არად ხდიან,
შვილებს რუსულათა ჰზრდიან,
ტრედიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან.
ეს გახლავან ჭრელაძენი,
საქართველოს ფუჭნი ძენი,
უსწავლელნი სწავლულები,
კოტრი-კრეზნი, სულელ-ბრძენნი.

დავაკვირდეთ ფელეტონის კიდევ ერთ ფორმას – **ფელეტონ-ნეკროლოგს** და ვნახოთ თუ როგორ იძენს ფელეტონი ნეკროლოგისთვის დამახასიათებელ სტრუქტურას. სამაგალითოდ წარმოვადგენთ ნ. ბართაიას ფელეტონს სათაურით „ნეკროლოგი“ („ნიანგი“ №23, 1985).

შესავალი: ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელების მსმელი, ხალმრავალი სუფრების სახელგანთქმული თამადა კახურ ჩაფის ძე ყანწიაშვილი.

ბიოგრაფიული ცნობები: ყანწიაშვილი დაიბადა უბრალო მერიქიფის ოჯახში. შრომითი საქმიანობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო. ჯერ კიდევ ბავშვი იყო ჩაება იგი ღვინის სმაში. მალე პროფესიონალ მაყართა რიგებში ჩაირიცხა.

კ. ყანწიაშვილს, როგორც კარგ მსმელს, ერთ-ერთ დაბადების დღეზე ნიშნავენ თამადის მოადგილედ. აქედან მოყოლებული იწყება მისი ნამდვილი სათამადო კარიერა.

კ. ყანწიაშვილი ავტორია მრავალი ორიგინალური სადღეგრძელოსი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხმრავალ ქელებებსა და ქორწილებში განსხვავებული სასმისების დანერგვასა და გავრცელების საპატიო საქმეში ... ხალხმრავალ სუფრებზე მიღწეული წარმატებისათვის კ. ყანწიაშვილი მრავალგზის იყო დაჯილდოვებული გოჭის თავით, საქონლის ბეჭით, სხვადასხვა ოთხფეხა პირუტყვით.

დასკვნითი ნაწილი: სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ გაუგდია მას ხელიდან განსხვავებული სასმისები. სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელების უანგარო და ბოლომდე

ერთგული მსმელის, ხალხმრავალი სუფრების სახელგანთქმული თამადის – კ. ყანწიაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

ფელეტონის ჰიბრიდულ ფორმებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ დასკვნის სახით ვიტყვით: ქართული და ინგლისური ფელეტონი ძირითადად სამი განსხვავებული ფორმით არსებობს: ფელეტონი-იუმორისტული მოთხრობა, ფელეტონი - იუმორისტული სტატია, ფელეტონი - კრიტიკული / სატირული ესე. თუმცა ამ ფორმების გარდა საკმაოდ გავრცელებული ფორმებია ფელეტონი-ზღაპარი, ფელეტონი-წერილი, ფელეტონი-დიალოგი, ფელეტონი-ლექსი და ფელეტონი-პამფლეტი. ყველაზე იშვიათად გვხვდება ფელეტონი-ნეკროლოგი. სხვადასხვა სახის ფელეტონის სტრუქტურულმა ანალიზმა მიგვიყვანა მოსაზრებამდე, რომ ფელეტონი მრავალფეროვანი სტრუქტურით ხასიათდება და მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მხატვრული თუ პუბლიცისტური ჟანრის ფორმა. ის, რაც განარჩევს მას ჩვეულებრივი ლექსის, მოთხრობის, ზღაპრის, საგაზეთო სტატიის, ესეს, წერილის ან თუნდაც ნეკროლოგისაგან არის მძაფრი სატირა და იუმორი, საკითხის კრიტიკულად გააზრების და მისი მწვავედ წარმოჩენის სურვილი.

3.3. ფელეტონის სათაურების სპეციფიკა

ყველაფერი, რაც არსებობს ამ სამყაროში, ითხოვს სახელს. სახელის დარქმევით თითქოს სრულდება ერთგვარი რიტუალი და საგანს, მოვლენას, ფაქტს, ნებისმიერ ტექსტს, ენიჭება ფუნქცია. ტექსტისთვის სახელის დარქმევა შემოქმედებითი მოღვაწეობაა. ავტორი ტექსტის ბატონ-პატრონია, მან კარგად იცის, რისთვის და რატომ შეიქმნა ტექსტი. გაცნობიერებული აქვს მისი არსი, ფუნქცია, დანიშნულება, აზრი (ბარბაქაძე, 2012).

სათაურის ანალიზის პირველი მცდელობა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში განხორციელდა და მას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა რუსმა ესთეტმა და ლიტერატურათმცოდნე კრეიჭანოვსკიმ თავისი საპროგრამო ნაშრომით „სათაურის პოეტიკა“, რომელშიც ჩამოყალიბებულია სათაურისა და მისი ტექსტთან მიმართების ძირითადი, პრინციპულად მნიშვნელოვანი პოსტულატები. უმთავრესი დებულება, რომელსაც ავტორი აყალიბებს, არის მტკიცება იმის შესახებ, რომ „წიგნი – ეს არის

ბოლომდე გაშლილი სათაური, სათაური კი – ორ-სამ სიტყვამდე დაყვანილი მთლიანი ტექსტი. ავტორის აზრით, სათაური ისე უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული ტექსტთან, როგორც ტექსტში შემავალი თითოეული სიტყვა მათი საშუალებით გადმოცემულ ამბავთან. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ სათაურს საქმე აქვს არა „სიტყვიერ, ნედლ მასალასთან,” არამედ ესთეტიურად გააზრებულ მხატვრულ განზოგადებასთან (Кржижановский, 1931:16–17). როგორც კრეჩინოვსკი ამბობს, სათაურს ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც კონვერტზე დაწერილ მისამართს (გადაბაძე, 2015: 13).

სათაური სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრით ტექსტის მაინტეგრირებელი ელემენტია, რომელიც ტექსტის კონცეპტს გამოხატავს (Galperin, 1981:133–134; ლოტმანი, 1970: 33; 1992; Арнольд, 1978; ტურაევა, 1986, ლ. ჯოხაძე, 2008: 98–104). ფილოსოფიური ლექსიკონის განმარტების თანახმად, „სათაური არის ტექსტის ზოგადი იდეა და კონცეპტი“ (გადაბაძე, 2015:16).

ქართველი მკვლევრის ლ. ჯოხაძის აზრით, სათაური ერთდროულად მკითხველის განწყობის განმსაზღვრელიცაა და პირველი პროგნოზის ფუძემდებელიც (ჯოხაძე, 2008: 98-100).

რაკი სათაურს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ტექსტის აღქმის პროცესში და მას ტექსტთან გარკვეული აზრობრივი, შინაგანი კავშირი გააჩნია, რომელიც უზრუნველყოფს ნაწარმოების ქვეტექსტის, მთავარი იდეის სწორად გაგებას მიგვაჩნია, რომ ცალკე უნდა იქნას შესწავლილი არა მარტო ფელეტონების სათაურების სპეციფიკა, არამედ თვით სატირულ-იუმორისტული ჟურნალ-გაზეთების სათაურები.

თავდაპირველად მოვახდენთ ფელეტონთა სათაურების კლასიფიკაციას ჟენეტის (ჟენეტი, 1988) კლასიფიკაციის მიხედვით. ჟენეტი თვლის, რომ სათაური შეიძლება სამი ძირითადი სახისა იყოს: რემატული, თემატური და კომბინირებული.

რემატულია სათაურები რომლებიც მიუთითებენ ნაწარმოების ჟანრზე: „პატარა ფელეტონი“, „თიანეთური ფელეტონი“, “Talk of the town”(„ქალაქის ჭორები“), “Funny story“ („სასაცილო ამბავი“).

რემატული სათაურის მაგალითად გამოგვადგება ვაჟა ფშაველას (ჟულაკა გოგოჭურის ფსევდონიმით დაწერილი) „თიანეთური ფელეტონები“. სიტყვა „ფელეტონი“ ჟანრის მაჩვენებელია, ხოლო ტოპონიმი „თიანეთური“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფელეტონის ავტორს თიანეთის პრობლემებზე ექნება საუბარი.

თემატური სათაურები პირდაპირ ასახავენ ნაწარმოების ცენტრალურ თემას: „სასწრაფო დახმარება“, „სინდისი ჩალის ფასად“, „ლარის დატირება“, „ქელები“, „რემონტწადებულნი“, „Political woman“ („ქალი პოლიტიკაში“), „Buying a piano“ („პიანინოს შეძენა“). ფელეტონების სათაურებში სწორედ თემატური სათაურები დომინირებს. ამ სახის ფელეტონები შეიცავენ ნაწარმოების კონცეპტუალურ ბირთვს და შინაარსობრივად არიან დაკავშირებულნი ტექსტის სიუჟეტთან და ძირითად იდეასთან. განვიხილოთ რამდენიმე ფელეტონის თემატური სათაური.

ქართული ფელეტონი სათაურით „**ფირმის უფროსები**“ (კვირის პალიტრა, 25-31 მაისი, 2015) კავშირშია ფელეტონის ძირითად თემასთან. სათაურიდან გამომდინარე ადვილი მისახვედრია თუ რაზე შიძლება იყოს საუბარი ფელეტონში, რომ მასში დაცინვის საგანი ინება თანამედროვე ჩინოვნიკები თავიანთი მანკიერი მხარეებით. მართლაც ფელეტონის წაკითხვისას ვეცნობით ორ უფროსს, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის შემდეგ შეიცვალნენ, მკაცრი და არაადამიანურები გახდნენ. რომ მაღალ თანამდებობაზე მყოფნი ქვეშერმდომთა პრობლემებს არ იზიარებენ, სამუშაო ადგილებს ამცირებენ და მათი უბედურების ხარჯზე თავად მდიდრდებიან. ფელეტონში ფირმის უფროსების ტრანსფორმაციაა ნაჩვენები.

ინგლისური ფელეტონის თემატური სათაური **“Political Woman”** („ქალი პოლიტიკაში“) (The Punch, Vol. 98, March 29, 1890) გვეუბნება, რომ ფელეტონის ძირითადი თემა ქალი პოლიტიკოსების საქმიანობა იქნება. ფელეტონის წაკითხვის შემდეგ ვეცნობით ფელეტონისტის მოსაზრებას ქალის პოლიტიკაში მოღვაწეობის შესახებ. ფელეტონში ერთი კონკრეტული პოლიტიკოსი ქალის მაგალითზე გამოტანილია დასკვნა, რომ ქალებს უსაზღვრო ამბიციები აწუხებთ და მათი ყოფნა პოლიტიკაში არასასურველია.

თემატური სათაური აქვს ფელეტონს **„Buying a piano“** („პიანინოს შეძენა“) (The Punch, Vol. 146, May 27, 1914). ფელეტონს უბრალო სიუჟეტი აქვს. მდიდარი მამაკაცი,

რომელსაც მუსიკის არაფერი გაეგება, გადაწყვეტს ფორტეპიანოს შეძენას. ფორტეპიანოს შეძენა მისთვის უბრალო ახირებაა. მან ისიც კი არ იცის, თუ რომელი წარმოების ფორტეპიანოა საუკეთესო და Rolls Royce, Yost, Veuve Cliquot ფორტეპიანოს მწარმოებლები ჰგონია. უფრო მეტიც, მას საერთოდ არ უნახავს ფორტეპიანო. მდიდარი მამაკაცისთვის გაუგებარია პედლების დანიშნულება, რომელთაც იგი მანქანის ნაწილებს ამსგავსებს.

როგორც მაგალითებიდან ჩანს თემატური სათაური არის ნაწარმოების ძირითადი თემისა თუ პრობლემის გამომხატველი სათაური, რომელიც მკითხველს ნაწარმოებში ასახული მოვლენების ზოგად სურათს უხატავს;

კომბინირებული სათაურები თავის თავში აერთიანებენ რემატულ და თემატურ სათაურებს. მათგან ერთი ელემენტი მიუთითებს ნაწარმოების ჟანრზე, ხოლო მეორე – ნაწარმოების იდეასა და თემაზე. მაგალითად “Street politics – A dramatic dialogue between Punch and his stage manager.”

ფელეტონების სათაურებში საკმაოდ ხშირია საკუთარი სახელების, ე.წ. ანთროპონიმების გამოყენება. ასეთ სათაურებს ხშირად **ანთროპონიმულ/პერსონაჟულ სათაურებს** უწოდებენ. კვლევის დროს შევხვდით რამდენიმე ამ სახის სათაურს: „ბენია და ბემტია“, „ნინოც ჩაო, ბადრიც ჩაო, „ოქროც“ ჩაო!... „ბორშიხვრეპია მიმას გაიგივება ზაქიჭამია გიორგი მეთორმეტესთან“, “Queen Victoria Sells her Granny Panties at UK Auction” („დედოფალი ვიქტორია აუქციონზე ბებიის საცვლებს ჰყიდის“), “Actually it was Adam and Steve, says God” („თავდაპირველად იყო ადამი და სტივი“).

კვლევის დროს **ანოტაციურ სათაურებსაც** შევხვდით: “Michael Flatley’s upper body refusing to perform at Donald Trump inauguration, („მაიკლ ფლეთლის სხეული უარს ამბობს იცეკვოს დონალდ ტრამპის საინაუგურაციო ცერემონიაზე“), ”“Street politics – A dramatic dialogue between Punch and his stage manager.” ამ ტიპის სათაურები მოკლებულნი არიან მხატვრულობას და თითქოსდა მოკლე „ანგარიშს“ წარმოადგენენ ფელეტონის სიუჟეტის შესახებ.

ფელეტონის სათაურს გააჩნია რამდენიმე ფუნქცია: 1) **ინფორმაციული ფუნქცია**, რომელიც მკითხველს ტექსტის შინაარს აცნობს; 2) **პრაგმატიკული ფუნქცია**, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველის ინტერესის სტიმულირებას საგანგებოდ შერჩეული ბირთვით და მისი ეფექტური, ორიგინალური ენობრივ-სტილისტური გაფორმებით; 3) **მაპროგნოზირებელი ფუნქცია**, რომელიც მკითხველს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ განჭვრიტოს ფელეტონის შინაარსი და სიუჟეტის შესაძლო განვითარება და 4) **ექსპრესიული ფუნქცია**, რომელიც მკითხველზე ემოციულ ზემოქმედებას გულისხმობს.

ფელეტონთა სათაურებზე დაკვირვების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო სატირულ-იუმორისტული **ჟურნალ-გაზეთების სათაურებმაც**. ჩვენი დაკვირვებით ჟურნალ-გაზეთების სათაურები შეიძლება სიმწვავის მიხედვით ორ ტიპად დავყოთ: ძალიან მწვავე („ეკალი“, „ცეცხლი“, „ემშაკის მათრახი“, „ნიშადური“, „ახირებული ფურცელი“, „ტარტაროზი“, „ნიანგი“) და ნაკლებად მწვავე („სალაყბო ფურცლები“, „მასხარა“, „ოხუნჯი“). ჟურნალ-გაზეთების სათაურები შეიძლება „მოლაპარაკე“ სათაურებად“ მივიჩნიოთ, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ გაზეთისა თუ ჟურნალის მიმართებას გასაკრიტიკებელი საკითხის მიმართ. ზემოთ ჩამოთვლილი ჟურნალ-გაზეთების სათაურები მეტაფორულია. როგორც ეკალი გვაყენებს შესობის დროს ტკივილს, როგორც ცეცხლი გვწვავს სხეულს და როგორც მათრახი გვაყენებს ფიზიკურ ტკივილს, ისეთივე ტკივილი უნდა მოგვაროს ამ ჟურნალებში გამოქვეყნებულმა ფელეტონებმა, მათ ვისაც ეს ფელეტონები ეხება. ჟურნალი „ნიშადური“ თავისი სათაურით გვეუბნება, რომ საზოგადოებას გამოფხიზლება სჭირდება; ჭკუას უნდა მოეგონ ისინიც, ვინც ფელეტონებშია გამათრახებული. ჟურნალის სათაურები „ახირებული ფურცელი“ და „ტარტაროზი“ მიანიშნებს იმაზე, რომ ფელეტონისტებმა ახირება იციან და შეცდომებს არ პატიობენ დამნაშავეთ. ჟურნალთა სათაურები „მასხარა“, „სალაყბო ფურცლები“, „ოხუნჯი“ ჟურნალების მსუბუქ იუმორზე მიუთითებენ.

ცალკე განხილვის საგანია **ფელეტონისტთა ზედსახელები**. მაშინ, როდესაც ცენზურა ჯერ კიდევ მძლავრობდა, ფელეტონისტები საკუთარი თავის გასაუჩინარებლად ზედსახელებს მიმართავდნენ. ასე მაგალითად „მოლაყბე“ (მიხეილ თუმანიშვილი), „ს. წკეპლამე“, „კოლო-ბუზი“ (ს. მესხი), „ემშაკი“ (ნ.

კალანდაძე), „თაგუნა“ (შ. შარაშიძე), „უჩინ მაჩინი“, „ხლაფორთი“ და სხვა. ეს სახელებიც „მოლაპარაკე სახელებია“ და მეტაფორულად გაიგება. ფელეტონისტთა ზედსახელებს შევხვდით ინგლისურ ფელეტონებშიც: Well Wisher („კეთილისმსურველი“), One Who Knows („ადმიანი, რომელმაც იცის“), Fed Up („გულგაწყალებული“, A Lover of Decency („წესიერების მოყვარული“), Indignant („ბრაზმორეული“).

როგორც ვხედავთ იყო დრო, როცა მკაცრი ცენზურული პირობების, ერთგვარი კონსპირაციისა და გარეგნული ეფექტის შესაქმნელად ირქმევდნ ზედსახელებს ფელეტონისტები. დღეს უკვე ეს პრობლემა მოხსნილია პრესის დემოკრატიულობიდან გამომდინარე.

თავი 4. ქართული ფელეტონის გენეზისი და მისი ლინგვოკულტურული ბუნება

ოცდამეერთე საუკუნეში ლინგვისტები ხშირად საუბრობენ, იმაზე, რომ ენა კულტურის კუთვნილებაა; რომ ენა არ არის მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, რომ ენა კულტურის სახეა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ერის სამყაროს ხედვის დანახვა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებში დღეს აქტუალურია აზროვნების ისტორიის დაკავშირება კულტურის ისტორიასთან, ასევე აღიარებულია ენის წამყვანი როლი ორივეგან. ენა ერთსაც და მეორესაც თავის თავში იკრებს, ამასთანავე, ენის მეშვეობით ხორციელდება ძირითადად სოციალური ურთიერთქმედება საზოგადოებაში. ასე რომ, სწორედ ენის (ტექსტის, დისკურსის) ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გავიგოთ ადამიანთა აზროვნება და ქცევა. ენის შესწავლა არა „ვაკუუმში“, არამედ რელევანტური სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით სინქრონიაშიც და დიაქრონიაშიც, ენას წარმოგვიდგენს არა მხოლოდ როგორც კოდს, არამედ, როგორც კოდს პლუს ისტორია, ფართო გაგებით.

ენა არის არა მარტო კომუნიკაციის საშუალება, რომელიც საშუალებას გვაძლევს საკუთარი აზრები თუ სურვილები გამოვხატოთ. არამედ, ენა კულტურის ვერბალური გამოხატულებაა. ენა კულტურის ნაწილია.

ენა სოციალური მოვლენაა. ენის დაუფლება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. თუმცა სოციალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანწილად ჟესტების იმიტაციას – თავის დაქნევა, ღიმილის ან ჭმუხვის მანერა, ეფუძნება – ენა კულტურის გადაცემის ძირითადი საშუალებაა. მისი მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ მშობლიური ენის დავიწყება პრაქტიკულად შეუძლებელია; კულტურა ყოველი ერის განუყოფელი ნაწილია. კულტურის არსებობა აუცილებელია საზოგადოების არსებობისთვის. მაგრამ რა არის კულტურა?

კულტურა არის ის, რასაც ადამიანი სწავლობს საკუთარი ოჯახიდან, გარშემო მყოფთაგან. კულტურა არ დაჰყვება ადამიანს დაბადებიდან. მაგალითად, თუკი ადამიანი ქართველია და დაიბადა უცხო გარემოში, ვთქვათ დიდ ბრიტანეთში, ის შეიმეცნებს იმ ერის კულტურას, რომელშიც ის დაიბადა და იზრდება. ყველა საზოგადოებას თავისი კულტურა აქვს, ამდენად ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენლები სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას იქცევიან ისე, რაც მათ კულტურაშია მიღებული. სხვა კულტურის წარმომადგენლის ქცევა კი მათთვის უცხო და არაბუნებრივია.

ზემოთ ვთქვით და გავიმეორებთ, რომ ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელსაც იგი უკავშირდება წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, გარემოთი, აღზრდით, ტრადიციით, ენით, რომელზეც ლაპარაკობს და აზროვნებს. მაგრამ მხოლოდ ტრადიციასა და მეხსიერებაზე დაყრდნობა ნებისმიერ კულტურას ისტორიულ რელიქტად გადააქცევდა, მასში ბევრ რამეს რომარ „გადაიაზრებდნენ“, ხელახლა ქმნიდნენ ან სხვა ხალხთაგან სესხულობდნენ. ეს რომ ასეა, ამას ყველაზე უკეთ და თვალსაჩინოდ ენა გვიდასტურებს. როცა ვცდილობთ გავერკვეთ ჩვენს კულტურულ იდენტობაში, გვერდს ვერ ავუვლით სხვა კულტურათა შესახებ მეცნიერულ ცოდნას ისევე, როგორც დედაენის ინდივიდუალობას, უნიკალურობას ვერ ვიგრძნობთ სხვა ენასთან შედარების გარეშე.

თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი მკვლევარი ერიკ ვოლფი თვლის, რომ თითოეული კულტურა ცალკე, დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ ერთმანეთზე ზემოქმედებს. საზოგადოებები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ტრადიციებს, ქცევის ნორმებს, შეხედულებებს და რწმენას. ზოგიერთი კულტურა იმდენად დიდი ზეგავლენის ქვეშ ექცევა მეორე კულტურის მიერ, რომ საერთოდ წყვეტს არსებობას.

ცნობილი ფაქტია, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთსა და იმავე საგანში, ერთსა და იმავე ენობრივ ფორმაში სხვადასხვა რამეს მოიაზრებენ. მაგალითად, როცა ინგლისელს ესმის სიტყვა „ლანჩი“, მას ამ სიტყვის გაგონებაზე ახსენდება ჰამბურგერი და პიცა, მაგრამ ჩინელებს იმავე სიტყვის გაგონებაზე ახსენდებათ ბრინჯი. ინგლისელებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ ძაღლების მიმართ და მათ ადამიანების საუკეთესო მეგობრად მიიჩნევენ. ძაღლების მიმართ

პოზიტიური დამოკიდებულება ჩანს ინგლისურ იდიომაშიც: lucky dog „იღბლიანი ძაღლი“ (გადატანითი მნიშვნელობით a lucky person= იღბლიანი ადამიანი), მაშინ როცა ჩინელებს არც თუ ისე კარგი ასოციაციები გააჩნიათ სიტყვის goe (dog/ძაღლი) მიმართ. ჩინეთში ეს სიტყვა სახლის ქურდებისგან დაცვასთან და ხმაურთან ასოცირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ საზოგადოებას თავისი კულტურა გააჩნია, არის ელემენტები, რომლებიც უნივერსალურია ყველა კულტურისთვის. უნივერსალურია სიკეთისა და ბოროტის გარჩევა, ადამიანთა დაყოფა სქესისა და ასაკის მიხედვით და სხვა. მართალია ენას აქვს უნარი შეინახოს ეროვნული, კულტურული მნიშვნელობის ინფორმაცია, მაგრამ ასევე შესწევს უნარი შეინახოს ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალური კულტურული ინფორმაციაც. ეროვნული კულტურა სხვა ერების კულტურებთან იწყებს დიალოგს და დროთა განმავლობაში გარდაიქმნება.

თითოეული ენა თავისებურად აღიქვამს სამყაროს და აქვს მისი კონცეპტუალიზაციის უნარი. ამიტომაც ვამბობთ, რომ თითოეულ ენას აქვს განსაკუთრებული, ყველა სხვა ენისაგან განსხვავებული სამყაროს ენობრივი სურათი და კომუნიკაციის დროს ენობრივი სუბიექტი სწორედ მას ემორჩილება. ადამიანი აკვირდება სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, შეიმეცნებს მას და ცდილობს დაკვირვების შედეგი ენობრივი ფორმით გამოხატოს. სამყაროს ენობრივ სურათს სხვადასხვა სახელით იცნობენ, ესენია: „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“ და სხვა, თუმცა პირველი – „სამყაროს ენობრივი სურათი“ ყველაზე ხშირად გამოიყენება.

სამყაროს ენობრივი სურათის რაგვარობას განაპირობებს ის, თუ როგორ აღიქვამს მას ენობრივი სუბიექტი. თუკი სამყარო არის თავად ადამიანი, მაშინ სამყაროს ენობრივი სურათი არის - ადამიანის შესახებ ინფორმაციის გადამუშავების შედეგი. სამყაროს სურათის ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენს ენა, ტრადიციები, ბუნება და ლანდშაფტი, აღზრდა, განათლება და სხვა სოციალური ფაქტორები.

სამყაროს ნაციონალური ენობრივი სურათები, ბუნებრივია, ერთმანეთისგან განსხვავდებიან; ეს განსხვავებები, ერთი მხრივ უკავშირდება ეთნოსის ცხოვრების

რეალურ პირობებს, მეორე მხრივ კი – ეთნოსის ნაციონალური ხასიათის თავისებურებებსა და მენტალიტეტს. ადამიანის შეხედულება სამყაროზე ვერ იქნება დაზღვეული შეცდომებისაგან, ამიტომაც სამყაროს ენობრივი სურათი დღენიადაგ იცვლება, ხელახლა იბადება.

სამყაროს ენობრივი სურათი ავლენს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ. იგი წარმოაჩენს საზოგადოებაში ადამიანის ქცევის ნორმებს და ქმნის ე.წ. „კოლექტიურ ფილოსოფიას“. სამყაროს სურათი არ არის საგანთა თუ პროცესთა ნაკრების „ფოტო“, არამედ მასში ჩანს ენობრივი სუბიექტის პოზიცია ამ საგანთა თუ პროცესთა მიმართ. ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა შემოქმედებითი პროცესია და ცვლილებას ექვემდებარება. ამგვარად, ენის როლი მხოლოდ მისი კომუნიკაციური ფუნქციით როდი შემოიფარგლება, იგი შინაგანად აწესრიგებს იმას, რაც საფუძვლად უდევს ინფორმაციას.

სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს მათთვის დამახასიათებელი სამყაროს ენობრივი სურათი გააჩნია, ამაზე ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ, მაგრამ საყურადღებოა ასევე ისიც, რომ სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენელთა „სამყაროს ენობრივი სურათიც“ განსხვავებულია. განსხვავდება სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ „სამყაროს ხედვაც“. აღსანიშნავია ისიც, რომ შეიძლება სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანების სამყაროს კონცეპტუალური სურათი დაემთხვეს ერთმანეთს. ასევე შეიძლება ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ადამიანების სამყაროს ხედვაში იყოს განსხვავება. აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ სამყაროს კონცეპტუალურ სურათზე ზემოქმედებს საზოგადოებრივი, ეროვნული და პიროვნული ხედვა.

არსებობს სამყაროს ენობრივი სურათი და არსებობს მასში შემავალი **სატირულ-იუმორისტული სამყაროს სურათი** (ნაციონალური სამყაროს სურათის ერთ-ერთი კულტურული კონცეპტი). ამა თუ იმ ერის სამყაროს სატირულ-იუმორისტული სურათი წარმოაჩენს ერთი მხრივ იუმორის ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალურ მახასიათებლებს, მეორე მხრივ კი კონკრეტული ერისთვის/კულტურისთვის დამახასიათებელ სოციოკულტურულ თუ ინდივიდუალურ მახასიათებლებს.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ სიცილის თვისება სხვადასხვა ერში სხვადასხვა დოზითაა მოცემული; რომ მოვლენებისადმი სატირულ-იუმორისტული მიდგომის სხვადასხვაობა გაპირობებულია ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული პირობების სხვადასხვაობით. მკვლევრები ცდილობენ, ერები დაჰყონ „მხიარულ“ და „არამხიარულ“ ერებად. მართალია ამ კონცეფციაში ბევრი რამ სადავოა, მაგრამ თვით პრინციპი, სხვადასხვა ერში იუმორის გრძნობის ისტორიულად სხვადასხვა დოზით ჩამოყალიბებისა, საყურადღებოა. იუმორის დიდი გრძნობა ერის კულტურის, ოპტიმისტური პერსპექტივის და ცხოველმყოფელობის მაჩვენებელია. ამასთან ერთად, სიცილი ბრძოლის უძველესი იარაღია. სიცილი უკვე ნიშნავს მოწინააღმდეგეზე ამაღლებას, მასში ისეთი სუსტი მხარეების დანახვას, რომელიც გამარჯვებას გიადვილებს (მიშველაძე, 1971:17-18). მიშველაძე თვლის, რომ ქართველი ერი „მხიარულ“ ერთა პირველ რიგებში უნდა ჩაითვალოს და ამ აზრის დასადასტურებლად ქართულ ხალხურ სატირას ასახელებს.

ჩვენ შეგნებულად არ შევჩერდებით ქართულ ხალხურ სატირაზე. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე წინამდებარე თავში შევხებით ქართულ ფელეტონს, რომელშიც იუმორი აგრესიულ ფორმას იძენს და დავაკვირდებით ფელეტონის განვითარებას მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე.

4.1. ქართული ფელეტონის სათავეებთან

ი. ჩხოზაძე დისერტაციაში „კომიზმის ენობრივი მექანიზმები“ (საგაზეთო ფელეტონის ფრეიმული ანალიზი) მოკლედ მიმოიხილავს ქართული ფელეტონის სათავეებს და წერს: „ქართული ფელეტონის სათავეები უნდა ვეძებოთ პირველ ქართულ გაზეთში, რომელსაც სახელად „საქართველოს გაზეთი“ ეწოდება“ (ჩხოზაძე, 2005:17). ამავე მოსაზრებას იზიარებს ლ. ასათიანი: „ქართული ფელეტონი სწორედ ამ გაზეთიდან იღებს სათავეს. მასში იბეჭდებოდა ნარევი „შერეული ამბები“. ამ განყოფილებაში მოთავსებული წვრილ-წვრილი ამბები წარმოადგენდნენ ფელეტონური ჟანრის ჩანასახს, რამაც შემდეგში მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა ქართულ პერიოდულ პრესაში“ (ასათიანი, 1955: 164).

ლ. ასათიანი ქართული ფელეტონის სათავეებს ჟურნალ „ცისკარსაც“ უკავშირებს: „ქართული ფელეტონის პირველი ნიმუშები და შეიძლება ითქვას საუცხოო ნიმუშებიც მოგვცა ი. კერესელიძის ჟურნალმა „ცისკარმა“ მისი არსებობის პირველ წლებში (ასათიანი,1955:187).

სალაყბო ფურცლის განყოფილებაში მოთავსებულ ფელეტონებს ხელს აწერდა „მოლაყბე“. ამ ფსევდონიმით დაბეჭდილი პირველი სამი ფელეტონი ეკუთვნოდა ჟურნალისტ მიხეილ თუმანიშვილს. პირველი ფელეტონი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ მეთერთმეტე ნომერში.

„სალაყბოს ფურცლებში“ თავიანთ ფელეტონებს ბეჭდავდნენ ჟურნალისტები და მწერლები: მიხეილ თუმანიშვილი, გრიგოლ წინამძღვრიშვილი, გაბო სულხანიშვილი, ლავრენტი არდაზიანი, ალექსანდრე სავანელი, ჟურნალის რედაქტორი ივანე კერესელიძე და სხვები. პირველი ბრალდება პირველი ქართული ფელეტონისა, მიმართული იყო თავადაზნაურული ინტელიგენციის წინააღმდეგ. იგი აკრიტიკებდა თავადაზნაურობის გულგრილობას ეროვნული კულტურის ისეთი მოვლენისადმი, როგორც არის – ქართული თეატრი და ქართული ჟურნალი. შემდგომ მისი „ლაყბობის“ საგანი იყო იმ პერიოდის ისეთი მტკივნეული საკითხები ქართველი კაცისთვის, როგორცაა ენის დაცვა, საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობა, და თვით ბატონყმობის საკითხი. როგორც რ. მიშველაძე წერს „მოლაყბემ“ თავისი, ჯერ კიდევ სუსტი და გამოუწრთობი, სატირული მახვილი ენერგიულად მიმართა მლიქვნელობის, სიზარმაცის, უცხოური მოდით გატაცების, ლოტოს გაუთავებელი თამაშის, უზომო ქორწილისა და ქელების წინააღმდეგ (მიშველაძე, 1971: 31).

ქართული ფელეტონის განვითარების ისტორიისათვის საგულისხმოა დიდი ქართველი პოეტის ა. წერეთლის შემოქმედება, განსაკუთრებით მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა. 1862 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებული მისი ცნობილი „ახირებული ფურცელი“, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა ქართული ფელეტონის განვითარებას. აკაკი წერეთელი დადებითად აფასებდა „ცისკრის“ ფურცლებზე პირველი ფელეტონების გამოჩენას და ერთგან თავის თხზულებათა კრებულში წერდა: „ცისკარს“ სხვა ამ წლამდის ქართველობა არ ეტყობოდა, დღეს, თქვენი ჭირიმე, ვიღაცეები კარგი მასწავლებლები გამოუჩნდნენ,

განსაკუთრებით ერთი მოლაყბე გამოუჩნდა და, მართალია, ლაყბობას კი ეძახის თავის სტატიებს, მაგრამ იმას უფრო სარგებლობა მოაქვს მისი ლაყბობით, როგორც თვითონ უწოდებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსებს, რომლებიც ხან-ინახით ჯდებიან გორს“ (წერეთელი, 1863:16).

თავად აკაკიმ თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობა ფელეტონის წერით დაიწყო და მისი ფელეტონები ქართული სატირული პუბლიცისტიკის შედეგებს წარმოადგენენ. „ცხელ-ცხელი ამბების“, „შავ-შავი ამბების“, „ლაყბობის“, „ბოდვის“, „ნადუღის“ და სხვა რუბრიკებით დაბეჭდილი აკაკის ფელეტონების უმრავლესობა დღესაც აკმაყოფილებს ფელეტონის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. აკაკი წერდა: „კილო ჩემი მწერლობის სულ სხვაგვარი იქნება. ისეთს დავპყეფ, რომ კურდღლები ჩირგვებში აკანკალდნენ და მხეცები სოროებიდან გამოვიყვანო. ვითომ მოვერიდო ვისმეს? შევუშინდე? თქვენც არ მომიკვდეთ! ვიცი ბევრჯერ მესვრიან ქვას. ბევრჯერ დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი. პატარა, ხელფეხის მსლაქველ ფინიასავით სხვის კალთაში წოლასა და ნებივრობას, შარაგზაზედ ყეფის დროს, სიკვდილი მირჩევნია“ („დროება“, 1876, №2).

აკაკის სატირის ბასრი მახვილი პირველ ფელეტონებშივე მიმართული იყო ლოტოთი გატაცების, „ჭრელიძე რუსეთუმეების“, „ტანცი-მანცს“ გადაყოლილი მეტიჩარა მექორწინეების, მექრთამე „ადვოკატების“, ცრუ მყვირალა პატრიოტების, „წამგლეჯია“ ვაჭრების, ერისთვის გამოუსადეგარი „სტავლულების“, ფარისეველი კაცუნების, „თავგასული“ სამღვდელოების და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ხორცმეტების წინააღმდეგ (მიშველაძე, 1971: 34-35).

აკაკის ფელეტონები ლექსისა და დიდაქტიკურ-მორალური სტატიის იუმორულ ფორმაში მოქცევის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ფელეტონთა უმრავლესობა ლექსით მთავრდება და ხშირად ისეთი დიდებული ლექსებით, როგორიცაა „ციცინათელა“, „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“, „გაქრნენ ჟამნი ოცნების“, „აღმართ-აღმართ“. აკაკი წერეთლის ფელეტონების უდიდესი წარმატება გაპირობებული იყო თემის აქტუალობით, უაღრესად მახვილგონიერი სიუჟეტით, ყველასათვის გასაგები, მარტივი ენით და ხალხური სიბრძნის ნიმუშების - ანდაზების, არაკების მოხდენილი გამოყენებით (ჩხოზაძე, 2005 :19).

აკაკისთან ერთად ილია ჭავჭავაძემ დასცინოდა ქართულ სისუსტეებს თავის პუბლიცისტურ შედეგებში „რამდენიმე სიტყვა“, „სხარტულა“ „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“, „საახალწლოდ“, „ამბავი ყბად ასალები და წყალ-წასალები“, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ და სხვა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ამონარიდებს ილიას ორი ფელეტონიდან „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ და „საახალწლოდ“.

ფელეტონში „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ (1885) ილია მსჯელობს ძველი და ახალი წლის შესახებ, რომელ მათგანს რა აქვს კარგი. იგი ყურადღებას ამახვილებს ქართველების ძველ ჩვეულებაზე – ახალი წლის დილას შეხვედრისას ერთმანეთისთვის შაქარ-ყინულის ჩუქებისა და ერთმანეთის სიტყვებით „ღმერთმა ასე ტკბილად დაგაბეროთ“ დალოცვის შესახებ. ილიას აზრით ეს არათუ დალოცვა, არამედ წყევლაა, სიბერე, როგორც ილია წერს: „ყველა ჭირზედ უფრო ძნელი ჭირია“.

დაახლოებით იმავე აზრს ავითარებს ილია მეორე ფელეტონში „საახალწლოდ“ (1898). ილიას უკვირს რა უხარია ქართველ კაცს ახალი წლის დადგომისას: „წასვლა ძველისათვის – თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელო უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას-სამოც-და-ხუთი დღე და სამას-სამოც-და-ხუთის დღით ახლო მიუვადით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამას-სამოც-და-ხუთითორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამას-სამოც-და-ხუთითორმეტ-საათიანივე ღამე... წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია“.

ამავე ფელეტონში ილია აკრიტიკებს ქართველთა ტრადიციულ დალოცვას „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“ და დასძენს: „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერები და ერთი ფეხის გადადგმაღა სიკვდილამდე, და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის

განა? თუ ესეა, აბა ეხლა სთარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა. ამაზე უკეთესი სანატრელი ველარა გვიპოვია-რა. ნატერის უნარიც-კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებსა მისთანას”.

ილიას ფელეტონები უფრო ფილოსოფიური მსჯელობაა საჭირობოროტო საკითხებზე, ვიდრე ფელეტონი. მათში არ იგრძნობა მწარე იუმორი, მხოლოდ საკითხის კრიტიკულად გააზრებას აქვს ადგილი. ილიას ფელეტონებში, ისევე როგორც აკაკისთან და ვაჟასთან უამრავ ქართულ ბრძნულ შეგონებას, ანდაზას თუ ხატოვან გამოთქმას შევნიშნავთ. ამ პერიოდის ფელეტონები ნარკვევს ანუ ესეს უფრო გავს.

სატირული პუბლიცისტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჟურნალისტმა და კრიტიკოსმა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც 1860 წელს, „ცისკრის“ მეცხრე და მეთათე ნომრებში ორი ფელეტონი გამოაქვეყნა „ქუთაისის“ მეჭორის ფსევდონიმით. ასევე აღსანიშნავია სერგეი მესხის სახელი, რომელიც თავის ფელეტონებს სხვადასხვა ფსევდონიმით: ლაზარე მესხისშვილის, სოლოლაკელის, მეკენჭის, ს. წკეპლაძის, და კოლო-ბუზის ფსევდონიმებით აქვეყნებდა.

პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა „თიანეთური ფელეტონები“, რომელთა ავტორი ვაჟა ფშაველა გახლდათ. ვაჟა ფშაველა თიანეთურ ფელეტონებს ჟულაკა გოგოჭურის ზედსახელით ბეჭდავდა და მათში თიანეთურ ცხოვრებაზე მოუთხრობდა მკითხველს. ვაჟა ფშაველა არ უშინდებოდა მართალ სიტყვას: „მე ქართველი ვარ და მინდა ქართული ფელეტონები ვწერო შინაარსითა და ფერითა, ვგრძნობ რა, რომ ხელს არ მომცემს ევროპელ მეფელეტონეთა მიბაძვა (თიანეთური ფელეტონი, 1901). „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო... ქართველმა მეფელეტონემ და კორესპონდენტმა ეს ანდაზა კარგად უნდა დაიხსომოს, ღრმად ჩაიჭდიოს, ჩაინერგოს გულში, თორემ გაჭირდა საქმე (თიანეთური ფელეტონი, 1902). 1901 წელს დაბეჭდილ „თიანეთურ ფელეტონში“ ვაჟა თიანეთის ჩაბნელებულ ქუჩებზე, უსუფთაობაზე, ჩანგრეულ ბოგირებზე წერს და ამათრახებს მაზრის მეთაურებს, რომლებიც თავიანთი უნიათობით „ტყუილუბრალოდ ჰაერს აფუჭებენ“. ამავე ფელეტონში ამათრახებს იგი ქართულ ინტელიგენციას, რომლებიც ტუჩაფშრუკვით უყურებს ქართულ მწერლობას. ვაჟა ფშაველას გული წყდება იმაზეც,

რომ მიუხედავად იმისა, თიანეთში წიგნთსაცავი და ბიბლიოთეკა გაიხსნა, წიგნის წამკითხველი იქ არავინაა. 1902 წლის „თიანეთურ ფელეტონში“ ვაჟა ფშაველა თიანეთელების ჭირზე – თიანეთში სამიკიტნოების გამრავლებაზე და მედუქნეთა, ე.წ. „ჩარჩ-ვაჭართა“ ბინძურ საქმიანობაზე წერს, რომლებიც ქართულ ოჯახებს მატერიალურად ანგრევენ და მათ ნანგრევებზე თავიანთ დიდებას აღმართავენ.

რ. მიშველაძე მიიჩნევს, რომ ქართულ სატირულ პუბლიცისტიკას მეცხრამეტე საუკუნეში მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა. ძნელი გასარკვევი იყო, რა შეიძლება ყოფილიყო ფელეტონი და რა კრიტიკული სტატია. ამ დროის ფელეტონებს არ გააჩნდათ ლაკონურობა და მესამე პუბლიცისტები თავის სატირულ ნიქს ხშირად ხარჯავდნენ პირადი კინკლაობისთვის, ისეთ თემებზე, რომელთა შესახებაც ყოველთვის არ ღირდა ფართო მასშტაბით ბაასი და მკითხველის შეწუხება (მიშველაძე, 1971: 39).

სატირული სახის წერილები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერია“-ში რომლის დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო.

„ივერია“ იყო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო, მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. „ივერია“ თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს და სხვა. ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. „ივერიამ“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო

ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვა ნიჭიერი კორესპონდენტები და ჟურნალისტები.

როგორც ვხედავთ, ივანე კერესელიძის „ცისკარი“, ილიას „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“ და სხვა პერიოდული გამოცემები წარმოადგენდნენ იმ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა ქართული ფელეტონი.

4.2. XX საუკუნის დასაწყისის ქართული ფელეტონები

1905-1907 წლებში რუსეთს რევოლუციის გრიგალმა გადაუარა. ამ დროს თბილისში გამოდიოდა სატირული ჟურნალი „კუკურუკუ“, რომელსაც სომეხი ეროვნების გ.ა. ერციანი რედაქტორობდა. ჟურნალი გამოჩენისთანავე დახურეს. იროდიონ ევდოშვილი თავის ერთ „საკვირაო ფელეტონში“ ასე ახასიათებდა „კუკურუკუს“ ბედს: „საწყალმა ამოიყვლა პირველი, ვერ მოასწრო მეორე და სტაცეს კისერში ხელი. თავი და ბოლო მამლის დანაშაულისა, როდესაც იგი მიიყვანეს სამსჯავროში, მუხლებად აღინუსხა: 1. ყვირის მეტისმეტად ხმამაღლა და ძილს გვიშლის; 2. შელახა და შებღალა მსუქანი ინდაურების ღირსება; 3. გაკადნიერდა და ჩირქი მოსცხო მრავალ წარჩინებულ ბატს, რომელნიც სასარგებლონი არიან ეზოში წესრიგის დასამყარებლად; 4. შეეხო ეზოს სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებს, რომელნიც ნება აქვთ განიხილონ მხოლოდ და მხოლოდ იმავე ინდოურებს, რაც მომავალ ბატ-ინდოურთა კრებაზე, რაიც ნაქებია საყოველთაოდ.

ერთი სიტყვით, ბრალდება დიდია და ვერც „კუკურუკუმ“ აიცდინა მზარეულის დანა. გამოასალმეს, უდროვოდ მოაშორეს მზეს... საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მებრძოლო მამალო!“ (ი. ევდოშვილი, „ივერია“, 1906, 5 მარტი, №1).

სატირასა და იუმორს დიდი ადგილი ეთმობოდა 1906-1907 წლების ბოლშევიკური გაზეთების: „ახალი ცხოვრების“, „ახალი დროების“. „მნათობის“, „ჩვენი ცხოვრების“, და „დროს“ ფურცლებზე. ამ გაზეთების ძირითად ფელეტონისტებად გვევლინებიან ირ. ევდოშვილი, ნატალია აზიანი და დ. ხანდამაშვილი. ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე ი. ევდოშვილმა „რიგოლეტოს“

ფსევდონიმით გამოაქვეყნა შემდეგი ფელეტონები: „სახალწლო ვიზიტები“, (1907, № 2) „ტრაგი-კომედია“ (1907, №4), „პატარა ფელეტონი“ („ჩვენი ცხოვრება“ 1907, №5), „პატარა ფელეტონი“ („დრო“ 1907, №7,9, 15), „ტრაგი-კომედია“ („დრო“ 1907, №19), ნატალია აზიანმა - „ბობოქარი დღიურიდან“ („დრო“, 1907, №1), „ჭინჭარი, გაზეთი გაზეთში“ („დრო“ 1907, №13), დ. ხანდამაშვილმა კი „მიმინოს“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა „პატარა ფელეტონი“ („ჩვენი ცხოვრება“, 1907, №6) „კადეტების თათბირი“ („დრო“ 1907, №14).

1907 წელს გამოვიდა სატირული ჟურნალი „ხუმარა“, რომელშიც დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ფელეტონი „ბენია და ბემტია“, თუმცა ფელეტონი ხელმუწერელია, მაგრამ მხატვრულ-სტილისტური ანალიზით ძნელი დასადგენი როდია, რომ იგი აკაკის ეკუთვნის. ავტორმა ბენია და ბემტია ქართველი ქველმოქმედი სატირების ხორცშესხმულ სიმბოლოებად წარმოგვიდგინა. „ხუმარას“ კვალდაკვალვ გამოვიდა მთელი წყება ჟურნალებისა „მასხარას“, „ეკალის“, „ბზიკის“, „ოხუნჯის“, „ზურნას“ და „ცეცხლის“ სახელწოდებით. ამ ჟურნალებს, კონსპირაციული მოსაზრებითვე რედაქტორ-გამომცემლად ხშირად ხელს აწერდნენ ისეთი პირები, რომლებსაც მწერლობასთან ცოტა რამ ჰქონდა საერთო. ფაქტიური რედაქტორი აკაკი იყო. აკაკიმ „მასხარაშიც“ აალაპარაკა ბენია და ბემტია, მაგრამ ამჯერად ხუმრობის საგანი ქუთაისი იყო, ქუთაისი, რომელიც ბენიას სიტყვით, უთავოდ არის დარჩენილი და „ქალაქის თავს თბილისში დაექმებს“.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1907-1908, 1915-1917, 1919-1921 წლებში გამოდიოდა ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ემმაკის მათრახი“ სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ თ. ბოლქვაძე და ნ. კალანდაძე (ემმაკი); 1919-1920 წლების გამოცემები განსაკუთრებული მემბოხე იერით გამოირჩევა. მასში დაბეჭდილი სტატიები ძირითადად ორ ავტორს ეკუთვნოდა - „ემმაკს“ და „თაგუნას“. ისინი დასცინოდნენ და აკრიტიკებდნენ ყველას და ყველაფერს; მიწასთან ასწორებდნენ რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას, კომუნიზმს, უმოწყალოდ უტევდნენ ლენინსა და ტროცკის. თუმცა არც საკუთარ ქვეყანას ინდობდნენ, კერძოდ ჰკიცხავდნენ ქართულ საზოგადოებას, ქვეყნის შიდა პოლიტიკურ მდგომარეობას, პროდუქტებზე ფასების ზრდას.

ამავე პერიოდში, კერძოდ 1907-1908 წლებში გამოდიოდა ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ეკალი“, რომელშიც გარდა ლიტერატურული ნაწარმოებებისა, იბეჭდებოდა პოლიტიკური სატირით გაჯერებული სტატიები და კარიკატურები. 1907 გამოვიდა ჟურნალის 7 ნომერი, 1908 წელს – კი მხოლოდ 5. ჟურნალი დაიხურა თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით.

1906 -1908 წლებში გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „ნიშადური“, რომლის ფურცლებზე იბეჭდებოდა ა. წერეთლის, ი. ევდოშვილის, ი. ნაკაშიძის, დუტუ მეგრელის, ი. გოგებაშვილის, ალ. სარაჯიშვილის და სხვათა სატირული პუბლიცისტიკა.

„ნიშადურის“ მეოცე ნომერში დაბეჭდილია რიმ-ბაბას (ალ. სარაჯიშვილის) ფელეტონი „რა გამოვა რისგან“. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული შეხედულებანი უტოპიურია, ისინი მხოლოდ ჯიუტ წინააღმდეგობას წარმოადგენენ სამშობლოს განთავისუფლების გზაზე. ფელეტონში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს „დიდმან რუსეთის მფლობელმან გასცა ბრძანება – საქართველო გაგვითავისუფლებიაო. ძველი საქართველო თამარ მეფის დროინდლის საზღვრებით, აღგვიდგენიაო“. ამ სანეტარო ბრძანებას ხალხი აღტაცებით შეხვდა, მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა გამართეს მიტინგები და გაჰყვირიან „ამხანაგებო! ჩვენ ეგ სრულიად არ გვაკმაყოფილებს - ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთელი რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა შეგნებული პროლეტარიატის დიქტატურა ექვსი საათის მუშაობა ჯამაგირი ერთი ორად ლუდის ფული ...“ და ბოლოს ამ გაუთავებელი ყაყანის და „მიტინგობის“ შემდეგ ავტორის აზრით სოციალ-დემოკრატები თვითონვე გააუქმებენ საქართველოს განთავისუფლების ბრძანებას, როგორც მეფის მიერ „პროლეტარიატის დაუკითხავად“ გამოცემულს (მიშველაძე, 1971 :100).

1907 წლიდან საქართველოში გამოდიოდა ლიტერატურულ-იუმორისტული ჟურნალი „ოხუნჯი“, რომელსაც აკაკი წერეთელი რედაქტორობდა. ჟურნალში იბეჭდებოდა პოლიტიკური სატირა და კარიკატურები. ზოგადად აკაკის როლი ქართული ფელეტონის განვითარებაში უდიდესია. აკაკიმ შექმნა ფელეტონის თავისებური ჟანრი: მხატვრული ფელეტონი-ნარკვევი. აკაკის ეს ფელეტონი-

ნარკვევები სხვადასხვა სახელწოდებით: „ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადული“, სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ პრესაში. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ წარსულ საუკუნეში არც ერთ ჟურნალისტ-პუბლიცისტს არ ჰყოლია იმდენი მკითხველი ქართულ საზოგადოებაში, რამდენიც აკაკის ნარკვევებს.

რეზონანსი აკაკის ფელეტონებზე განუზომლად დიდი იყო, იგი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა. აკაკი ამ ფელეტონებში გვევლინება საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემის ფხიზელ მეთვალყურედ, იგი ეხმაურება და პასუხს იძლევა ყველა იმ მწვავე საჭირბოროტო საკითხზე, რომლებსაც საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველდღიურად აყენებდა. აკაკის ნარკვევი-ფელეტონები თავისი შინაარსით პუბლიცისტურია, პოლიტიკური სიმკვეთრით გამოირჩევა, ანუ პოლიტიკური სატირის ხაზებშია გაშლილი და ამავდროულად შეზავებულია აკაკის მახვილი იუმორით.

ამ პერიოდის ფელეტონები მრავალფეროვანი კომპოზიციით, არქიტექტონიკით და სიუჟეტებით გამოირჩეოდა. აკაკიმ დაამკვიდრა ფელეტონის საინტერესო ფორმა - ფელეტონი-დიალოგი. არსებობდა ფელეტონი-დღიური, ფელეტონი-ზღაპარი, ფელეტონი-ლექსი. ამ ჟურნალებში გამოქვეყნებულ ფელეტონთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია - დიალექტიზმები და ბარბარიზმები. დიალექტით გადმოცემულია არა მარტო პერსონაჟთა საუბრები, არამედ, ავტორის მონოლოგიც. სატირისა და იუმორის გამოხატვის მიზნით ფელეტონისტები მიმართავენ ისეთ ენობრივ-სტილისტურ საშუალებებს, როგორიცაა: ბგერებით და სიტყვებით თამაშის ხერხი, ცალკეული სიტყვების გამეორება სატირული განწყობის შესაქმნელად, შედარებებისა და დაპირისპირების საშუალებით გამოწვეული კომიზმი, ალეგორია, გადაჭარბება, ნართაული, ცინიკური და სკაბრეზული გამოთქმები.

4.3. ფელეტონი საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა პერიოდში ცნობილი სატირულ-იუმორისტული ჟურნალი იყო „ნიანგი“, რომელიც საქართველოში 1932 წლიდან გამოდიოდა. ჟურნალი ამხელდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მოვლენებს და ბეჭდავდა სატირულ-

იუმორისტულ ნაწარმოებებს, ნახატებსა და კარიკატურებს. ჟურნალთან თანამშრომლობენ ცნობილი ქართველი მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები. სხვადასხვა დროს „ნიანგის“ რედაქტორებად მუშაობდნენ ს. თოდრია, ს. ეული (ქურიძე), გ. აბაშიძე, ვ. ჭელიძე, ნ. დუმბაძე, ზ. ბოლქვაძე და სხვები. ჟურნალის დამატება – „ნიანგის ბიბლიოთეკის“ სერია ყოველწლიურად გამოსცემდა სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებთა 12 კრებულს.

შეფერხების შემდეგ, 1990-იან წლებში ჟურნალის გამოცემა განახლდა, მაგრამ მოგვიანებით შეწყდა. 2011 წლის ივნისში მისი გამოცემა კვლავ აღდგა.

ნ. დუმბაძე ჟურნალ „ნიანგი“-ს შესახებ წერდა: ჟურნალი „ნიანგი“ პოლიტიკური ჟურნალია, ძალიან რთული ჟურნალი, რედაქციაში შემოდის უამრავი, მრავალფეროვანი, ზღვა მასალა. აქ მოდის ყველა გაუბედურებული მთხოვნელი. მათ შორის ცილისმწამებელი და მრუდის მქნელი, სამსახურიდან მოხსნილი თუ უბინაო. ზოგს ჰგონია ეს ჟურნალი ხალისით კეთდება. პირიქით, ცრემლსა და ხარხარში კეთდება იგი. ლოზუნგების, წითელ ქვეყანაში თავისუფლებას მოწყურებულ მწერალს მხოლოდ შეფარვით, იუმორით შეეძლო ეთქვა წუხილზე.

ქვემოთ განვიხილავთ ჟურნალ „ნიანგის“ სხვადასხვა წლის გამოცემებში დაბეჭდილ საუკეთესო საბჭოთა დროის ქართულ ფელეტონებს

უჩინ-მაჩინის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ფელეტონი „სასწრაფო დახმარება“ მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეული წლის წინაა დაწერილი დღემდე აქტუალურია. როგორც ჩანს სასწრაფო დახმარების სამსახურის მუშაობა როგორი უნიათოც იყო წარსულში, ისეთივედ არის დარჩენილი. ამგვარად, ფელეტონი დღესაც აქტუალურია.

ფელეტონის სიუჟეტი ასეთია: მძიმე ავადმყოფის პატრონი დიდი მორიდებით, დილის 8 საათზე იძახებს სასწრაფო დახმარების ბრიგადას, მაგრამ სანამ რეგისტრატორი მანქანას გამოუშვებდეს, უამრავ კითხვას უსვამს ავადმყოფის პატრონს და მაქსიმალურად ცდილობს ავადმყოფთან სასწრაფო დახმარების მანქანა არ გაუშვას:

„- რა სტკივა?

- რა ვიცი რა სტკივა, კვდება, მოეშველეთ!

- მიმართეთ ამბულატორიის ექიმს.

- რას ამბობთ, ამბულატორიის ექიმი სალამომდე ვერ მოვა!

- ნუ ღელავთ!

- რატომ არ უნდა ვღელავდე, ავადმყოფი კვდება.

- რა გარანტიაა, რომ კვდება? . . . იქნებ მას უბრალო ტრომბოფლებიტი სჭირს, ან კომპატოზური მოვლენა აქვს, რომელმაც ჩვენს მოსვლამდე შეიძლება კიდეც გაუაროს .

. . . მაშინ ვინ აგებს პასუხს?

- ამხანაგო, ჩქარა გამოგზავნეთ სასწრაფო დახმარება, დრო არ ითმენს.

- ასეთ სიტყვებს მიჩვეული ვართ. დაგვირეკავენ, არიქა, ვილუპებით, ავადმყოფი კვდება, ცოცხალს მოუსწარიტ . . . ჩვენც მოვაჯდებით მანქანას, მივგრივალდებით ავადმყოფთან და რას ვხედავთ? ავადმყოფი წამოწოლილია მხარეთეძოზე და მიირთმევს ფელამუშს.“

ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს სასწრაფო დახმარების მუშაკთა უგულობა და სიცივე. მათ ეზარებათ ავადმყოფის დახმარება, გამოძახების ადგილზე დაგვიანებით მიდიან, არაფრად დაგიდევთ იმ ფაქტს, რომ ადამიანი ერთი წუთია და დაგვიანებას შესაძლოა, სავალალო შედეგი მოყვეს, დაგვიანებით მისულებს თუკი ავადმყოფი უკეთ დაუხვდებათ, ამაზე ბრაზდებიან. სასწრაფო დახმარების „სისწრაფეზე“ მიუთითებს წინადადება: აი, ამ წუთში მოვფრინავთ, სინამდვილეში კი დილის 8 საათზე გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანა 12 საათისთვის მიდის დანიშნულების ადგილას.

სასაცილო და ამავე დროს ცრემლის მომგვრელია წინადადება: გავიდა „ეს წუთიც“, „ის წუთიც“, ნახევარი საათი, ერთი საათი. . . სასწრაფო დახმარება არ გამოჩნდა. ავადმყოფის პატრონი იძულებული შეიქმნა თავისი საშუალებებით გადაეყვანა ავადმყოფი საავადმყოფოში სადაც ავადმყოფს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. და მაშინ, როცა მთელი ღამის უძინარი ავადმყოფის პატრონი შინ დაბრუნდა მოსასვენებლად, სწორედ მაშინ მოგრივალდა მანქანა და გაჩერდა სახლის წინ. იმის მაგივრად რომ ბოდიში მოეხადათ დაგვიანებისთვის, პატრონი

დაადანაშაულებს ცრუ განგაშის ატეხვისათვის და ლანძღვა-გინებით დატოვებს იქაურობა.

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში საკმაოდ ძნელი იყო ადამიანს მწერლობაში წარმატებისთვის მიეღწია. რაგინდ კარგი პროზაიკოსი ან პოეტი არ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა, მას გზას უღობავდნენ, რედაქციები მაქსიმალურად წელავდნენ დროს და თავს იკავებდნენ „ახალ გამომცხვარი“ პროზაიკოსების ნაწარმოებების დაბეჭდვისაგან. გადიოდა წლები, ახალგაზრდა, იმედით აღსავსე ახალბედა მწერლები ლამის ყოველ კვირაში აკითხავდნენ რედაქციას, იმის იმედით, რომ შემდგომ გამოცემაში მათი ნაწარმოები მზის შუქს ნახავდა, მაგრამ ტყუილებში წლები გადიოდა. დ. ჯავახიშვილის ფელეტონი „ერთი ნეკროლოგის ისტორია“ ნათლად წარმოაჩენს ამ პრობლემას. მისი ფელეტონის გმირი თავმდაბალი ახალგაზრდა, ლიტერატურაზე უზომოდ შეყვარებული რეზიკო მუზაშვილია, რომელსაც სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლა სურს, მაგრამ მის ნაწარმოებს დაბეჭდვა არ უწერია. ფელეტონი აგებულია დიალოგზე ახალგაზრდა მწერალ მუზაშვილსა და ჟურნალ „სისხამ დილას“ რედაქტორს ტალეირან ემმაკურაშვილს შორის. თუკი დავაკვირდებით, ფელეტონის მთავარი გმირების გვარებს, მათში სიმბოლოებს ამოვიცნობთ. ერთს მუზა სტუმრობს და არ იცის როგორ გახდეს ცნობილი, მეორე კი ემმაკია და ცდილობს დამწყები მწერალი ტყუილებით გამოკვებოს. იგი უარს არ ეუბნება მწერალს მოთხრობის დაბეჭდვაზე, მაგრამ ათასგვარ მიზეზს იგონებს, რომ მისი დაბეჭდვა გადაავადოს. განვიხილოთ ამონარიდი ფელეტონიდან:

„- წაიკითხეთ?

- როგორ არა! -მოიღუშა რედაქტორი, მაგრამ კვლავ მომხიბვლელად გაიღიმა - მომეწონა! ძალიან მომეწონა, მაგრამ . . .

ყმაწვილმა უკვე დაცქვეტილი ყურები ისევ ჩამოყარა.

- შესანიშნავი ენითაა დაწერილი!- განაგრძო რედაქტორმა, განწყობაც მშვენივრად არის გადმოცემული! აი, ის სიცხე, მოლოდინი. . . განსაკუთრებით სიცხე! საოცრად დამაჯერებლადაა აღწერილი. დამცხა კიდეც, როცა ვკითხულობდი, მაგრამ . . .

- რა მაგრამ?

- როგორც ჩანს ნატურალიზმი გიტაცებთ! არ არის საჭირო ყველაფრის ბოლომდე თქმა! . . . აი მაგალითად, თქვენს გმირს თეთრი კიტელი აცვია და ილღობთან სველი ლაქები მოუჩანს. ეს აშკარად ზედმეტი დეტალია!

ყმაწვილს შერცხვა და გაოფლიანდა.“

ტალეირან ემმაკურაშვილი კითხულობს მოთხრობებს, შენიშვნებსაც არავის ამადლის, იმედსაც აძლევს ახალგაზრდა მწერლებს, რომ ოდესღაც მათ ნაწარმოებს დაბეჭდვა ეღირსებათ (ფრთაშესხმული ყმაწვილი მწყერივით გაფრინდა კაბინეტიდან), მაგრამ რეალობა სხვაა. ფელეტონში ნაჩვენებია, თუ როგორ გადის წლები ლოდინში. რედაქციაში პირველად მისული რეზიკო ძალიან ახალგაზრდაა, შემდეგ მას ვხედავთ დარდით ნაადრევად გაჭადრაკებულს, ბოლოს იგი შაუხნის, თმაშეთხელებული კაცია. ტალეირან ემმაკურაშვილი კი კვლავ ჟურნალის რედაქტორია, მას დრო და ჟამი ვერაფერს აკლებს, ყურში სმენადაკარგულიც კი პოსტს ინარჩუნებს და ტყუილებით კვებავს რეზიკოს (შემოგვირბინე ხოლმე ახალ-ახალი მოთხრობებით) და მისნაირებს.

ფელეტონს ტრაგიკული დასასრული აქვს, ემმაკურაშვილისაგან გასული რეზიკო მუზაშვილი კიბეზე ცუდად ხდება და გულის შეტევით გარდაიცვლება. რედაქტორი შეიცხადებს მის სიკვდილს და დანაღვლიანებული, მაგრამ სიამაყით ამბობს, რომ რეზიკო მისი აღმოჩენაა და იწყებს ნეკროლოგის წერას რეზიკო მუზაშვილზე, როგორც შესანიშნავ მწერალსა და მოქალაქეზე.

ფელეტონის დასასრული ნათლად წარმოაჩენს ქართველი კაცის ხასიათს – არაფრად ჩააგდო ხელოვანი სიცოცხლეში და როცა მოკვდება უდიდესი პატივით მოიხსენიო იგი. სამწუხაროდ არც ეს სახასიათო შტრიხი დაკარგულა თანამედროვე საქართველოში. შეიცვალა მხოლოდ ის, რომ დღეს სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლა გაცილებით უფრო ადვილია. ვისაც რა უნდა იმას ბეჭდავს, ნამდვილი ლიტერატურის გვერდით მდარე ხარისხის ნაწარმოებიც იბეჭდება, მაგრამ მკითხველი განსაზღვრავს მათ წარმატებას თუ წარუმატებლობას.

გვახსოვს ალბათ, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს როგორ ძნელი იყო გამდიდრება, რომ გამდიდრების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად გადამყიდველობა, ე.წ. „სპეკულიანტობა“ წარმოადგენდა. სწორედ ამ თემას ეძღვნება

80-იან წლებში, ჟურნალ „ნიანგში“ გამოქვეყნებული ფ. მაისაიას ფელეტონი „გაუყიდავი სიგარეტები“ და თ. ჭიეშვილის ფელეტონი „სინდისი ჩალის ფასად“. პირველ ფელეტონში აღწერილია დრო, როცა საქართველოს მკვიდრნი საზღვარგარეთ გადიოდნენ და კონტრაბანდა ჩამოჰქონდათ. ფელეტონის მთავარი გმირიც ოდესაში მოგზაურობის დროს დიდი ოდენობით (80 ბლოკი) ამერიკული წარმოების სიგარეტ „ქემელს“ შეიძენს და საქართველოში საჰაერო ფოსტით აგზავნის მოგების იმედით, მაგრამ პოლიცია მას აეროპორტშივე აკავებს და ქონების კონფისკაციას ახდენს. მეორე ფელეტონის გმირი კი სინდის-ნამუს გარეცხილი მამაკაცია, რომელიც მდიდრდება მსოფლიოს კინო ვარსკვლავთა პორტრეტების გაყიდვით და ხურდის დაუბრუნებლობით. და თანაც ამას ისე აკეთებს, რომ „მათხოვრის“ დამახების უფლებას არავის აძლევს. ფელეტონი იწყება ისე, რომ ფელეტონის მთავარი გმირი ვაგონებში „მარწყვივით გოგონების“ (როგორც თავად ამბობს) სურათების გაყიდვით ირჩენს თავს, მაგრამ ფელეტონის დასასრულს ვხედავთ, რომ იგი მშვენიერ მანქანაზე, იმჟამად ყველაზე პრესტიჟულ „ვოლგაზე“ ზის, მშვენიერ დასავლეთ-ევროპულ ჯაზურ მუსიკას უსმენს, მანქანის სალონი ძვირადღირებული ირმის ტყავით შეუმოსავს და საკუთარი თავის ბატონ-პატრონად ქცეულა – ტაქსის მძღოლი გამხდარა. და ყველაფერ ამას მან მიაღწია სინდისზე ხელის აღებით, ხურდის დაუბრუნებლობით.

კომუნისტების ხანაში ბევრი ფაბრიკა-ქარხანა მუშაობდა, მაგრამ სამწუხაროდ ყურადღება ექცეოდა არა პროდუქციის ხარისხს, არამედ რაოდენობას, შესაბამისად წუნიანი საქონელიც ბლომად გამოდიოდა. სწორედ ამ საკითხის სააშკარაოზე გამოტანას ემსახურება ვ. სიმონიძის ორი ფელეტონი სახელწოდებით „წუნის წუწუნი“ და „წუნის კონკურსი“. პირველ ფელეტონში ფელეტონისტი იყენებს სტილისტიკურ ხერხს – გაპიროვნებას და თავად 26 კომისრის სახელობის ფეხსაცმელების არტელის გამოშვებულ ფეხსაცმელებს ალაპარაკებს და გამოააშკარავებინებს იმ სიმახინჯეს, რითაც ამ არტელის წარმოებულ ფეხსაცმელებს ახასიათებდა.

„წრეში გამოლახლახდა დაკვანჭული, პირდაჭმუჭნილი და ქუსლმოდრეცილი ფეხსაცმელი. მას გამოჩენისთანავე სიცილი დააყარეს და კილვა დაუწყეს.

- ხა,ხა,ხა, ხა, - გაისმა ერთი კუთხიდან, - ერთი უყურეთ მაგ მახინჯს, რასა გავს!
- ფეხსაცმელია თუ კიტრის ნაფცქვენი? რა უცნაურად დაღმეჭილია?
- ერთი საქუსარზე შეხედეთ, როგორ მოღრეცილია, თანაც მონაჭერში კუპატივით რომ ამობურცულა!
- არა, ქუსლს დააკვირდით, ქუსლსა, ზედ ლანჩის ძირი ისე გადმოფარებია, გეგონებათ გაფუებულაო.
- ნაკერებს აღარ იტყვით? თითქოს ზედ რკინის სალტე გადაუჭერიათო!
- ლაქებსაც შეხედეთ: ჯერ ფეხზე არავის ჩაუცვამს და გეგონებათ მთელი წლის ნაცვამიაო!“

ფელეტონიდან ირკვევა, რომ წუნიანი ფეხსაცმელების რიცხვი იმხანად ერთეულებს კი არა, ათეულებს შეადგენდა. დაცინვის ობიექტი ჯეროვნად პასუხობს დამცინავ მეგობრებს სიტყვებით: „- რას დამცინით, თქვე საცოდავებო! ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო. განა თქვენ კი სატრაბახო გაქვთ რამე? განა ყველანი ერთ ტაფაში არ ვიწვით? ყველანი დამახინჯებული და თავლაფდასხმული არა ვართ?“

როგორც ვხედავთ, ფელეტონისტი თავს საერთოდ იუჩინარებს და მის სათქმელს წუნდადებულ ფეხსაცმელებს ათქმევინებს.

მეორე ფელეტონში კი ფელეტონისტი თავად გვიყვება საქართველოში ჩატარებულ წუნის კონკურსზე და მკითხველის წინაშე გამოფენს იმ სიმახინჯეს, რომელიც იმჟამად საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში მზადდებოდა: შემოიტანეს ჯემპრები, რომლებსაც ერთი მხარე ვიწრო ჰქონდა, მეორე - ფართო, საყელო მრუდე, ნაქსოვის თვლები ჩავარდნილი. . . აი ქალის წინდებიც, რომლებსაც ხელმომჭირნე ბებია თავის სამზითვო ზანდუკშიც კი არ შეინახავდა სხვა ძველმანებთან ერთად, მაგრამ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება პერანგის ამხანაგმა მოიხდინა, მას ერთი ტოტი უფრო გრძელი ჰქონდა, მეორე კი - გრძელი.

რკინიგზის იმჟამინდელი მუშაობაა გაკრიტიკებული დ. ასკურავას ფელეტონში „მიქრის მატარებელი“. ფელეტონი წარმოაჩენს იმ სიძნელებებს, რომელიც საბჭოთა საქართველოში ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას შეიძლება მოჰყოლოდა, რომ იმ დროს ძნელი იყო მგზავრობის მსურველს ბილეთი

ემოვნა, არაფერს ვამბობთ არაკომფორტულ მგზავრობაზე, ნახევრად სველ და ბინძურ თეთრეულში წოლაზე და მატარებელში გაქურდვის შიშზე. სამწუხაროდ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა საქართველოში და აგერ 10 წელია გარკვეულწილად მოწესრიგდა.

აი ამონარიდი ფელეტონიდან: მატარებლით მგზავრობის სურვილით თბილისის ვაგზალში მოვედი. ბილეთები, რათქმა უნდა, არც ერთი მიმართულების მატარებელზე არ ჰქონდათ! რადგან აუცილებლად უნდა გავმგზავრებულიყავი, სამტრედიისკენ მიმავალ პირველსავე მატარებელში „შევძვერი“, – დიპლომატიური მოლაპარაკება გამცილებელთან და . . . თუ ფული გულობს, რაღა საჭიროა ბილეთი?! კონფლიქტი მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა, როცა გამცილებელმა ზარმაცი დიასახლისის მიერ გარეცხილი, ნახევრად გაუწურავი თეთრეული შემოგვთავაზა, ამ საკითხზე მგზავრთა უკმაყოფილებას მხარი ავუბი და ყველასთან ერთად მარცხიც ვიწვნიე. როგორც გაირკვა, მატარებელში საერთოდ ასეთი სველი თეთრეული ყოფილა დამკვიდრებული! კასპს რომ მივუახლოვდით, გამცილებელმა მიჩნეული ადგილიდან წამომამგდო, მესამე კუპეში ზედა საწოლი შემომთავაზა, თან თხუთმეტი მანეთი მომთხოვა. . .

წარმოდგენილი ამონარიდი ნათლად აჩვენებს გამცილებლის მადასა და გაუმაძღრობას, თუმცა ფელეტონში ნაჩვენებია ისიც, რომ ამ თანხას გამცილებელი როდი იღებდა მარტო ჯიბეში, სხვებსაც უნაწილებდა: ამ უკანასკნელმა განმმარტა უბილეთოდ მგზავრობის სიძვირე: მანეთი – სალაროს სადისპეჩეროსო, რევიზორსო, კონტროლიორსო, ელექტრიკოსსო!.

4.4. XXI საუკუნის ქართული ფელეტონი

XXI საუკუნის ქართული ფელეტონი თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა მასში სჭარბობს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკაზე შექმნილი ფელეტონები.

2015 წელს საქართველოში ეროვნული ვალუტის გაუფასურებას ეხმიანება გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (02.03.2015; 23.02.2015) დაბეჭდილი ორი ფელეტონი

სახელწოდებით „მე ვხედავ ლარს“ და „ლარის დატირება“. აღსანიშნავია, რომ ორივე ფელეტონი ერთსა და იმავე ავტორს ნამჩვენავად-კორმაძეს ეკუთვნის. პირველ ფელეტონში აშკარად ნ. დუმბაძის სტილის ზეგავლენა იგრძნობა, როგორც სათაურში, ისე გურული დიალექტის გამოყენების თვალსაზრისით. ამასთანავე ზუსტად მეორდება სიუჟეტი რომანიდან „მე ვხედავ მზეს“, თუმცა იგი ტრანსფორმირებულია და თანამედროვე სიტუაციას არის მორგებული. ფელეტონში გაქილიკებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნ. ხადური რომელიც ქეიფს და დროსტარებას არის გადაყოლილი და მთავრობის სხდომებს ან საერთოდ არ ესწრება, ან თუკი მიდის სხდომაზე სუფრიდან ახალამდგარი, უზომოდ ნასვამი, ისე რომ ჭკუაც არ მოეკითხება. ფელეტონში ნაჩვენებია, თუ როგორ მიდის ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე გადამთვრალი ხადური და პრემიერს სიტყვით გამოსვლას სთხოვს. იგი თავის სიტყვაში ლარის გაუფასურებაზე საუბრობს და საკუთარ თავს აბრალებს ყველაფერს, თუმც სხვა მინისტრები მას ლარის გაუფასურებაში არ სდებენ ბრალს.

„- ვინ გააუფასურა ლარი?! - იკითხა ხადურმა. ყველა გაშტერდა. - მე თქვენ გელაპარაკებით, ვინ გააუფასურა ლარი?!

- ლარი დოლარმა გააუფასურა, ნოდარ, რავა, ჩვენ ხომ არ გვაბრალებ? - გაუბედა ვიღაცამ.

- ტყუილია მაგი, დოლარს არ გაუფასურებია!

- მაშინ, საგარეო ფაქტორებმა! - თქვა ერთ-ერთმა მინისტრმა.

- არა!

- არც ინვესტიციების კლებამ?

- არა!.. მე გავაუფასურე ლარი!!!

- სხვა რამე დაიბრალებ, შე უბედურო, მიჯირყვნაა მაგაზე, - უთხრა იუსტიციის მინისტრმა. დარბაზში ხარხარი ატყდა.“

ფელეტონის დასასრულს მკითხველი ნ. ხადურის მიმართ ერთგვარ სიმპათიასაც კი გრძნობს. ნაჩვენებია რომ ის გრძნობს ხალხის წინაშე დანაშაულს, რომ იგი გამოიყენეს, ლარი გააუფასურებინეს, თუმც თავად არ არის ბრალში. მას ქართველი ხალხი ეცოდება. იგი პრემიერ მინისტრს მინისტრობიდან გადადგომას სთხოვს და მიუგდებს გაუფასურებული ლარებით სავსე ჩემოდანს სიტყვებით: „მე მინისტრი ვარ, მინისტრი და მეტი აღარ შემიძლია, – საცოდავად ამოილულლულა,

ღარიბაშვილს შეხედა და განაგრძო: - აგერ არის ეს გაუფასურებული ლარი, ბატონო, და შენ თვითონ დაარიგე პენსიები და ხელფასები, მე რას მათრევიანებთ ამხელა ცოდვას! - ამოიგმინა და ჩანთა ძირს დაანარცხა, საიდანაც უამრავი ხუთლარიანი და ათლარიანი გადმოცვივდა. ნოდარი ერთხანს მდუმარედ იდგა, მერე მაგიდაზე დაემხო და ბავშვივით ამოუჯდა გული“.

მეორე ფელეტონი ლარის ნეკროლოგს წარმოადგენს. იგი შემდეგი სიტყვებით იწყება: „ბანკის მევალეები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, და მთელი ქართველი ხალხი იუწყებიან რომ სამთვიანი წვალების შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა ეროვნული ვალუტა ლარი. გამოსვენება ეროვნული ბანკის შენობიდან.“ შემდეგ კი მოთხრობილია ლარის არსებობის 20 წლიანი ისტორია, თუ რა გადაიტანა ლარმა, როგორ გაუძლო შევარდნაძის კორუფციას, სააკაშვილის ტერორს და თავისუფალი ბიზნესის ხელში როგორ მოულოდნელად დალია სული. ფელეტონისტი გადაკვრით დასცინის ბ. ივანიშვილს, რომელიც ლარის კურსის ვარდნის თაობაზე ამბობდა: ლარი ჯანმრთელიაო. ფელეტონისტი მიანიშნებს უბრალო ხალხის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე: „შენ კი დაისვენე, ჩვენო ლარო, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ვინც აქ დაგვტოვე ბანკის მევალეებად? ამიტომ გთხოვთ მთელი ერი, ან ჩვენც წავგიყვანე, ან ადექი და გამაგრდი, ბიჭო!!!“. ფელეტონში ნათქვამია, თუ რამდენი რამ უნდა გაკეთებულიყო ეროვნული ვალუტით, ხელფასები და პენსიები უნდა მომატებულიყო, მაგრამ ხადურმა საბოლოოდ დაასამარა ლარი: „მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო. მსუბუქი ყოფილიყოს ხადურის მოყრილი მიწა. ჩვენ კი გპირდებით, რომ არასოდეს დაგივიწყებთ, თუ ცოცხლები დავრჩით, რადგან შენ გარეშე როგორ უნდა ვიცოცხლოთ, ჯერ ვერც მთავრობა გვეუბნება და ჩვენ, მით უმეტეს, არ ვიცით. იძინე მშვიდად, გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ იქ კუპონი დაგხვდება და ყურადღებას არ მოგაკლებს...“.

როგორც ჩანს ფელეტონისტი პესიმისტურად არის განწყობილი და ლარს კუპონის ბედს უწინასწარმეტყველებს.

იმავე, ლარის გაუფასურების თემას ეძღვნება ბ. ჯაფარიძის ფელეტონი „დუმილი ოქროა?“ მასში ფელეტონისტი ლარის და 2008 წელს გორში მყოფი მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობას შორის ავლებს პარალელს (ანალოგია), რითაც უკიდურესად მძიმე სურათის დახატვას ცდილობს. აი ამონარიდი ფელეტონიდან:

„მიშასავით გაიქცა ლარი, მიშას დაცვასავით დაედევნა მთელი ეკონომიკური გუნდი და სანამ ივანიშვილმა არ დაუდო ფეხი და განცხადება არ გააკეთა, მანამდე ვერ გააჩერეს. პრინციპში, გაჩერებაც არის და გაჩერებაც, მთლიანობაში ლარს 50 თეთრზე მეტი აქვს მომატებული და თუ მიშას მიერ დაკარგული ტერიტორიებივით არ დაიწყო კლება, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით“.

საინტერესო ფელეტონია „ნაციონალის“ წერილი სააკაშვილს („კვირის პალიტრა“, 7-13 ივლისი, 2014). ეს არის წერილი-ფელეტონის ერთ-ერთი ნიმუში. წერილის ავტორი, ვითომდაც თავგადაკლული ნაციონალი, სინამდვილეში ორივე მმართველობის – ძველისაც და ახლისაც გამკრიტიკებელი, წერილს იწყებს შემდეგი სიტყვებით: „ჩემო პრეზიდენტო (შენ ჩემთვის მუდამ პრეზიდენტი იქნები), მინდა მოგიკითხო. როგორ ბრძანდები მანდ? უგებ ხომ მანდაც ომს რუსეთს? გენაცვალე შენ, ჩემო ვაჟკაცო! ჩვენზე ნუ იდარდებ, შენ თუ კარგად იქნები, ჩვენც კარგად ვიქნებით და ჩვენ თუ ცუდად ვიქნებით, შენ მაინც კარგად უნდა იყო.“ ამ ამონარიდში ხაზი უნდა გავუსვათ მიმართვის ფორმას: ჩემო პრეზიდენტო და ჩემო ვაჟკაცო, რაც ირონიულად ნათქვამია. სააკაშვილის მოხსენიება ვაჟკაცად ირონიული გვეჩვენება, განსაკუთრებით მაშინ თუკი ამ აზრს, წინ უძღვის წინადადება - უგებ ხომ მანდ ომს რუსეთს? ფელეტონის ავტორი ფარულად დასცინის სააკაშვილს, რომელმაც საქართველო-რუსეთის ომი სამარცხვინოდ წააგო და შეუძლებელია უკრაინაში მყოფმა მოუგოს რუსეთს.

აღნიშნულ ფელეტონში მთხრობელი ვითომდა ნაციონალური პარტიის ერთგულია, მაგრამ სინამდვილეში იგი ლაპარაკობს ქვეყანაში არსებულ მანკიერ მხარეებზე და აკრიტიკებს როგორც ძველ, ისე ახალ მთავრობას. „ნაციონალი“ თავს აცოდებს ექს პრეზიდენტს და უყვება იმ გასაჭირზე, რომელშიც ახალი მთავრობა აგდებს ნაციონალებს და იქვე ირონიულად დასძენს: იცი, როგორ გვიჭირს? 2007 - ში ოპოზიციას რომ უჭირდა და ჩვენ რომ ვიცინოდით, აი ისე. როგორც ჩანს ყველა მთავრობა ერთნაირია, ოპოზიციაში მყოფთ ავიწროვებენ.

ნაციონალი ფელეტონში რამდენჯერმე აკრიტიკებს ახალ მთავრობას და მიუთითებს მათ უნიათობაზე, იმაზე, რომ მათი მმართველობის დროს არაფერი ხდება: ევროკავშირთან მოაწერეს ხელი ამათ და წარმოგიდგენია? მხოლოდ ერთ ადგილას გამართეს კონცერტი, მხოლოდ ერთი დღით. . . ეჰ, შენ რომ მოგეწერა ხელი,

ჩამოვიყვანდით ტოტო კუტუნიოს და მთელი თვე ვიკონცერტებდით. აქაც შეფარვითი კრიტიკაა სააკაშვილის, რომელიც ცნობილი იყო ოდესღაც ცნობილი მუსიკოსების საქართველოში ჩამოყვანით და კონცერტების ჩატარების სიყვარულით.

მეორე ციტატაც ნათლად მიუთითებს ახლანდელი მთავრობის უმოქმედობაზე: ავლაბარში რომ ავდივარ, მარცხნივ გახედვა აღარ მინდა. ერთ დროს იქ ცხოვრება დუღდა, ახლა იმხელა სასახლეში პრეზიდენტი და დაცვაა მხოლოდ.

ფელეტონის ავტორი იყენებს ვერბალურ ირონიას, როცა ლაპარაკობს საქართველოში მიმდინარე კარგ საქმეებზე. თუმცა თუკი თვალს გადავავლებთ ამ კარგ საქმეთა ჩამონათვალს: ხალხის დაჭერა, ბენზინის გაძვირება, ანაკლიის აშენება და ეკონომიკის აღზევება, ეს ის საქმეებია, რომელიც სააკაშვილის დროს იყო დაწყებული. ამონარიდი ფელეტონიდან: კარგი რაღაცებიც ხდება. ამას წინათ „კურიერს“ ვუყურებდი. ხალხს იჭერენ, ბენზინი გაძვირდა, ანაკლიას აშენებენ, ეკონომიკის სამინისტრომ - ეკონომიკა აღმავლობის გზაზეაო, მოკლედ, უდუმაშვილის და დიანა ჯოჯუას ნაღვლიანი სახეები რომ არა, ისევ შენ მეგონებოდი პრეზიდენტი, მიშა ბატონო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერილის ავტორი თითქოსდა ექსპრეზიდენტის მხარეზეა, მაგრამ მისი კრიტიკაც მშვენივრად გამოსდის. ამაზე არაერთი მაგალითი მეტყველებს. ამონარიდი ფელეტონიდან, რომელშიც მინიშნება კეთდება მიხეილ სააკაშვილის სიყვარულზე ქალების მიმართ: „ერთი პერიოდი არ ჩანდი და გული გამისკდა, ვიფიქრე, ხომ არ დაგვიბერდა პრეზიდენტი მეთქი, მაგრამ ამას წინათ შენი ფოტო ვნახე, გოგონებთან ერთად გადაღებული და ამოვისუნთქე - ისევ ფორმაში ხარ, ჩვენო იმპერატორო!“

მთელი ფელეტონის მანძილზე წერილის ავტორი მიხეილ სააკაშვილს მიმართავს სიტყვებით: ჩემო კეისარო, ჩემო იმპერატორო, ჩვენო ბატონო, ჩვენო მზეო. ამ სახის მიმართვები კარგად გვახსენებს თავგადაკლული ნაციონალების ბევრ მომხრეს, რომლებიც ექსპრეზიდენტს გაუაზრებლად აღმერთებდნენ.

ფელეტონი „რემონტწაღებულნი“ („კვირის პალიტრა“, 2-8 თებერვალი, 2015) ძალიან გავს ნ. დუმბაძის იუმორისტულ მოთხრობას „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და“. ფელეტონში ნაჩვენებია საყოფაცხოვრებო პრობლემები და სწორედ ამიტომ

შეიძლება იგი საყოფაცხოვრებო თემატიკაზე შექმნილ ფელეტონთა რიგში გავაერთიანოთ.

ფელეტონში დაცინვის საგანია ერთი მხრივ ხელოსნები, რომლებიც სხვა ხელოსანთა მიერ შესრულებულ საქმეს იწუნებენ, იმავე საქმეს თავიდან იწყებენ, თანხის დამატებას ითხოვენ და მაინც ცუდად ასრულებენ. როცა სხვა ხელოსანი მოდის, ისიც წინა ხელოსნის მსგავსად იქცევა: იწუნებს ძველს და აკეთებს უხარისხოს და ასე გრძელდება უსასრულოდ: მეორე დღეს უკვე კაფელის ხელოსანი მყავდა, რომელიც „სტიაშკას“ პენსიაზე გასული ფსიქიატრით დააკვირდა, მერე ჯერ ჩაილაპარაკა, „ოოო“, მერე „ააა“ მიაყოლა და ასე ჩამოარაკრავა, რაც ქართულ ენაში ხმოვნები იყო; მერე თანხმოვნებზე გადავიდა და ასო-ბგერა ყ-ს შემდეგ, როგორც იქნა, დამელაპარაკა:

- ვინ დაგიგო ეს „სტიაშკა“ ძმის გულო?

- გოგიმ.

- გოგი როგორ მოიყვანე, ეგ პიანინოს ხელოსანია, მოკლედ ძმის გულო, თავიდანაა დასაგები „სტიაშკა“, 300 ლარის დამატება მოგიწევს.

ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს ხელოსნის ტიპიური სახე: სხვისი ნამუშევრის დამწუნებელი, ფულის გამომძალველი, სიტყვის გამტეხნი, ფულის გამო ყველა საქმეზე წამსვლელი, ვადაში ვერ ჩამტეხნი.

მეორე მხრივ ფელეტონში დაცინვის საგანია მამაკაცი, რომელმაც ბინის გარემონტება გადაწყვიტა და მისი მიამიტი ხასიათის გამო ხელოსანთა „ხაფანგში“ მოექცა და ლამის მთელი სიცოცხლე, ენერგია, ნერვები და ფული შეაღია ბინის რემონტს: როდის დავასრულე რემონტი, აღარ მახსოვს, მხოლოდ ის მახსოვს, რომ რემონტის დასრულებიდან მეორე დღეს საპენსიო ასაკში შევედი.

სხვადასხვა დროის ქართული ფელეტონების შესწავლამ დაგვანახა, რომ მან აღმოცენების დღიდან დღემდე დიდი ცვლილება განიცადა. პირველი ფელეტონები (მე-19 საუკუნე) დიდაქტიკურ-მორალისტულ სტატიებს, ნარკვევებს წააგავდა და მეტწილად ფელეტონის ავტორთა კრიტიკულ მოსაზრებებს წარმოადგენდა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქართულმა ფელეტონებმა სტრუქტურული მრავალფეროვნება შეიძინა; გამოჩნდა ფელეტონი-ლექსი, ფელეტონი-დიალოგი, ფელეტონი-ზღაპარი, ფელეტონი-იუმორისტული მოთხრობა. ამ დროის

ფელეტონები განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. საბჭოთა პერიოდის ქართულმა ფელეტონმა მეტ-ნაკლებად დაკარგა სიმწვავე და დაემსგავსა იუმორისტულ მოთხრობას. დღემდე მოყოლებული იგი იუმორისტულ მოთხრობას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ნარკვევს/ესეს. თანამედროვე ეტაპზე გამოჩნდა ფელეტონის ახალი ჰიბრიდული ფორმები: ფელეტონი-წერილი, ფელეტონი-ნეკროლოგი, ფელეტონი-კრიტიკული სტატია და სხვა.

ერთი რამ ცხადია, ქართული ფელეტონი თავისი არსებობის მანძილზე მუდამ ეხმიანებოდა და კრიტიკულად აშუქებდა სხვადასხვა დროის აქტუალურ საკითხებს; ამდენად, მასში თემატური შეზღუდვა არ შეიმჩნევა.

თავი 5. ინგლისური ფელეტონის გენეზისი და მისი ლინგვოკულტურული ბუნება

ბრიტანულ იუმორზე ამბობენ, რომ იგი სატირის ელემენტების შემცველია და მისი მიზანია, წარმოაჩინოს ცხოვრების აბსურდულობა. ბრიტანული იუმორის დამახასიათებელია თვითკრიტიკა. ბრიტანელები ხედავენ თავიანთ ნაკლოვანებებს და არ გაურბიან მათზე საუბარს. ინგლისური ფელეტონი სწორედ აღნიშნულ პრინციპს ემყარება. ინგლისური ფელეტონების უდიდეს ნაწილში პერსონაჟები თავადვე დასცინიან საკუთარ თავს და ამხელენ ნაკლოვანებებს იმ საოციალური ფენისა, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.

5.1. ინგლისური სატირულ-იუმორისტული ესე – ფრანგული ფელეტონის ეკვივალენტი ინგლისში

ფელეტონი ფრანგული ფენომენია, მან იმავე სახელით დაიმკვიდრა თავი რუსულ და ქართულ პუბლიცისტიკაში, მაგრამ ინგლისში ფელეტონის განვითარება სრულიად სხვა გზით წარიმართა. ინგლისურ პრესაში ადგილი არ იყო ლიტერატურული, თეატრალური და პოლიტიკური ფელეტონისთვის. თავად ტერმინი „ფელეტონი“ დღემდე არ არსებობს ინგლისში და მას „ესე“ ცვლის. ეს გახლავთ მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრება ტერმინ „ფელეტონი“-ს არსებობის შესახებ ინგლისურ ენაში. თუმცა მკვლევრებს აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება გააჩნიათ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ფელეტონი სხვა არაფერია თუ არა ინგლისურენოვან პრესაში სათაურების "personal story," (პირადი ისტორია) "talk of the town," (ქალაქის ჭორები) "funny story" (სახუმარო ამბავი) ქვეშ გამოქვეყნებული სატირულ-იუმორისტული ხასიათის მოთხრობები. არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ ყველა ის მხატვრულ-პუბლიცისტური ხასიათის ნაწარმოები, რომლებიც ინგლისურენოვანი გაზეთების იუმორისტულ ბლოკში/სვეტში იბეჭდება, შეიძლება ფელეტონად ჩაითვალოს. ჩვენ თანმიმდევრულად წარმოვადგენთ მკვლევართა მოსაზრებებს და შემდეგ ჩვენს აზრს გამოვხატავთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა“ ინგლისურ ენაში ტერმინ „ფელეტონი“-ს არსებობის შესახებ ვკითხულობთ: *The feuilleton in its French sense has never been adopted by English newspapers, though in various modern journals (in the United States especially) the sort of matter represented by it is now included. But the term itself has come into English use to indicate the instalment of a serial story printed in one part of a newspaper* („ფელეტონი თავისი ფრანგული მნიშვნელობით არასოდეს გამოიყენებოდა ინგლისურ გაზეთებში, თუმცა ახლა სხვადასხვა თანამედროვე პერიოდული ჟურნალ-გაზეთი (განსაკუთრებით აშშ-ში) რაღაც დოზით შეიცავს ფელეტონს, მაგრამ თავად ტერმინი ინგლისურ ლექსიკაში გამოიყენება გაზეთში ნაწილ-ნაწილ დაბეჭდილი მოთხრობების აღსანიშნად“ – თარგმანი ჩვენია).

აღბათ გაჩნდება კითხვა – სად ესე და სად ფელეტონი? შევეცდებით ავხსნათ ესეს/ნარკვევის ბუნება. როგორც ი. გალპერინი წერს: *An essay is a literary composition of moderate length on philosophical, social or literary subjects, which preserves a clearly personal character and has no pretence to deep or strictly scientific treatment of the subject. It is rather a number of comments, without any definite conclusions* (Galperin, 1977:298). ამგვარად, ნარკვევი არის საშუალო ზომის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც პოლიტიკურ, სოციალურ, ფილოსოფიურ საკითხებს ეძღვნება. იგი საკითხის სიღრმისეულ განხილვას არ ისახავს მიზნად, არამედ ზედაპირულად ეხება მას. ნარკვევი წარმოადგენს ავტორის ბრძნულ კომენტარებს ამა თუ იმ საკითხზე. ნარკვევის ჟანრული თავისებურებაა: კომპოზიციური თავისუფლება, მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალობა, სუბიექტივიზმი, საუბრის ფორმა, ზოგჯერ პოლემიკური ხასიათის თხრობა. ამ განმარტების თანახმად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფრანგულ ფელეტონს და ინგლისურ ესეს მართლაც აქვს საერთო.

გარდა ამისა ჩვენთვის ცნობილია, რომ ბევრი მკვლევარი ფელეტონს ესესთან აიგივებს. აი რას წერს მ. კოლმანი: *“The two forms are so similar that feuilletons should simply be classified as essays”* (სეპი, 2003:3), („ეს ორი ფორმა იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ შესაძლებელია ფელეტონები ესედ მივიჩნიოთ“ – თარგმანი ჩვენია).

ზოგადად, ესეს, როგორც ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟანრის აღმოცენება უკავშირდება დიდი ფრანგი ესეისტის მიშელ დე მონტენის სახელს (1580).

ესე ინგლისში პირველად მეთექვსმეტე საუკუნეში გამოჩნდა და მისი დაბადება უკავშირდება ფრენსის ბეკონის სახელს. ელისაბედ I-ის მმართველობის დროს ინგლისური ესე, შეიძლება ითქვას, ჩანასახში იყო. ესე/ნარკვევი ინგლისში განსაკუთრებით პოპულარული იყო XVII–XVIII საუკუნეებში. მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისური ნარკვევები ძირითადად მორალისტურ, ეთიკურ საკითხებს ეხებოდა, ხოლო მეთვრამეტე საუკუნიდან ინგლისურ პრესაში პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე დაწერილი ნარკვევები გამოჩნდა. სწორედ მეთვრამეტე საუკუნე ითვლება ინგლისური ესეს აყვავების ხანად. ამ დროს მოღვაწეობდნენ: დ. დეფო, ჯ. სვიფტი, ს. ჯონსონი, ჰ. ფილდინგი. XIX საუკუნეში ესეებს წერდნენ: ჯ. რასკინი, მ. არნოლდი. XX საუკუნის ესეისტებიდან აღნიშვნის ღირსია: ჩესტერტონის, ბელოკის, ოგდენის, ორუელის სახელები.

როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში რომანი-ფელეტონი საკმაოდ განვითარებული იყო. ინგლისურ გაზეთებში დღემდე შეხვდებით ტერმინს „ფელეტონს“, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მას საფრანგეთში ჰქონდა და აქვს. ტერმინით „ფელეტონი“ ინგლისურ გაზეთებში ვხვდებით მოთხრობებს (serial story), რომელიც დროდადრო იბეჭდება გაზეთის ფურცლებზე.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ინგლისში ფელეტონის ჟანრი ესეთია ჩანაცვლებული, გახლავთ ტერმინ **Causerie** (ფრანგული სიტყვიდან „ჭორაობა“) არ არსებობა ინგლისურში. **Causerie**, იგივე პატარა ფელეტონი წარმოადგენს მოკლე, არაფორმალურ, სახუმარო ესეებს, რომლებიც იბეჭდება გაზეთებში. ინგლისურში Causerie ჩანაცვლებულია ტერმინებით "personal story," "talk of the town," "funny story." ჟანრის თავისებურება იმაშია, რომ პატარა ფელეტონის ავტორი თითქოსდა ეჭორავება მკითხველს და აცნობს მის შეხედულებას მიმდინარე მწვავე მოვლენებზე. ავტორი მიმართავს ხუმრობებს, ჰიპერბოლებს, აბსურდულ და იუმორისტულ ელემენტებს.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფელეტონს თანამედროვე იუმორისტული სვეტის/ბლოკის წინამორბედად მიიჩნევს. მკვლევარი იმენი წიგნში "The A to Z of Journalism" ტერმინს „ფელეტონს“ შემდეგნაირად განმარტავს: "a predecessor of the modern column" (Eaman, 2009 :141), („თანამედროვე იუმორისტული სვეტის წინამორბედი“ – თარგმანი ჩვენია)

სწორედ იმის გამო, რომ ინგლისში ფელეტონის ჟანრი მისი ფრანგული მნიშვნელობით არ არსებობს და მას ანაცვლებს ხან სატირულ-იუმორისტული/კომიკური ესე, ხან იუმორისტული მოთხრობა და ხან იუმორისტული სტატია, ჩვენ გადავწყვიტეთ დავკვირვებოდით როგორც სატირულ-იუმორისტულ ესეებს, ისე სატირულ-იუმორისტულ მოთხრობებს და ე.წ. "talk of the town" - ს და გვენახა როგორ ვითარდებოდა „ფელეტონი“ ინგლისში, რა სახეს ღებულობდა იგი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

5.2. ინგლისური სატირულ-იუმორისტული ესეს წინამორბედები ინგლისში

ზემოთ ავღნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ ინგლისში ესეს დაბადება ფ. ბეკონის სახელს უკავშირდება, მაგრამ შეგნებულად არ შევჩერდებით ბეკონის ესეებზე, რადგანაც მისი ესეები თემატური თვალსაზრისით ფილოსოფიური ხასიათისაა და მასში სატირა და იუმორი არ არის. ეს არის ტიპიური ნარკვევი, მსჯელობა ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სატირა ინგლისში მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე საოცარ აღმავლობას განიცდიდა და დასახელებულია დიდი ინგლისელი სატირიკოსები: დრაიდენი, პოპი, სვიფტი, სტერნი, ფილდინგი და სხვები. ამ პერიოდში სხვადასხვა მიზნით იწერებოდა სატირული ხასიათის პოეტური და პროზაული მხატვრული ნაწარმოებები, პამფლეტები, ესეები. არსებობდა სოციალური, რელიგიური, პოლიტიკური, მორალისტური სატირის პირველი ნიმუშები.

რაც შეეხება სატირულ-იუმორისტულ ესეს, იგი ინგლისში ფეხს იკიდებს დ. დეფოსა და ჯ. სვიფტის დროიდან. ისინი ძირითადად წერდნენ პოლემიკურ-

აგრესიული ტონის, პუბლიცისტური ხასიათის სატირულ თხზულებებს, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოების გარკვეული წრის, ცალკეულ პირთა ან ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის (ზოგჯერ თვით სახელმწიფოს) წინააღმდეგ. ეს იყო უფრო პამფლეტი, ვიდრე უბრალო სატირულ-იუმორისტული ესე.

რა განსხვავებაა სატირულ-იუმორისტულ ესეს, იგივე ფელეტონსა და პამფლეტს შორის? პამფლეტი პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირული თხზულებაა (ძირითადად პუბლიცისტური ხასიათის), რომელიც მიმართულია საზოგადოების გარკვეული წრის, ცალკეულ პირთა ან ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის (ზოგჯერ თვით სახელმწიფოს) წინააღმდეგ. პამფლეტი თავისი ხასიათით მწვავე, შეურაცხმყოფელი ბუნებისაა. მასში ფაქტობრივი მასალა შეზღუდულად არის წარმოდგენილი, სიმძიმის ცენტრი გადატანილია მოწინააღმდეგის მიმართ მკითხველის გაღიზიანებაზე. უცხო სიტყვათა ლექსიკონში კი პამფლეტი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: სარკაზმით გამსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პირის, პოლიტიკური მოვლენის და სხვ. წინააღმდეგ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989).

უსასტიკესი პამფლეტების ავტორებად ინგლისურ პუბლიცისტიკაში გვევლინებიან დ. დეფო და ჯ. სვიფტი. დეფოს პირველი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია იყო: “An Essay upon Projects” (1697), რომელშიც სატირულად ასახავდა ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მის გამომწვევ მიზეზებს. 1702 წელს დ. დეფომ ანონიმურად გამოაქვეყნა პამფლეტი სახელწოდებით “The Shortest Way With Dissenters” („ყველაზე მოკლე გზა დისენტერთა გასანადგურებლად“) რის გამოც იგი ციხეში ჩასვეს და „სამარცხვინო ბოძთან“ დგომა მიუსაჯეს. დეფომ ციხეში დაწერა „ჰიმნი სამარცხვინო ბოძს“, რომელსაც ისეთი რეზონანსი ჰქონდა, რომ მწერალს სასჯელი ტრიუმფად ექცა, ლონდონელები აღტაცებისა და მხარდაჭერის გამოსახატავად სამარცხვინო ბოძთან მდგომ დეფოს ყვავილებს ესროდნენ.

ჯ. სვიფტი ცნობილია ლიტერატურის ისტორიაში როგორც ჩაგრული ირლანდიელი ხალხის ინტერესების დამცველი. იგი წერდა პამფლეტებს ირლანდიელი ხალხის დასაცავად. ერთ-ერთ პამფლეტში - „მემაუდის მემუარები“, ის მემაუდის პირით ამბობს: „მე მინდა მოგაგონოთ, რომ ღვთისა და ბუნების კანონებით

თქვენ ხართ და უნდა იყოთ ისეთივე თავისუფალი ხალხი, როგორც თქვენი მოძმე ინგლისელები არიან“. მის პამფლეტებს ყოველთვის მოჰქონდა შედეგი. 1724 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მის პამფლეტს, რომელიც გამოირჩეოდა სიმწვავეთ, ერქვა: „A Modest Proposal“ „მორიდებული წინადადება ირლანდიელ ბავშვებზე, რათა ისინი არ დააწვნენ ტვირთად თავის ღარიბ მშობლებს ან ქვეყანას და გადაიქცნენ სალხისათვის სასარგებლოდ“. აქ იყო „რჩევა“ ინგლისელი ჯენტლმენებისადმი, რომ ირლანდიელი ბავშვების ხორცისაგან დაემზადებინათ კატლეტები, ხოლო კანისაგან ხელთათმანები, ამით ორ კურდღელს დაიჭერდნენ, შემცირდებოდა მათხოვრების რიცხვი და ქვეყანას მოემატებოდა დოვლათი... ეს იყო უბრალო ადამიანების ჩაგვრითა და მათი გასაცოდავებული ყოფით გამწარებული დიდი ჰუმანისტის სასტიკი ირონია. ინგლისური კრიტიკული რეალიზმის ცნობილმა წარმომადგენელმა, თეკერემ ჯონათან სვიფტს „კაციჭამია“ უწოდა, მან ვერ დაინახა პამფლეტის ნამდვილი შინაარსი და მიზანი. ჯონათან სვიფტს ხომ ირლანდიელი ბავშვების დაცვა უნდოდა მათი მყვლეფავებისაგან.

მკვლევარი ქუქი ნაშრომში „დეფო და სვიფტი: კონტრასტები სატირაში“ დადებითად აფასებს სვიფტის სატირას და ამბობს: „Modest Proposal served to dramatize the situation-forcefully bringing to public attention the miserable circumstances of the Irish poor. Second, the pamphlet by implication condemned the English ruling classes and their policies with regard to Ireland. These two goals, along with a natural desire to express his revulsion at an intolerable situation, were augmented by a third objective, which may well have reflected Swift's primary intent-the attack, through parody, upon the mercantilist economic theories of the day as they had appeared in numerous tracts and other publications“ (Cook, 1963), („პირველი, „მორიდებული წინადადება“ ახდენდა სიტუაციის დრამატიზებას და საზოგადოების ყურადღებას შეგნებულად მიმართავდა ირლანდიელი ხალხის მიმართ. მეორე, ეს პამფლეტი ბრალს სდებდა ინგლისის მმართველ რგოლებს ირლანდიის მიმართ გამოყენებულ პოლიტიკაში. და მესამე, სვიფტის მიზანი იყო პაროდის საშუალებით თავს დასხმოდა მერკანტილისტურ ეკონომიკურ თეორიებს“ – თარგმანი ჩვენია)

სვიფტის ეს პამფლეტი აგებულია სატირულ ჰიპერბოლებზე და ხშირად იგი სატირულ ესედაც მოიხსენიება.

როგორც ვხედავთ, ინგლისურ ფელეტონს დასაწყისში ახასიათებდა მეტად მწვავე ხასიათი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ინგლისში ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში არსებობდა ფელეტონის ჰიბრიდული ჟანრი – ფელეტონი - პამფლეტი, იგივე სატირულ-იუმორისტული ესე-პამფლეტი.

5.3. ინგლისური ფელეტონი XIX საუკუნეში

როდესაც მეცხრამეტე საუკუნის სატირულ-იუმორისტული ესეს შესახებ ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით საყოველთაოდ აღიარებულ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს Punch - ს, იგივე The London Charivari - ს, რომელიც 1841 წელს გამოჩნდა ინგლისურ პრესაში და თავიდანვე მოიპოვა მკითხველის დიდი სიყვარული საზოგადოების მანკიერი მხარეების მწვავე კრიტიკის გამო. ჟურნალი დაარსეს ჰენრი მეიჰიუმ (შემდგომში ჟურნალის რედაქტორი) და გრავიორმა ებენეზერ ლენდელმა. ჟურნალი წარმოადგენდა ფრანგული სატირული ჟურნალის Le Charivari- ის ინგლისურ ანალოგს. ჟურნალი 1840-1850 წლებში განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა ინგლისურ საზოგადოებაზე. მასში ქვეყნდებოდა როგორც სატირულ-იუმორისტული ესეები, ისე იუმორისტული კარიკატურები, ანეგდოტები, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი მასალაც. ამ ჟურნალით ერთობოდნენ ისეთი ცნობილი სახეები, როგორიცაა შარლოტა ბრონტე, დედოფალი ვიქტორია, პრინცი ალბერტი, რაღვ ემერსონი, ემილი დიკინსონი, ჰერმან მელვილი, ჰენრი ლონგფელო და სხვები. 1947-1948 წელს ჟურნალი პოპულარობის პიკს აღწევს და შემდეგ დაცემისკენ მიდის. 1992 წელს ჟურნალმა 150 წლიანი არსებობის შემდეგ შეწყვიტა არსებობა. 1996 წელს კვლავ იყო ჟურნალის აღორძინების მცდელობა. ეგვიპტელი ბიზნესმენი მუჰამედ ალ-ფაიედი შეეცადა დაებრუნებინა ჟურნალისთვის ძველი დიდება. მართალია, ჟურნალის გამოცემა განახლდა, მაგრამ ჟურნალმა არსებობა საბოლოოდ 2002 წელს შეწყვიტა. მან მკითხველი ნელ-ნელა დაკარგა. 2004 წელს ბრიტანეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ჟურნალი დააარქივა, რითაც ჟურნალი ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე მკითხველისათვის.

ჩვენ გავეცანით ჟურნალის ათობით ნომერს და შედეგ დასკვნამდე მივედით, ჟურნალი თემატურად მრავალფეროვანი იყო და ფელეტონები, იგივე სატირულ - იუმორისტული ესეები წარმოდგენილი იყო ბლოკში Voces Populi (ხალხის ხმა), ხოლო პოლიტიკური სახის ფელეტონები ქვეყნდებოდა სათაურით „Essence of Parliament.” განვიხილოთ ჟურნალიდან რამდენიმე ფელეტონი.

ერთ-ერთი საინტერესო პოლიტიკური ფელეტონია **“Street politics – A dramatic Dialogue between Punch and his stage manager”** (The Punch, Vol. 1, 1841, July 17) („ქუჩის პოლიტიკა – დრამატული დიალოგი პანჩსა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს შორის“), რომელშიც გაშარჟებულია იმდროინდელი პარლამენტარები. ფელეტონის მთავარი გმირი ბატონი პანჩი პარლამენტის წევრი ხდება და ამ ფაქტით გაკვირვებული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მას სთხოვს, მოუთხროს მისი გაპარლამენტარების და მომავალი გეგმების შესახებ. ბატონი პანჩი თავისივე პირით ამბობს სიმართლეს: I am at the moment an unit in the collective stupidity of the nation (ამჟამად „ერის კოლექტიური სისულელის რგოლს“ წარმოვადგენ – თარგმანი ჩვენია). სამხატვრო ხელმძღვანელის კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ბატონი პანჩისნაირი სულელი ადამიანი იყოს კანონმდებელი (A legislator, Mr. Punch? With that wooden head of yours!) („ხისთავით და კანონმდებელი????“), პანჩი პასუხობს, რომ პოლიტიკური მარიონეტები ხისგან მზადდება და რა გასაკვირია, რომ ყველა პოლიტიკოსი ხისთავიანია (The wood is the material generally used in the manufacture of political puppets. There will be more blockheads than mine), („ხე ის მასალაა, რომლითაც პოლიტიკურ მარიონეტებს აკეთებენ. იქ ჩემზე მეტ სულელს შეხვდები“ – თარგმანი ჩვენია) როცა გაკვირვებული სამხატვრო ხელმძღვანელი ჰკითხავს მას, რა მიზანი ამოდრავებდა, როცა პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, ბატონი პანჩი დაუფარავად პასუხობს, რომ მას საკუთარი ინტერესები ჰქონდა – ჯიბის გასქელება (On self-interest. I'm above having any principles but those that put money in my pocket) („მე პირადი ინტერესი მაქვს – მინდა ფული მქონდეს ჯიბეში“ – თარგმანი ჩვენია). მომდევნო კითხვაზე, თუ რომელი პარტიის სახელით შევიდა იგი პარლამენტში – ვიგების თუ ტორების, იგი პასუხობს, რომ ტორების სახელით, თუმცა დაუფარავად ამბობს იმასაც, რომ ოდესღაც ვიგების მხარდამჭერი იყო, მაგრამ შეამჩნია რა, რომ ისინი არჩევნებში წარმატებას ვერ მოიპოვებდნენ (the old house is coming down about their ears, I turn my

back on them and take my seat in the opposition bus), ზურგი აქცია მათ და ფულის და კეთილდღეობის სანაცვლოდ ფეხქვეშ გათელა პატრიოტიზმის გრძნობა (- Where is your patriotism, Mr. Punch? - Where every politician's is, sir - in my breeches pocket.) ფელეტონი წარმოაჩენს პოლიტიკოსთა რეალურ სურათს, რომ მათ საზოგადოების კეთილდღეობა არ ადარდებთ, მთავარია თავად იყვნენ კარგად (Damn the community. I know of no community but Punch and Co), („ჭირსაც წაუღია საზოგადოება, მე მხოლოდ „პანჩსა და კომპანიას“ ვცნობ“ - თარგმანი ჩვენია). სწორედ ამ სიტყვებით მთავრდება ფელეტონი.

ლექსის ფორმის ფელეტონში **“The wail of the male”** („მამაკაცთა გოდება“) (The Punch, Vol 93, Sep 17, 1887) სუფრაჟისტი ქალების მოძრაობის საკითხია წინ წამოწეული. ბრიტანელი მამაკაცები საკუთარ აზრს გამოთქვამენ იმის თაობაზე, უნდა ჰქონდეთ თუ არა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ერთ-ერთი მათგანი სასტიკად გაბრაზებულია ქალების დაუოკებელი სურვილებით (they've cut down our wages, and copied our coats, And I really don't see why they shouldn't have votes) („მათ შეგვიმცირეს ხელფასი, წაგვართვეს სამოსი და ახლა ხმის უფლებას ითხოვენ?“ - თარგმანი ჩვენია). მეორე კი თვლის, რომ სულაც არ არის ცუდი, თუკი ქალებს ექნებათ მეტი უფლებები, იმუშავენ, იქონიებენ საკუთარ ჯიბის ფულს და ოჯახსაც თავად არჩენენ (The women will do all the work there's to do and keep us, and the kids) („დაე ქალებმა გააკეთონ ყველა საქმე და შეგვინახონ“ - თარგმანი ჩვენია). თუმცა იგი ხედავს გარკვეულ საშიშროებას ამ საქმიდან (They will have to be bread-winners, leaving us chaps to darn stockings at home with kids on our laps) („ისინი დაიწყებენ „პური არსობისას“ მოპოვებას და ჩვენ შეგვრჩება ქალის საქმე გადასეთებელი“ - თარგმანი ჩვენია) და იცის, რომ ქალის მიერ მართული ქვეყანა დაინგრევა (The world's being ruined by petticoat labour. 'Cos their notion of life is to racket and roam) („მსოფლიო, რომელსაც ქალი მართავს, ნგრევადია. ქალი ხეტიალისთვისაა გაჩენილი“ - თარგმანი ჩვენია).

ინგლისურ ფელეტონებში გაკიცხვის საგანია ყაჩაღური სასამართლო სისტემა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ამ თემაზე არა ერთი ფელეტონია შექმნილი. წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს. ფელეტონი **“Taken upon Trust”** („ნდობის საკითხი“) (The Punch, Vol 100, April 4, 1891) ზღაპარს მოგვავიწყებს, თუმცა რეალური

ფაქტი უდევს საფუძვლად. ფელეტონი დაწერილია ზღაპრის სტილში, რაც მიგვანიშნებს ფელეტონის ჰიბრიდულ ბუნებაზე და იმაზე, რომ მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში ფელეტონი სხვადასხვა სახით არსებობდა, კერძოდ ზღაპრის, იგავის, იუმორისტული მოთხრობის, ლექსის, დრამატული ნაწყვეტის სახით. ზემოდასახელებულ ფელეტონში მოთხრობილია ობლად დარჩენილ და-ძმაზე, რომელთაც ბედმა გაუღიმა და მდიდარმა ნათესავმა დიდძალი ქონება დაუტოვა, თუმცა საჭიროა ანდერძის აღსრულება, რომელშიც მათ იურისტი სჭირდებათ. და-ძმის მიერ მოძებნილი იურისტის დასახასიათებლად ფელეტონისტი იყენებს მეტონიმიას “The man of costs,” რითაც იმაზე მიუთითებს, რომ ანაზღაურების გარეშე ის თითოსაც არ გაანძრევს. იურისტი, რომელიც თითქოსდა ობლების ინტერესების დამცველი უნდა იყოს, ატყუებს მათ და თანხის დაბანდებას ე.წ. second-rate securities-ში ურჩევს. უტიფარ იურისტთან არ გადის მუქარა, როცა ობოლი გოგონა მას ემშაკობას მიუხვდება და ემუქრება, იგი პასუხობს: Do not bandy words with me, Miss. I shall act as I please and ask for the estate to be administered, it will cost you a pretty penny. . . . If you made any further complaint I would appeal to the Chancery Division of the High Court of Justice, which would mean, probably, the absorption of the entire estate in a gigantic bill of costs. გოგონა იძულებულია დატოვოს სასამართლო. ღამით სიზმარში მას გამოეცხადება მომხიზვლელი მოხუცი, რომელიც დახმარებას ჰპირდება. იგი შეცვლის მოსამართლეს და თავად გახდება ობლების მეურვე, რაც იმას ნიშნავს, რომ კაპიტალი ისე იქნება დაბანდებული, რომ მისგან მეტი სარგებელი დარჩება ობლებს. გახარებული გოგონა ეკითხება, თუ ამ სიკეთისათვის რითი შეიძლება მადლობა გადაუხადონ. სანდომიანი მოხუცის პასუხია: By a tariff fixed by the Government.

მეცხრამეტე საუკუნის ინგლისურ ფელეტონებს ახასიათებს ერთი ნიშან-თვისება, მასში მთავარი გმირები თავად ამხელენ თავიანთ ნაკლოვანებებს. ფელეტონში “**Character in a blue bag**” („ცისფერ მანტიაში გახვეული“) (The Punch, Vol 25, July-December, 1953) ორი ადვოკატი კამათობს და სწორედ მათი კამათის დროს წარმოჩნდება, თუ როგორი უსამართლოა სასამართლო სისტემა, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი, პატიოსანი ადვოკატი, რომ ადვოკატები მატყუარები და არამზადები არიან. ისინი თავად იყენებენ ერთმანეთის მიმართ შეურაცხმყოფელ ეპითეტებს

(You're a liar! You're a scoundrel!) (მატყუარა!, არამზადა!), რაც ნათლად წარმოაჩენს კლასის მანკიერ მხარეებს.

ერთ-ერთ ფელეტონში სახელწოდებით **“On the Introduction of pantomime into the English Language”** (The Punch, Vol. 1, July 17, 1841) არა მხოლოდ კონკრეტული სოციალური კლასია გაკიცხული, არამედ მთელი ინგლისელი ერი არის გაქილიკებული. ინგლისელი ერს აფასებს თავად ინგლისელი, რომელიც საკუთარ ერზე საუბარს ნაპოლეონის სიტყვებით იწყებს: Napoleon said many years back, we were a nation of shopkeepers . . . („ნაპოლეონმა დიდი ხნის წინ, მედუქნეთა ერი გვიწოდა“ – თარგმანი ჩვენია) და დასძენს, რომ ინგლისელები სიმდიდრის მოყვარული ერია (Gold has become our sole standard of excellence. We measure a man's respectability by his banker's account . . . Our very nobility is a nobility of the breeches' pocket) („ოქრო ჩვენთვის უპირველესია; ადამიანის შეფასებისას მისი საბანკო ანგარიშით ვხელმძღვანელობთ; ჩვენ პატივს ვცემთ იმას, რაც შარვლის ჯიბეში დევს“ – თარგმანი ჩვენია), ეს ის ერია, რომელიც ურთიერთობებს კომერციული კუთხით ხედავს.

მეცხრამეტე საუკუნის ინგლისური ფელეტონების ანალიზმა დაგვანახა, რომ ამ დროს ფელეტონი რეალურად არსებობდა ინგლისურ პრესაში, მაგრამ ჰქონდა არა სატირულ- იუმორისტული ესეს სახე, არამედ წარმოადგენდა ე.წ. „პატარა ფელეტონს“, რომელშიც გამოხატული იყო საზოგადოების აზრი სხვადასხვა მწვავე საკითხზე, რომელშიც გაკიცხული იყო პოლიტიკოსები, სასამართლო და საეკლესიო პირები, ვაჭრები, მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ამბიციებით აღსავსე ქალები და ა.შ. ამ დროს ინგლისში არსებობდა ფელეტონის ჰიბრიდული ჟანრები: ფელეტონი-იგავი, ფელეტონი-ზღაპარი, ფელეტონი-იუმორისტული მოთხრობა, ფელეტონი დრამა, ფელეტონი-წერილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფელეტონი ნამდვილად არსებობდა თავისი შინაარსით და საკმაოდ განვითარებული ფორმაც გააჩნდა, მაგრამ ტერმინი „ფელეტონი“ არ არსებობდა.

5.4. ინგლისური ფელეტონი XX საუკუნეში

რაც შეეხება მეოცე საუკუნის დასაწყისის ინგლისურ ფელეტონს, იგი სტრუქტურულად და თემატურად დიდად არ შეცვლილა. ფელეტონებში დაცინვის

საგნად კვლავ დარჩა მაღალი სოციალური ფენა, მდიდრები, რომელთაც ფულის საშუალებით ყველაფრის ყიდვა შეუძლიათ, მაგრამ გაუნათლებლები არიან. შევეცდებით, მაგალითებით დავამტკიცოთ წარმოდგენილი მოსაზრება.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო I მსოფლიო ომი (1914-1918). რაღა თქმა უნდა, მასაც, ისევე როგორც სხვა ისტორიულ ფაქტებს, არაერთი ინგლისური ფელეტონი მიეძღვნა. ერთ-ერთ ფელეტონში სახელწოდებით **“The Secrets of heroism”** („გმირობის საიდუმლო“) (The Punch, Vol.152. May 30, 1917) მწარედ არის გაკრიტიკებული იმდროინდელი ინგლისელი ჯარისკაცები, რომელთაც პატრიოტიზმის გრძნობა დაუკარგავთ და იძულებით არიან ომში. აღნიშვნის ღირსია, ის ფაქტი, რომ ჟურნალს „Punch“ სჩვევია ომის ნეგატიურად დახატვა. ფელეტონის ავტორი ასეთ ჯარისკაცებს შემდეგი ეპითეტებით ამკობს: cowards of the ankles (მუხლაკანკალებული ლაჩრები), puppies (ფინიები). ფელეტონი წარმოადგენს დიალოგს სერჟანტსა და ჯარისკაცებს შორის, რომლებიც გულახდილად საუბრობენ იმაზე, რომ მათ ბრძოლისას პატრიოტიზმი არ ამოძრავებთ. ერთ - ერთი მათგანი ომში წასვლის მიზეზად შეყვარებულთან განშორებას ასახელებს (I'll tell you, Sergeant, I never had much heart for soldiering, and I only joined up when I did to spite the girl that jilted me), მეორე მათგანი კი ომში რისკის გაწევას სისულელედ მიიჩნევს და ამბობს: Do you think I'd have taken those risks I took to-day if there was a girl at home worrying over every casualty list? A man's a fool to risk a heart to try to get a medal („როგორ ფიქრობ, გავწევდი რისკს სახლში რომ ცოლი მელოდებოდეს და ჩემზე ნერვიულობდეს? სულელი იქნება კაცი, რომელიც მედლის გამო საკუთარ თავს და სიყვარულს გასწირავს“ – თარგმანი ჩვენია).

ჟურნალს Punch- ი პირველი მსოფლიო ომის დროს კონკურენტობას უწევდა გაზეთი „The Wipers Times.“ იუმორისტული გაზეთის გამოშვება მძვინვარე ომის დროს გასაკვირი იყო, მაგრამ ამას გამართლებაც ჰქონდა. ეს იყო მცდელობა დაეცინათ სიკვდილზე. გაზეთი ხასიათდებოდა ე.წ. „შავი იუმორით“. ზემოთ დასახელებული ორი გამოცემა იმით გავდა ერთმანეთს, რომ ორივე იზიარებდა ერთნაირ პათოსს – მოუწოდებდა საზოგადოებას განწმენდისაკენ, მაგრამ თავისი შინაარსით, კონტექსტით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. გაზეთი „The Wipers

Times“ გამოდიოდა სამთავრობო წრეების წინააღმდეგ და მისი სატირა პოლიტიკური იყო. სატირული ხასიათის ტექსტების გმირები საუბრობდნენ სლენგით, იყენებდნენ დიალექტურ ფორმებს, რითიც მიუთითებდნენ მათ დაბალ სოციალურ ფენაზე, მუშათა კლასზე.

განვიხილოთ ნაწყვეტი გაზეთის ერთ - ერთი ფელეტონიდან “Heart to Heart Talks” („გულახდილი საუბარი“) (The Wipers Times, 1918, February 26, No 6. Vol. 2) რომელიც დიალოგური ფორმითაა წარმოდგენილი. ფელეტონის გმირები არიან ქალაქის მერი და რაიონის კომენდანტი. როგორც ინგლისურ ფელეტონებს ახასიათებს, მთავარი გმირები თვითონვე წარმოაჩენენ ნაკლოვან მხარეებს. ფელეტონი იწყება იმით, რომ ქალაქის მერთან თხოვნით მიდის რაიონის კომენდანტი და სთხოვს, ჯარისკაცებს გამოუყოს საცხოვრისი, თუმცა ჩანს, რომ ქალაქის მერი შეწუხებულია კომენდანტის ხშირი ვიზიტით და მის დანახვაზე წყვლაც კი აღმოხდება. ქვემოთ წარმოდგენილი ნაწყვეტი ქალაქის მერს წარმოაჩენს უნიათო არსებად, რომელსაც არ შეუძლია ან არ სურს ჯარისკაცების დახმარება. იგი ამავდროულად მშიშარაცაა, ეშინია პოსტი არ დაკარგოს. პოსტის დაკარგვის ეშინია რაიონის კომენდანტსაც. თუკი ის ჯარისკაცებს საცხოვრის ვერ მოუძებნის, ისიც თანამდებობის დაკარგვისთვისაა განწირული.

A. C. Hullo – is that the Town Mayor? (ქალაქის მერი ბრძანდებით?)

T. M. (*cursing beneath his breath*) – That fellow again! Yes, what can I do for you, old chap? (კიდევ ეს ახალგაზრდა არ მომადგა! დიახ, მერი გახლავართ, რითი შემძლია დაგეხმაროთ, ბიჭუნო?)

A. C – I have just rung up to enquire if you have any accommodation left over there as – (მოვედი, გამეგო, დაგრჩათ თუ არა საცხოვრებელი.....)

T. M. – Accomodation! I have nothing to do with accomodation, it isn't my job. (საცხოვრებელიო!!!! რა კავშირი მაქვს საცხოვრებელთან, ეს რა ჩემი საქმეა????)

A. C – What about those four empty Nissen huts, I saw over at your place this morning. They're not occupied? (რას იტყვიot იმ ოთხ ქობზე, რომელიც დღეს დილით ვნახე. იმედი მაქვს, არ არის დაკავებული)

T. M. – We've strict orders from Corps about those huts. They were built three months ago for a Cavalry Squadron of Engineers, and were to be kept until the owners turned up. My dear man – it simply can't be done. *I should get hell about it. I might even lose my job.* (სამხედრო კორპუსმა მკაცრი ბრძანება გასცა მაგ ქობებთან დაკავშირებით. ქობები სპეციალურად კავალერისტებისთვის აშენდა სამი თვის წინ და საჭიროა მათ შევუნახოთ, იქნებ გამოჩნდნენ! ჩემო კარგო, ამ საქმიდან არაფერი გამოვა)

A. C. – *And if I can't find room for those people I might lose mine* (თუკი ადგილს ვუშოვი იმ ადამიანებს, საკუთარ ადგილს დაგვარგავ – თარგმანი ჩვენია)

ნაწყვეტი გვიჩვენებს, რომ უბრალო ჯარისკაცებზე მხოლოდ იმიტომ „ზრუნავენ“, რომ საკუთარი თანამდებობის დაკარგვა არ სურთ. დიალოგის ლექსიკა კოლოკვიალურია, რაზეც მეტყველებს ფრაზები: **old chap, old fellow (შე ძველო), to saddle with this damn Labour company**; Three padres arrived this afternoon and **collared** my three remaining tents (სამი მამაო მოვიდა და წამლიტა სამი კარავი).

5.5. თანამედროვე ინგლისური ფელეტონი

თანამედროვე ეტაპზე ბრიტანულ გაზეთებში The Guardian, The Observer და სხვ. ძნელი საპოვნია ფელეტონი, მათი პოვნა მხოლოდ იუმორისტულ სვეტებშია (humorous column) შესაძლებელი, მაგრამ წინა საუკუნეების ფელეტონებისგან განსხვავებით მათ სიმწვავე დაკარგული აქვთ და იუმორისტულ მოთხრობებს არიან დამსგავსებული. ამიტომაც გადავწყვიტეთ სპეციალური სატირულ – იუმორისტული გაზეთები მოგვეძებნა და მათში მოპოვებული სატირულ – იუმორისტული სტატიები გაგვეანალიზებინა. ამ უკანასკნელს ჩვენ „სატირულ – იუმორისტული სტატია – ფელეტონი“ და მამხილებელი სტატია ვუწოდეთ რადგანაც სინამდვილეში ეს არის სატირულ – იუმორისტული და ამავდროულად მამხილებელი სტატია ფელეტონის

ნიშნებით. ტერმინს „სტატია“ ვტოვებთ იმიტომ, რომ ტექსტი საგაზეთო სტატიის სტილშია დაწერილი, საგაზეთო სტატიისთვის დამახასიათებელი სათაური გააჩნია, უფრო პუბლიცისტურია, ვიდრე მხატვრული ელემენტების შემცველი, მაგრამ სატირული ელემენტების სიჭარბის გამო შეიძლება ფელეტონის ჰიბრიდულ ჟანრდაც მივიჩნიოთ.

თანამედროვე ბრიტანულ პრესაში (ისევე როგორც ქართულში) ძირითადად პოლიტიკური სატირა სჭარბობს, თუმცა ვხვდებით სოციალურ, შოუ ბიზნესთან დაკავშირებულ, რელიგიურ საკითხებზე შექმნილ იუმორისტულ მოთხრობებსა და სტატიებს. შევეცდებით ქვემოთ წარმოვადგინოთ თანამედროვე ბრიტანულ გაზეთებში ნაპოვნი რამდენიმე იუმორისტული სტატია-ფელეტონი და მოვახდინოთ მათი ლინგვისტიკური ანალიზი.

თანამედროვე ბრიტანულ იუმორისტული სვეტის სტატიებში ვხვდებით ჟურნალისტების მიერ არა მარტო ადგილობრივი პოლიტიკოსების გაშარჟება-გაკრიტიკების მცდელობას, არამედ მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსებისაც. ასე მაგალითად, 2017 წელს ამერიკის ახლად არჩეული პრეზიდენტის დ. ტრამპის ინაუგურაციამდე არა ერთი სატირულ-იუმორისტული სტატია დაიბეჭდა ბრიტანულ პრესაში. სტატია - ფელეტონში: **“Obama family to spend final day in White House sewing fish into the curtains”** („ობამების უკანასკნელი დღე თეთრ სახლში“) (News Thump, 19/01.2017) იუმორისტულად დახატულია ობამების ოჯახის მზადება დატოვონ თეთრი სახლი და დაუთმონ იგი ახლად არჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ოჯახს. იუმორისტული სტატია – ფელეტონის ავტორი არ ცდილობს საკუთარი აზრის დაფიქსირებას, იგი თავად ამერიკის ექს პრეზიდენტ ბ. ობამას ათქმევინებს: I want to give Mr. Trump the welcome he deserves. I have bought a variety of fish from the Washington Market and with the help of my wife and daughters intend to sew them into the bottom of curtains around the White House. This way, when Mr. Trump arrives everything will seem normal, but over the following week, a pungent smell of rotting fish will permeate the building („მსურს ისე დავხვდე ბატონ ტრამპს, როგორც ეკადრება. ვაშინგტონის ბაზარში თევზი ვიყიდე და იმედი მაქვს ჩემი მეუღლისა და ქალიშვილების დახმარებით თევზებს თეთრი სახლის ფარდებზე მივამაგრებთ.

როცა ტრამპი თეთრ სახლში გადმოვა, მას ყველაფერი წესრიგში დახვდება, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ გაფუჭებული თევზის სუნი მთელ შენობას მოედება“ – თარგმანი ჩვენია). საუბრობს რა ბარაკ ობამა გაფუჭებული თევზის არასასურველ სუნზე, იგი მეტაფორულად მიუთითებს, რომ დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო ვადაც ასეთივე უსიამოვნო იქნება ამერიკელებისთვის. „ლპობაშეპარებული თევზი საშინელი სუნით“ დ. ტრამპის სიმბოლოა. უფრო მეტიც, ბ. ობამა კვლავ აგრძელებს ახლად არჩეული პრეზიდენტის თეთრ სახლში დახვედრის სამზადისს მისი და მისი ოჯახის წევრების მიერ, და ამჯერად ჩაურეცხავი, მოუწესრიგებელი საპირფარეშოების დატოვებაზე საუბრობს: “Joe has spent the day going around using all the bathrooms and not flushing afterwards, and trust me, that a stink you don’t want to know about.” სტატია – ფელეტონი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მასში ასახულია თუ როგორი იქნება ტრამპის საპრეზიდენტო ვადა და რამდენად უსიამოვნო იქნება იგი ამერიკელებისთვის.

სტატია - ფელეტონში **“President Trump inaugurates. Grab a woman by the Pussy Day” (The Daily Squib, 08. 10. 2016)** („პრეზიდენტ ტრამპის ინაუგურაცია“) გაკიცხვის საგანი კვლავ დ. ტრამპია, რომელმაც არჩევნებში დაამარცხა თავისი ოპონენტი ჰილარი კლინტონი და იგივე ურთიერთობას აპირებს სხვა მდედრობითი სქესის პოლიტიკური ლიდერების მიმართ. ფელეტონის სიუჟეტი ასეთია: დ. ტრამპი იმყოფება ნიუ ჯერსის ერთ – ერთ ცნობილ ქალთა თეთრეულის მაღაზიაში სადაც იგი ტრამპს ქალ ოპონენტზე გამარჯვებას და აცხადებს: “I just grabbed the lady CEO’s pussy. I’m meeting the British PM, Theresa May in London, England next week and I’m gonna grab her by the pussy too. I might need both hands for Angela Merkel who I ‘m meeting after. You know I like to do that. Grabbing women by the pussy is every man’s God given right, and listen to me, I’m making it artificial, as president I want a day dedicated to this act.” ფელეტონში არა ერთხელ ხდება ვულგარული ფრაზის “to grab somebody by the pussy“ გამოვლენა. ეს ფრაზა ეკუთვნის დ. ტრამპს, რომელიც მის ერთ – ერთ ფარულ ვიდეო ჩანაწერში (2005 წელს ჩაწერილი) იყო გამოყენებული და 2016 წელს წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელდა. მოვიტანთ ციტატას ამ ფარული ჩანაწერიდან, რომელიც პირდაპირ ასახავს დონალდ ტრამპის უზომო მექალთანეობას და მოპირდაპირე სექსზე ძალადობის გამოყენების მავნე ჩვევას: eah, that’s her, with the

gold. I've got to use some Tic Tacs, just in case I start kissing her. You know I'm automatically attracted to beautiful — I just start kissing them. It's like a magnet. I just kiss. I don't even wait. And when you're a star, they let you do it. You can do anything. **Grab them by the pussy.** You can do anything. ფელეტონში ფრაზას “to grab somebody by the pussy“ სექსუალური კონოტაცია დაკარგული აქვს და ნიშნავს იგი „დაასრულო დაწყებული საქმე“. ტრამპი ემუქრება მსოფლიო ქალ ლიდერებს ტერეზა მეისა და ანგელა მერკელს, რომ მათ ჰ. კლინტონით დაამარცხებს, თუმცა გერმანიის კანცლერ მერკელთან ორმაგი ძალის გამოყენება დასჭირდება.

ბრიტანულ პრესაში გაქილიკებულია თანამედროვე შოუ ბიზნესის წარმომადგენლებიც. წარმოვადგენთ ამ სახის ორიოდე მაგალითს.

სტატია – ფელეტონში “**Michael Flatley's upper body refusing to perform at Donald Trump inauguration**” („მაიკლ ფლეთლის სხეული უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს დონალდ ტრამპის საინაუგურაციო ცერემონიაში“) (**News Thump, 19.01. 2017**) გაკიცხულია „ცეკვის ლორდად“ და რივერ დანსის ლეგენდად წოდებული, ამერიკელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი მაიკლ ფლეთლი, რომელმაც ცეკვას თავი ოფიციალურად 2016 წელს დაანება ხერხემლის პრობლემების გამო, მაგრამ როცა საქმე დ. ტრამპის საინაუგურაციო ცერემონიაზე ცეკვაზე მიდგა, მშვენივრად დათანხმდა შემოთავაზებას. ფელეტონში გაკიცხულია ის ხელოვანები, რომლებიც გარკვეული ფულადი ჯილდოს მიღების გამო, თანახმა არიან დაივიწყონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები და დაემონონ მდიდარსა და ძლიერს. ფელეტონი საინტერესოდ არის აგებული. მასში ვხედავთ მოცეკვავის გასულიერებულ სხეულს, რომელიც თავიდან იშორებს ბრალდებას „რატომ დათანხმდა კონცერტში მონაწილეობას“ და ამ მცდარი გადაწყვეტილების მიღებაში ფეხებს ადანაშაულებს: “I just want to make it perfectly clear that I want no part of this at all. I find the whole thing abhorrent. It was the legs who accepted the booking. But they're the only part of us that people care about – the arms weren't consulted. If the legs want to go through with it, that's fine. They can flail around all they like; I'm just going to stay perfectly still, with my arms stuck fast to my side in protest.” („მინდა გითხრათ, რომ ამ გაუგებრობაში მოულოდნელად აღმოვჩნდი. კონცერტში მონაწილეობის გადაწყვეტილება ჩემმა

ფეხებმა მიიღო, მკლავებს არავინ არაფერი ჰკითხა. რაკი ფეხებს ცეკვა სურთ, დაე იცეკვონ. მე და ჩემი მკლავები პროტესტის ნიშნად გაუნძრევლად ვიქნებით“ – თარგმანი ჩვენია). მოცეკვავის ფეხები პირდაპირ პასუხობს ბრალდებას: “It’s not a political decision doncha know. We just love to dance so we do. Feckin love it. We don’t need the upper body at all. We can carry the show ourselves.” („ჩვენი გადაწყვეტილება პოლიტიკასთან კავშირში არაა. ჩვენ ცეკვა გვიყვარს და ვცეკვავთ. კი ბატონო, ნუ მიიღებს ცეკვაში მონაწილეობას ტანი, მის გარეშეც მშვენივრად შევძლებთ გადაადგილებას“ – თარგმანი ჩვენია)

შოუ ბიზნესის თემას აგრძელებს სტატია-ფელეტონი **“2016 – The year Satan Collected”** („2016 წლის ეშმაკის კოლექცია“) (**The Daily Squib, 27.12.2016**). ეს გახლავთ ინტერვიუს სახით, დიალოგური ფორმით დაწერილი სტატია – ფელეტონი, რომლის მთავარი გმირი ეშმაკია. ეშმაკს ჟურნალისტი სთხოვს შეაფასოს თუ როგორი იყო მისთვის 2016 წელი, რაზეც იგი პასუხობს: “It been good, I got me a good crop this year: Bowie, Prince, George Michael. They had the full run of what I offered them. They signed on the dotted line all those years ago, and when it was time to collect, all I had to do was stand by and let their soul’s slip through. This is one contract they couldn’t get out of” („კარგი წელი იყო 2016. კარგი მოსავალი ავიღე: ბოუი, პრინცი, ჯორჯ მაიკლი. მათ დიდი ხანი ჰქონდათ ჩემთან კონტრაქტზე ხელი მოწერილი, დადგა დრო და ჩემთან წავიყვანე“ – თარგმანი ჩვენია). სტატიის ავტორი ირონიულია 2016 წელს გარდაცვლილი მუსიკოსების: დევიდ ბოუის, პრინცის და ჯორჯ მაიკლის მიმართ და მთელ მათ ცხოვრებასა და შემოქმედებას სატანისტურად მიიჩნევს.

თანამედროვე ბრიტანულ პრესაში, განსაკუთრებით ბრიტანულ სატირულ–იუმორისტულ გაზეთში “The Spooof” შევხვდით სამეფო ოჯახის წევრებზე დაწერილ არაერთ სატირულ – იუმორისტულ სტატია-ფელეტონს. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ კუთხით ერთ – ერთ საინტერესო მაგალითს.

დედოფალ ელიზაბეთ II-ის უმოქმედებას და მის „ფიტულის მსგავს“ პერსონას დასცინიან სტატია - ფელეტონში: **The Worst Ever Tsunami** („საშინელი ცუნამი“) (**The Spooof, 2.01.2015**). ერთ დღესაც ინგლისს დაარტყამს საშინელი ცუნამი, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ცუნამი როდია, ეს ადამიანური ექსკრემენტის ცუნამია. აი რა ეფექტის

მქონეა იგი: Toxic fumes emitted by the accelerating mountain of fermented feces sent victims into wild, hallucinatory trances. Those were the lucky ones. Others were so badly affected they turned into dangerous animals and had to be gunned down by police. The rest were simply swamped to death by the sheer volume and weight of the stuff („მომწამვლელმა კვამლმა მსხვერპლთა ნაწილი ჰალუცინოგენურ ტრანსში ჩააგდო. ზოგი მხეცად აქცია. ზოგიც – გარდაიცვალა“ – პერიფრაზირება ჩვენია).

ხალხი შველას ითხოვს, მშველელი კი არავინაა. პარლამენტის წევრები იმალებიან და თავს ცნობილი ფინანსისტის ნათანიელ როთშილდის კუნძულს **Fukyu**-ს აფარებენ თავს (The entire British Parliament has fled into hiding, to **Nat Rothschild's** private Ionian island of **Fukyu**). კუნძულის დასახელება შემთხვევით არ არის შერჩეული. იგი მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობას ხალხის ბედი არ ადარდებს.

ამ დროს ფიტულის მსგავსი დედოფალი, რომელიც მეფობს, მაგრამ რეალურად ქვეყანას არ მართავს გამოდის ტელევიზიით და ჩვეული სიმშვიდით მოოწოდებს მოსახლეობას სიმშვიდისაკენ: "In this time of great trial and tribulation, we must all stick together. I can assure you all, that this too... shall pass. I, myself, am no stranger to the phenomenon... as I have been a close, personal friend of Ronald Reagan, George W. Bush and Tony Blair." („ახლა, როგორც არასდროს ისე გვჭირდება ერთად დგომა. გარწმუნებთ, ყველაფერი მალე გაივლის. ჩემთვის არ არის უცხო ეს ფენომენი, რადგანაც ახლო მეგობარი გახლდით რეიგანის, ბუშისა და ბლეერის“ – თარგმანი ჩვენია). საინტერესოა დედოფლის სიტყვის დასასრული, რომ მისთვის უცხო არ არის ადამიანური ექსკრემენტი და მისი სუნი, რადგანაც ის საკმაოდ ახლოს იცნობდა რონალდ რეიგანს, ჯორჯ ბუშსა და ტონი ბლეერს. მისი ბოლო ეს წინადადება გამოდგება როგორც მწვავე კრიტიკა მსოფლიო პოლიტიკურ ლიდერებზე.

როგორც ვხედავთ თანამედროვე ინგლისური ფელეტონის თემატიკა კვლავ მრავალფეროვანია. აქ ყველასა და ყველაფრის კრიტიკა და გამარჯება შეიძლება, დაწყებული მონარქითა და სამეფო ოჯახით, პოპ ვარსკვლავებით დამთავრებული, თუმცა პოლიტიკური სატირა, შიდა და საგარეო პოლიტიკის უარყოფითი შეაფასება უპირველესია.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:


1. ფელეტონი საგაზეთო სტილის განუყოფელი ნაწილია. ის გახლავთ საგაზეთო სტილის მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრებიდან ერთ-ერთი გამორჩეული ჟანრი, რომელშიც მხატვრულობა და პუბლიცისტურობა ერთმანეთს გადაჯაჭვულია და რომელიც სატირული დისკურსის შესანიშნავი გამოვლინებაა. ეს არის ცოცხლად, იუმორით დაწერილი საგაზეთო მოთხრობა, რომელიც ამასხარავეს თანამედროვე ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს, მახინჯ მოვლენებს. ფელეტონი მსჯელობის საგნად ირჩევს ისეთ მოვლენას, რომელიც სუბიექტური გაშუქების საშუალებას იძლევა.
2. ფელეტონის ხასიათზე გავლენას ახდენს ტრადიციები, საერთო პოლიტიკური მიმართულება და იმ გაზეთის ორიენტაცია, რომელშიც ფელეტონი იბეჭდება. ფელეტონი – ცვლადი სიდიდეა. მისი ხასიათი ბევრად არის დამოკიდებული მის გარემოცვაზე.
3. თემატიკიდან, ავტორის ინტენციიდან და წერის მანერიდან გამომდინარე ფელეტონი შესაძლოა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრს დაემსგავსოს, ასე მაგალითად პამფლეტს, მოთხრობას, ნარკვევს, წერილს და სხვა. რაკი ფელეტონი თავისი ბუნებით დიდად ჩამოგავს სხვა ჟანრებს და სინკრეტულ ჟანრად მოიაზრება, შესაძლებელი ხდება ფელეტონის მრავალსახეობაზე საუბარი.
4. ფელეტონის ძირითადი სახეებია: **დოკუმენტალური**, რომელიც ფაქტებზე დაყრდნობით იწერება და **კონსტრუირებული**, ავტორის მიერ შეთხზული, რომელსაც საერთო მაინც აქვს მომხდარ ფაქტთან. შეფასების ინტენსივობისა და ორიენტირებულობიდან გამომდინარე გამოიყოფა ფელეტონის რამდენიმე ტიპი: **1) მკვეთრად კრიტიკული; 2) ზომიერად კრიტიკული; 3) ხუმრობით კრიტიკული.** გარდა ზემოდასახელებული ფელეტონის სახეებისა, ჩვენ შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილს კიდევ რამდენიმე სახე შევმატოთ – ეს **ფელეტონის ჰიბრიდული ფორმებია: ფელეტონი-პამფლეტი, ფელეტონი-მოთხრობა, ფელეტონი-ლექსი, ფელეტონი-დიალოგი, ფელეტონი-მონოლოგი, ფელეტონი-დღიური, ფელეტონი-წერილი, ფელეტონი-პაროდია, ფელეტონი-ნეკროლოგი, ფელეტონი-საგაზეთო სტატია და ა. შ.).** თემატური თვალსაზრისით თუკი ვიმსჯელებთ, აქაც შესაძლებელი

იქნება რამდენიმე სახის ფელეტონის გამოყოფა: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ლიტერატურულ-კრიტიკული და ა.შ. განარჩევენ „პატარა“ და „დიდი“ ფელეტონს.

5. ქართული და ინგლისური ფელეტონების ლინგვისტიკისტური კუთხით შეპირისპირებამ დაგვანახა, რომ ფელეტონი ექსპრესიულობით გამოირჩევა და ხატოვანებას ორივე კულტურაში ერთნაირად ქმნის ძირითადად ლექსიკური სტილისტური ხერხები: სატირა, ირონია, გროტესკი, სარკაზმი, სატირული მეტაფორები, გაპიროვნება, იუმორით გაჟღენთილი შედარებები, ეპითეტები. მრავლად გვხვდება ალუზიების, ისტორიული რემინისცენციების, ალეგორიის, პაროდის მაგალითებიც. კვლევამ დაგვანახა, რომ გარდა ლექსიკური სტილისტიკური ხერხებისა, ფელეტონებში ადგილი აქვს სინტაქსურ სტილისტიკურ ხერხებსაც, მაგალითად გამეორებას, ანტონომასიას, რიტორიკულ შეკითხვას, თხრობის დროს წყვეტილს. ასევე შევხვდით კონცეპტუალურ სიტყვებზე აქცენტირებას, რომელიც ხშირად გრაფიკული ფორმით არის ტექსტში გამოხატული აზრის ეფექტურად გადმოცემისთვის. ფელეტონებში გამოყენებული ტროპთა ნაირსახეობები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე და გარკვეულ წილად ესთეტიკურ ტკბობასაც გვრის მათ.
6. რაკი ფელეტონი ჰიბრიდული ჟანრია და ახდენს სატირული პუბლიცისტური ჟანრების ყველაზე ტიპური მხარეების კონცენტრირებას, სინთეზირებას და იძლევა შემოქმედებითი წარმოსახვის მნიშვნელოვან თავისუფლებას ნაწარმოების კომპოზიციური წყობის შექმნის შერჩევის პირობებში, შესაძლოა ვიმსჯელოდ მის სხვადასხვა სტრუქტურაზე. ასე მაგალითად, ფელეტონ-იუმორისტულ მოთხრობას – მოთხრობისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა გააჩნია, ფელეტონ-წერილს – წერილისთვის დამახასიათებელი; ფელეტონი-ნარკვევი – ესეს სტილშია დაწერილი, ფელეტონი-ლექსი – ლექსის ფორმით წარმოგვიდგება და ა.შ. ყველაზე ხშირად კი ფელეტონი მამხილებელი სტატიის, იუმორისტული მოთხრობის და კრიტიკული ესეს / ნარკვევის ფორმით წარმოგვიდგება. იხილეთ



სქემა 1

ფელეტონის სტრუქტურა	ქართული ფელეტონი	ინგლისური ფელეტონი
	70	70
ფელეტონი – იუმორისტული მოთხრობა	21	19
ფელეტონი - ნარკვევი	13	5
ფელეტონი – წერილი	2	4
ფელეტონი – ზღაპარი	5	5
ფელეტონი – სტატია	16	15
ფელეტონი – დიალოგი (დრამა)	3	10
ფელეტონი – ლექსი	8	9
ფელეტონი – პამფლეტი	0	2
ფელეტონი – ნეკროლოგი	2	0
ფელეტონი – დღიური	0	1



თემატური თვალსაზრისით კვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა:

ფელეტონის თემატიკა	ქართული ფელეტონი	ინგლისური ფელეტონი
	70	70
პოლიტიკური	27	30
სოციალურ-ეკონომიკური	23	24
კულტურული	4	4
ლიტერატურულ-კრიტიკული	10	2
საყოფაცხოვრებო	6	10



7. კვლევის დროს ყურადღება შევაჩერეთ ფელეტონთა სათაურებზე, რომელშიც შემდეგი სახის სათაურები გამოვყავით:

რემატული	თემატური	კომბინირებული	ანთროპონიმული	ანოტაციური
„პატარა ფელეტონი“, „თიანეთური ფელეტონი“	„სასწრაფო დახმარება, „სინდისი ჩალის ფასად“, „ლარის დატირება“, „ქელები“, „რემონტწაღებულნი“		„ბენია და ბემტია“, „ნინოც ჩაო, ბადრიც ჩაო, „ოქროც“ ჩაო!... „ბორშიხვრეპია მიშას გაიგივება ზაქიქამია გიორგი მეთორმეტესთან“	
“Talk of the town”, “Funny story“	“Christianity ... price fifteen shillings” “Political woman”	“Street politics – A dramatic dialogue between Punch and his stage manager”	“Queen Victoria Sells her Granny Panties at UK Auction”, “Actually it was Adam and Steve, says God”	“Michael Flatley’s upper body refusing to perform at Donald Trump inauguration”

8. კვლევამ დაგვანახა, რომ ორივე კულტურის ფელეტონებში თემატური სათაურები დომინირებს. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ფელეტონის სათაურს გააჩნია რამდენიმე ფუნქცია: ინფორმაციული ფუნქცია, პრაგმატიკული ფუნქცია, მაპროგნოზირებელი ფუნქცია და ექსპრესიული ფუნქცია.

9. ფელეტონთა სათაურებზე დაკვირვების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო სატირულ-იუმორისტული **ჟურნალ-გაზეთების სათაურებმაც**. ჩვენი დაკვირვებით ჟურნალ-გაზეთების სათაურები შეიძლება სიმწვავის მიხედვით ორ ტიპად დავყოთ: **ძალიან მწვავე** („ეკალი“, „ცეცხლი“, „ემშაკის მათრახი“, „ნიშადური“, „ახირებული ფურცელი“, „ტარტაროზი“, „ნიანგი“) და **ნაკლებად მწვავე** („სალაყბო ფურცლები“, „მასხარა“, „ოხუნჯი“). ჟურნალ-გაზეთების სათაურები შეიძლება **„მოლაპარაკე“**

სათაურებად“ მივიჩნით, რომლებიც ნათლად წარმოაჩინენ გაზეთისა თუ ჟურნალის მიმართებას გასაკრიტიკებელი საკითხის მიმართ.

10. კვლევის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო **ფელეტონისტთა ზედსახელებმა**. აღმოჩნდა, რომ როდესაც ცენზურა ჯერ კიდევ მძლავრობდა, ფელეტონისტები საკუთარი თავის გასაუჩინარებლად ზედსახელებს მიმართავდნენ. ასე მაგალითად „**მოლაყბე**“ (მიხეილ თუმანიშვილი), „ს. წკეპლაძე“, „**კოდო-ბუზი**“ (ს. მესხი), „**ემმაკი**“ (ნ. კალანდაძე), „**თაგუნა**“ (შ. შარაშიძე), „**უჩინ მაჩინი**“, „**ხლაფორთი**“, „**ჭინკა**“ და სხვა. ფელეტონისტთა ზედსახელებს შევხვდით ინგლისურ ფელეტონებშიც: **Well Wisher** („კეთილისმსურველი“), **One Who Knows** („ადმიანი, რომელმაც იცის“), **Fed Up** („გულგაწყალებული“, **A Lover of Decency** („წესიერების მოყვარული“), **Indignant** („ბრაზმორეული“). ეს სახელები „მოლაპარაკე ონიმებია“ და მეტაფორულად გაიგება.

11. ინგლისური და ქართული ფელეტონების ლექსიკურ მხარეზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ფელეტონების დიდი უმრავლესობა (გამონაკლისს წარმოადგენს კრიტიკულ ესეს/ნარკვევის სტილში დაწერილი ფელეტონები) დაწერილია კოლოკვიალური ლექსიკის გამოყენებით. მათში ვხვდებით დიალექტიზმებს, ბარბარიზმებს, სლენგურ გამონათქვამებს. რაც შეეხება კრიტიკული ესეს სტილში დაწერილ ფელეტონებს, ისინი სალიტერატურო ენითაა დაწერილი და მრავლად შეიცავს ბრძნულ შეგონებას, ანდაზას თუ ხატოვან გამოთქმას.

12. ქართული და ინგლისური ფელეტონების დიაქრონულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ქართული და ინგლისური ფელეტონი საუკუნეების მანძილზე შეიცვალა როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად. ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენი დაკვირვების შედეგებს, რომელიც წარმოაჩენს ქართული და ინგლისური ფელეტონის განვითარების განსხვავებულ სურათს, განსხვავებებს ფელეტონთა შინაარსსა თუ სტრუქტურაში.

	საუკუნე	თემატიკა	სტრუქტურა	მახასიათებელი ნიშანი
ქართული	XIX	თავადაზნაურული ინტელიგენციის გულგრილობა ეროვნული კულტურის (ქართული თეატრი და ქართული ჟურნალი) წინააღმდეგ. ენის დაცვა, საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობა, ბატონყმობის საკითხი. ქართველთა მლიქვნელობა, სიზარმაცე, უცხოური მოდით გატაცება, ლოტოს გაუთავებელი თამაში, უზომო ქორწილი და ქელები, სამიკიტნოების გამრავლება და მედუქნეთა, ე.წ. „ჩარჩვაჭართა“ ბინძური საქმიანობა.	კრიტიკული ნარკვევი	ძნელი გასარკვევი იყო რა შეიძლება ყოფილიყო ფელეტონი და რა კრიტიკული ნარკვევი თუ სტატია. ამ დროის ფელეტონებს არ გააჩნდათ ლაკონურობა. ზომიერად კრიტიკული ფელეტონები;
	XX – ის დასაწყისი	რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობაზე, კომუნიზმზე შეტევა. ქართული საზოგადოების მანკიერი მხარეების ჩვენება, ქვეყნის შიდა პოლიტიკური მდგომარეობის კრიტიკული შეფასება, პროდუქტებზე ფასების გაძვირების გაპროტესტება.	ფელეტონი – ნარკვევი; ფელეტონი-დიალოგი; ფელეტონი – დღიური; ფელეტონი – ზღაპარი; ფელეტონი – ლექსი.	მრავალფეროვანი კომპოზიციით, არქიტექტონიკით და სიუჟეტებით გამოირჩეოდა; განსაკუთრებული მემბოხე იერი; მკვეთად კრიტიკული ფელეტონები;
	XX – ის შუა ხანები საბჭოთა ფელეტონი	სოციალურ-ეკონომიკური თემატიკის წამოწევა	ფელეტონი – იუმორისტული მოთხრობა; ფელეტონი– ზღაპარი; ფელეტონი – ლექსი	ფელეტონთა გარკვეული ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა საფელეტონო ჟანრის მოთხოვნებს და ხშირ შემთხვევაში ფაქტის ან მოვლენის ცალმხრივ, კარიკატურულ ანოტაციას წარმოადგენდა.
	XXI	პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური თემატიკის წამოწევა	ფელეტონი – იუმორისტული მოთხრობა, ფელეტონი – სტატია;	ხუმრობით– კრიტიკული ფელეტონები;

ინგლისური	XVIII	საზოგადოების გარკვეული წრის, ცალკეულ პირთა ან ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის (ზოგჯერ თვით სახელმწიფოს) წინააღმდეგ.	ფელეტონი – პამფლეტი	პოლემიკურ-აგრესიული ტონის სატირული თხზულება; მწვავე, შეურაცხმყოფელი ბუნების.
	XIX	გაკიცხვის საგანი: პოლიტიკოსები, სასამართლო და საეკლესიო პირები, ვაჭრები, მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ამბიციებით აღსავსე ქალები.	ფელეტონი-იგავი, ფელეტონი-ზღაპარი, ფელეტონი-იუმორისტული მოთხრობა, ფელეტონი დრამა, ფელეტონი-წერილი	მკვეთრად კრიტიკული ფელეტონები;
	XX	გაკიცხვის საგანი: მაღალი სოციალური ფენა, უაზრო ომები და „ვაი“ მეომრები, საკუთარი კეთილდღეობისთვის მებრძოლი პოლიტიკოსები.	ფელეტონი-იუმორისტული მოთხრობა, ფელეტონი დიალოგი	მკვეთრად კრიტიკული ფელეტონები;
	XXI	გაკიცხვის საგანი: ადგილობრივი და მსოფლიო პოლიტიკოსები, მონარქი და სამეფო ოჯახი, შოუ ბიზნესის წარმომადგენლები.	სატირულ – იუმორისტული სტატია-ფელეტონი;	ხუმრობით-კრიტიკული ფელეტონები;

13. კვლევამ ცხადყო, რომ ქართულმა და ინგლისურმა ფელეტონმა განვითარების განსხვავებული გზა განვლო. ინგლისური ფელეტონის სათავე ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში უნდა ვეძიოთ. იგი უფრო ძველია და უფრო მწვავე, ვიდრე ქართული ფელეტონი. თუკი არსებობის დასაწყისში ფელეტონი მხოლოდ ორი სახით არსებობდა – იუმორისტული/კრიტიკული ესეს და იუმორისტული მოთხრობის სახით, დღეს ფელეტონის სხვადასხვა ჰიბრიდული ფორმა ასებობს, რაც ფელეტონის ჟანრის განვითარების მაჩვენებელია. კიდევ ერთი განსხვავება რაც ქართულ და ინგლისურ ფელეტონებში შევნიშნეთ, არის ის, რომ ინგლისური ფელეტონების უდიდეს ნაწილში ფელეტონის გმირები თავადვე დასცინიან საკუთარ თავს და

ამხელენ იმ საოციალური ფენის ნაკლოვანებებს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. ქართულ ფელეტონში ნაკლზე მითითება მესამე პირის მიერ ხდება.

14. კვლევამ დაგვანახა, რომ ფელეტონებში კარგად ჩანს ამა თუ იმ კულტურის ისტორია, მათი სოციალური თუ პოლიტიკური ან სხვა სახის პრობლემები, ის თუ როგორ რეაგირებენ ამა თუ იმ მწვავე საკითხზე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები, რამდენად ბასრია მათი იუმორი მათთვის საჭირობოროტო საკითხებზე.

15. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ქართულმა და ინგლისურმა ფელეტონმა დაკარგა სიმწვავე და თანდათან იუმორისტულ მოთხრობას და იუმორისტულ / მამხილებელ სტატიას დაემსგავსა. თანამედროვე ფელეტონი ვეღარ მოუწოდებს წამკითხველს გაილაშქრონ უსამართლობის წინააღმდეგ. თანამედროვე ფელეტონი ართობს მკითხველს, ღიმილს გგვრის მას და აჩვენებს, რომ ის სოციალური თუ პოლიტიკური სახის პრობლემები რომლებიც ოდითგანვე არსებობდა დღესაც მოუგვარებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ლ. „ნარკვევები ქართული ფელეტონის ისტორიიდან“, თბილისი. 1955
2. გადაბაძე მ. „მხატვრული ტექსტის სათაური როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ტიპოლოგიური დინამიკა ინგლისური პროზის კონტექსტში“, სადოქტორო დისერტაცია, ქუთაისი. 2015
3. გოგუა გ. „სულ სხვანაირი ქართული ჟურნალისტიკა“, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 02.09. 2011.
4. გოგოლაშვილი თ. „სახის ლინგვისტური რეალიზაცია საგაზეთო კომუნიკაციაში (ბრიტანული და ქართული პრესის მასალაზე)“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი. 2006
5. კვარაცხელია გ. „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1990
6. მახარაძე მ. „პოლიტიკური ფელეტონის თავისებურებანი“, საერთაშორისო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ სივრცეში II“ მასალები, ბათუმი. 2014
7. მახარაძე მ. „ავტორ-ფელეტონისტის როლი ფელეტონში“, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“ № 24, თბილისი. 2015
8. მახარაძე მ. „საგაზეთო ფელეტონის ჟანრობრივი მახასიათებლები“, ჟურნალი „ინტელექტუალი“, თბილისი. 2015
9. მახარაძე მ. „ფელეტონის მხატვრული საწყისი და მისი სიახლოვე სატირულ - იუმორისტულ მოთხრობასთან“, ბათუმი. 2017
10. მიშველაძე რ. „ქართული სატირული ჟურნალისტიკა“, თბილისი. 1971
11. ორკოდაშვილი მ. „საგაზეთო ანალიზური სტატიის ლინგვისტური და გრაფიკული მახასიათებლები“, ავტორეფერატი, თბილისი. 1999
12. რუსეიშვილი მ., ქებურია მ. „იუმორის ვერბალური გამოხატვის რამდენიმე ლინგვისტური ხერხის შესახებ“, ჟურნალი „საენათმეცნიერო ძიებანი“ XXVIII, თბილისი. 2008

13. სიხარულიძე ე. „ქართული საბჭოთა ფელეტონი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი. 1969
14. ტაბალუა ს. „GLOSSE როგორც ინოვაციური ჟურნალისტური ჟანრი და მისი სინთეზური ხედვის ლოგიკურ-თეორიული ასპექტები, ჟურნალი „ინტელექტუალი“ № 9, თბილისი. 2009
15. ტაბალუა ს. „მედია ჟანრი Glosse როგორც ლიტერატურული ფენომენი“, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი. 2010
16. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი. 1989
17. შავლაძე თ. „ნეკროლოგი როგორც ტექსტობრივი ფენომენი და მისი ტიპოლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2017
18. შამილიშვილი გ. „ხუმრობა, იუმორი, სატირა - ეს ცხოვრებაა“, ჟურნალი „საისტორიო მაცნე“ ტომი XIX, გამომცემლობა „უნივერსალი“. 2010
19. შამილიშვილი გ. „მწერლობა დაუსრულებელი ტკივილია“, თბილისი. 2010
20. შენგელია ნ. „ფელეტონი“, ქუთაისი. 2005
21. ჩხობაძე ი. „კომიზმის ენობრივი მექანიზმები“ (საგაზეთო ფელეტონის ფრეიმული ანალიზი), ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი. 2005
22. ჩხობაძე ი. „კომუნიკაციური იმპლიკატურები საგაზეთო ფელეტონის ტექსტში“, ჟურნალი „საენათმეცნიერო ძიებანი“ №19, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი. 2005
23. ჩხობაძე ი. „საგაზეთო ფელეტონის ჟანრის საკითხისათვის“, ჟურნალი „საენათმეცნიერო ძიებანი“ №23, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი. 2006
24. ჯობაძე ლ. მხატვრული ტექსტი როგორც სტილისტურ-კონცეპტუალური სისტემა, გამომცემლობა „ხირონი“, თბილისი. 2008
25. Cook R. DEFOE AND SWIFT: CONTRASTS IN SATIRE, 1963
<http://dalspace.library.dal.ca/handle/10222/62680>
26. Dianina K. 'The Feuilleton: An Everyday Guide to Public Culture in the Age of the Great Reforms,' The Slavic and East European Journal, Vol. 47, No. 2., pp. 187-210. 2003
27. Eaman, "The A to Z of Journalism", Plymouth. 2009

28. Encyclopedia Britannica, Chicago. 2017
29. Galperin, I. 'Stylistics,' Moscow, High School. 1977
30. Genette G.& Crampe B. Structure and functions of the Title in Literature//Critical Inquiry, Vol.14, No.4: 692-720. 1988 <http://www.jstor.org/discover/10.2307/1343668?sid=21105418798931&uid=3738048&uid=70&uid=4&uid=2&uid=2>
31. Griffin, Dustin H. 'Satire: A Critical Introduction,' Kentucky University Press. 1994
32. Haake, W. (1951) Handbuch des Feuilletons. 3 Bände. Emsdetten: Lechte. 1951
33. Herasymchuk, N. (2010) Stylistic's Lexical Means as a Method of Creating a Comic Satirical Journalism (Based on Satirical Newspaper Feuilleton the Second Half of XIX – Early XX Century). 2010
34. Mankoff R. 'The Intersection of Politics and Satire.' 2012
35. Nash W. "The Language of Humour," London. 1985
36. Omelchuk, Y. The feuilleton: its genre specificity and functions. <http://ekhsuir.kspu.edu/bitstream/123456789/1925/1/%D0%9E%D0%BC%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%87%D1%83%D0%BA%20%D0%AE.%D0%9E.%20THE%20FEUILLETON%20ITS%20GENRE%20SPECIFICITY%20AND%20FUNCTIONS.pdf>
37. Petcu M. 'The feuilleton, a form of the serial culture,' University of Bucharest, Romania. 2013
38. Pietila A. 'The Afro-American's World War II Correspondents: Feuilletonism as Social Action,' Townson University, USA, Literary Journalism Studies, Vol.5, No.2. 2013
39. Sapir E. "Language: An Introduction to the Study of Speech," 1921.
40. Seppi R.K. 'Viennese Feuilleton during the early 1920s: Description and analysis of Bertha Pauli's Biographical sketches as contributions to a literary genre'. 2003
41. Shavladze T., Makharadze M. (2017) "Modern English Feuilleton", International Journal "Galaxy", India. 2017
42. Simpson P. 'On the Discourse of Satire. Towards a stylistic model of satirical humour,' Amsterdam, Philadelphia, 2003.
43. Sweet H. "The History of Language". 2011
44. Арнольд Й. В. „Стилистика современного английского языка“, „Просвещение“, Ленинградское отделение, Ленинград. 1981

45. Заславский Д. „Фелетон в газете“, Москва. 1952
46. Истомина, А. Е. „Фельетон как жанр политического дискурса“, Волгоград, 2008.
47. Кадыкова И. „Жанры Журналистики“. 2011
<http://zhurnalistika.net/20110313845/teoriya-zhurnalistiki/osnovy-zhurnalistiki/irina-kadykova.-zhanry-zhurnalistiki.html>
48. Карасик, А.В. „Лингвокультурные характеристики английского юмора“: дис. канд. филол. наук / А.В. Карасик. Волгоград. 2001
49. Кольцов М. „Писатель в газете“. Москва. 1961.
50. Кржижановский С.Д. „Поэтика заглавий.“ // „Никитинские Субботники“. Москва. 1931 http://az.lib.ru/k/krzhizhanowskij_s_d/text_0292.shtml
51. Кузнецов В. Г. „Функциональные стили современного французского языка“, Высшая Школа, Москва. 1991
52. Кулинтч М. А. „Лингвокультурология юмора (На материале английского языка)“ Издательство Самарского государственного педагогического университета. 1999
53. Логачев С. А. „Политический фельетон в семантико прагматическом аспекте : на материале немецкой публицистики“, Санкт-Петербург. 2009
54. Пропп, В.Я. „Проблемы комизма и смеха“, Лабиринт. Москва. 2002
55. Прохоров Е. П. „Введение в теорию журналистики“, Москва. 2002
56. Желтухина, М.Р. „Комическое в политическом дискурсе конца XX века. Русские и немецкие политики“. Монография / М.Р. Желтухина. М.: Ин-т языкознания РАН; Изд-во ВФ МУПК. Волгоград. 2000
57. Желтухина, М.Р. „Тропологическая суггестивность тропов масс-медиального дискурса: о проблеме речевого воздействия тропов в языке СМИ“: монография / М.Р. Желтухина. М.: Ин-т языкознания РАН; Изд-во ВФ МУПК. Волгоград. 2003
58. Журбина Е. И. „Повесть с двумя сюжетами“. – Москва 1974
59. Журбина Е. И. „Искусство фельетона“. – Москва. 1965
60. Северина, Е. А. „ФЕЛЬЕТОН КАК «ГИБРИДНЫЙ» ЖАНР ПУБЛИЦИСТИЧЕСКОГО ДИСКУРСА“ (на материале немецкоязычной прессы) Вестник МГЛУ. Выпуск 19 (705). 2014

<file:///C:/Users/User/Downloads/felieton-kak-gibridnyy-zhanr-publitsisticheskogo-diskursa-na-materiale-nemetskoyazychnoy-pressy.pdf>

61. Цыганов О. В. „Режиссура газетного номера“. Москва. 1968

62. <http://www.firstworldwar.com/features/satirical.htm>

63. <http://www.nam.ac.uk/collection/collection-news/wipers-times-soldiers-paper>

საილუსტრაციო მასალა

1. დუმბაძე ნ. „მოთხრობები“, თხზულებები ოთხ წიგნად, წიგნი მესამე, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1990.
2. ვაჟა ფშაველა „თიანეთური ფელეტონი“, 1901.
3. ვაჟა ფშაველა „თიანეთური ფელეტონი“, 1902
4. ჭავჭავაძე ი. „ჩვენი ახლანდელი სიბრძნე-სიცრუე“, 1896.
5. ჭავჭავაძე ი. „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“, 1885.
6. ჭავჭავაძე ი. „სახალწლოდ“, 1898.
7. ტაბატაძე ო. „ნინოც ცაო, ბადრიც ჩაო, „ოქროც“ ჩაო!, 2011, presa.ge.
8. შატაკიშვილი რ. „მის პოლიტიკურ მენიუში წიწმატი იყო მოდაში“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
9. შატაკიშვილი რ. „მოსთხოვო პრინციპულობა და თანმიმდევრულობა ნოღაიდელს, ეს იგივეა ბლის ხეზე აძვრე და ტოტები დაალეწო – ანანასს რად არ გამოიბავო“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
10. შატაკიშვილი რ. „რომელი უკეთესად მკითხაობს ყავაზე – კლიმიაშვილი თუ სარიშვილი?“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
11. შატაკიშვილი რ. „ერო(ს)ტიკული არდადეგები – ცივ გუდაურში გახურებული გვერდები“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
12. შატაკიშვილი რ. „ნოღაიდელი საიქიოში ფანდურზე დაუკრავს და ოსურად იმღერებს“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
13. შატაკიშვილი რ. „იარეთ ვისთანაც გინდათ, თუ გინდა თემურ ლენგის საფლავს ახალეთ ეგ თქვენი გოგრები“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
14. შატაკიშვილი რ. „რა „უზაარ-მაზაარი“ შედეგი მოაქვს ხელისუფლებასთან ოპოზიციაში გადაბარებას“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
15. შატაკიშვილი რ. „მარგარეტ ტეტჩერის და ნ. ბურჯანაძის შედარებითი დახასიათება“, 2011, გაზეთი „დრონი.გე“
16. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 30.11. 2009.
17. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 17.01. 2011.
18. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 18.07. 2011.
19. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 02.03. 2015.

20. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 23.02. 2015.
21. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 7-13.07. 2014.
22. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 25-31.05. 2015.
23. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2-8.02. 2015.
24. გაზეთი „დროება“, 1876, №2.
25. გაზეთი „დროება“, 1983, №2, 4, 6, 11, 13.
26. გაზეთი „ივერია“, 1906, 5 მარტი, №1.
27. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1978.
28. ჟურნალი „ეკალი“ № 1, 2, 3, 1907.
29. ჟურნალი „ნიანგი“ № 1, 10, 16, 1976.
30. ჟურნალი „ნიანგი“ № 18 –19, 20, 1976.
31. ჟურნალი „ნიანგი“ № 23, 1985.
32. ჟურნალი „ნიანგი“ № 14,15, 17, 1990.
33. ჟურნალი „ნიანგი“ № 1, 2, 1951.
34. The Punch, vol. 1, 1841, July 17.
<http://onlinebooks.library.upenn.edu/webbin/gutbook/lookup?num=13639>
35. The Punch, Vol. 1. Oct. 9, 1841.
36. The Punch, Vol 93, Sep 17, 1887.
37. The Punch, Vol. 1, July 17, 1841.
38. The Punch, Vol. 98, March 29, 1890.
39. The Punch, Vol 25, July-December, 1953.
40. The Punch, Vol.100, April 4, 1891.
41. The Punch, Vol.146, May 27, 1914.
42. The Punch, Vol. 146, Jan 17, 1914.
43. The Punch, Vol. 152, May 20, 1917.
44. News Biscuit, Jan 2, 2017.
45. News Thump, Jan 19, 2017.
46. The Daily Squib, Dec 27, 2016.
47. The Daily Squib, Oct 8, 2016.
48. The Daily Squib, Dec 28, 2016.
49. The Spoof, 20.07. 2015.
50. The Spoof, 2.01.2015.

51. The Wipers Times. The Famous First World War Trench Newspaper, Bllomsbury Publishing, 2015.
52. www.dailysquib.co.uk
53. www.newsbisquit.com
54. <http://newsthump.com/>
55. <http://www.thespoof.com/>

დანართი

(1)

- მთას თავი უნდა მოვაჭრათ აჭარაში, - მითხრა ჩემმა უფროსმა და ოდნავ დარცხვენილმა შემომხედა, - სულ ზევიდანაა ბრძანება...

ჯერ ვიფიქრე, რომ მომეჩვენა, მერე ვიფიქრე, რომ თმა მითხრა და არა მთა და ამ იმედს ჩავებლაუჭე.

- რას მიყურებ, ვერ გაიგე? მთა უნდა მოჭრა! - გადამიწურა იმედი უფროსმა. თუმცა მე ჩემსას არ ვიშლიდი და ამჯერად ყურები მოვისინჯე, მაგრამ ამაოდ, - ორივე ყური ადგილზე მქონდა და სრული დატვირთვით მუშაობდა.

- როგორ უნდა მოვჭრა მთა? - მოვისაწყლე თავი და უფროსს საცოდავად შევაჩერდი.

- როგორც ზემოდან მითხრეს, უნდა გააკეთოთ დიდი ბირდაბირი და იმით... თურმე ბათუმის თავზე ღრუბლებმა რომ არ მოიყარონ თავი და წვიმამ დამსვენებლები არ გააქციოს, ამისთვის ყოფილა საჭირო - მიპასუხა ზემდგომმა, ამოიხრა და თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა. უფროსის მდგომარეობაში შევედი და გამხნეების ნიშნად მხარზე ხელი მოვუთათუნე.

- მაგრამ ეს ყველაფერი არაა... - დაიწყო ისევ უფროსმა.

საშინელების მოლოდინში წარბებიც კი ყალყზე დამიდგა.

- აბა, კიდევ რა უნდა ვქნა? - ვიკითხე სულ მთლად მომჩვარულმა.

- რა უნდა ქნა და სვანეთში მწვერვალი უნდა გაანათო, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჭერა არც შენ აგცდება და არც მე!

ზემდგომს წინადადება არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ გული წამივიდა. ჩემს უფროსს რომ არ ემარჯვა და წყალი არ ესხურებინა, სამუდამოდ დავტოვებდი ოპოზიციის გარეშე ისედაც ეულად დარჩენილ საქართველოს.

- რა იყო, შე კაცო, - გამამხნევა მან, - აგერ ვართ ყველა და მოგეხმარებით!

მოგეხსენებათ, პროფესიით ინჟინერი ვარ, ხიდებს ვაშენებ, გვირაბები გამყავს, სახლების ფასადებს ვღებავ, მაგრამ მთის მოჭრა და განათება არსად გამიგია და წამიკითხავს, ამიტომ ოთახში ნახევრად გულწასული სავარძელზე დავჯექი და ფიქრი დავიწყე.

- რას შვრები, - შემომხედა უფროსმა ფიქრებში წასულს, - იდეა გაქვს, თუ შევუკვეთო ბირდაბირი?

- შეუკვეთე ბირდაბირი, - ვუთხარი მე და ფეხზე წამოვდექი.

გიგანტური ბირდაბირი უცხოეთში ჩამოვასხმევინეთ. მეფოლადემ ჯერ პროფილაქტიკის მიზნით შუბლზე მომადო ხელი, მერე, როცა დარწმუნდა, რომ ჩემი ტემპერატურა ნორმალური იყო, მკითხა:

-თქვენ რომელი ქვეყნის ხელისუფლებიდან ხართ?

- საქართველოდან! - ამაყად მივუგე.

მეფოლადემ ჩემი შუბლიდან ხელი აიღო, ააო, - თქვა და დამშვიდდა.

- გეთქვა მერე, კაცო, რას შემაშინე, ჩემი მეგობრის ფირმიდან შენმა კოლეგებმა მთის გასანათებელი ტექნიკა შეიძინეს.

5 დღეში უზარმაზარი ბირდაბირი მზად იყო! მისი დამზადება და ტრანსპორტირება ჩემი უწყების საკმაოდ დიდი ბიუჯეტის 35 პროცენტი დაჯდა. რამდენიმე თვე მე და ჩემი თანამშრომლები ვხერხავდით მთას, თუმცა მუშები ნელ-ნელა გვტოვებდნენ და სახლებში

მიდიოდნენ; ერთმა მუშამ წასვლისას ისიც კი მითხრა, შენ რომ უფროსი ხარ და მე - მუშა, იმ სახელმწიფოს რა ვუთხარიო. მერე უზარმაზარ ბირდაბირს კიდევ ერთხელ შეხედა დამცინავად და კაცობრიობისათვის დღემდე უცნობი გინებით დატოვა მთის ტერიტორია. ორი თვის შემდეგ სამუშაოდ მხოლოდ მე და ჩემი უფროსი დავრჩით ხერხის და ღვთის ანაბარა, მთის წვერი კი ძველებურად იდგა... სწორედ ამ დროს სულ ზევიდან ზარი გაისმა! ნომერს დახედა თუ არა, ჩემს უფროსს მკვდარსა და თითქმის მკვდარს შორის რომ ფერია, ის ფერი დაედო სახეზე და გისმენთო, - ჩასძახა, შემდეგ კი ასეთი დიალოგი მოვისმინე:

- დიახ, ვჭრით, ბატონო!

- ...

- დიახ, რა თქმა უნდა, ხერხით მშვენივრად იჭრება, კარგად მოგიფიქრებიათ.

- ...

- განათებაც ადვილია, დიახ, ჰესი ავაშენეთ მწვერვალთან და ახლა გავანათებთ.

- ...

- დიახ, ძალიან იაფი დაჯდა, თითქმის არაფერი, ჰესი და კიდევ რამდენიმე რაღაც... სულ ეგაა...

- ...

- ორ თვეში ჩამოხვალთ და გახსნით? გელოდებით, ნახვამდის!

ყურმილის დადებისთანავე ჩემს უფროსს მკვდრისფერი ჯერ მწვანეში გადაუვიდა, მერე - წითელში, მერე - ნარინჯისფერში, მერე - ავაჰმეო, - დაიძახა და ქარაფიდან გადახტომა დააპირა, მაგრამ მე განზრახვას მივუხვდი, თან წამის მეათასედში ისიც გავიფიქრე, რომ პირველ პირს მარტო უნდა დავხვედროდი და უფროსს ხელი ვტაცე.

- ნუ გეშინია, იდეა მაქვს, - ვუთხარი და წყალი შევასხურე.

ჩემი იდეით, მთის წვერისთვის მიწა უნდა მოგვეყარა და მერე კარგად დაგვეტკეპნა, ისე, რომ ბირდაბირით გადაჭრილს დამსგავსებოდა! უფროსმა ისეთი მოსიყვარულე თვალებით შემომხედა, ცოტა არ იყო, შემეშინდა, გრძნობა ვნებაში არ გადასვლოდა, ამიტომ სწრაფად მოვკიდე ხელი და იდეის განხორციელებას შევუდექით.

მალე ყველაფერი მზად იყო! დარჩენილი იყო სვანეთში მწვერვალის განათება, სადაც ჩვენი ბიუჯეტის 45%-ის შემწირავი ჰესი დასასრულს უახლოვდებოდა, ეს პრობლემაც მალევე მოვავკარეთ, მართალია ქარაფებზე ჩამოკიდებული მუშები კარგა ხანს აკანტურებდნენ თავებს და ჩემს დანახვაზე პირჯვარსაც იწერდნენ ხოლმე, მაგრამ ერთ-ერთ ქარაფზე მშვენიერი ჰესი მაინც ავაგეთ და მწვერვალი ისე გავანათეთ, რომ იქიდან აჭარაში გადაჭრილი მთაც მშვენივრად ჩანდა, სვანები, კახელები, აჭარლები გაოგნებულები შესცქეროდნენ უდიდეს საოცრებას - გადაჭრილ მთას და განათებულ მწვერვალს...

პრეზიდენტიც მოვიდა უკრაინულ დელეგაციასთან ერთად (ძირითადად - ქალებთან), ჩამრთველს ხელი დააჭირა და მთა გაანათა! ვგრძნობდი, ამის შემხედვარე ჩემს უფროსს სიყვარულიანი თვალები უკვე ვნებით უელავდა, მაგრამ რაღას დავეძებდი!.. ყველას გვიხაროდა და ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, ერთი კახელი სოფლის გამგებელი რომ არ მომახლოებოდა და არ ეთქვა:

- შენი ჭირიმე, შენ შემოგველე, ჩემს სოფელს მთა ფარავს და ყურძენს სიტკბოს უკარგავს, ჰოდა, პრეზიდენტმა იმ მთის იმერეთში გადატანა დამავალა! იქნებ როგორმე დამეხმარო.

(გაზეთი „კვირის პალიტრა“, 17.01. 2011)

(2)

მიშა იცვამს მეფურ სამოსს (ხალათს) და მალემსრბოლ ქალს ეგებება. . .

მიშა - მაიტა აბა რა საჩუქარი გაქვს კალათაში?

მალემსრბოლი - თქვენო ბრწყინვალეებავ ახალი ამბავი რამ ჩამოგიტანეთ, ძალიან მოგეწონებათ. . .

მიშა - ვისგან არის? ანდუყაფარ ამილახვარისგანაა?

მალემსრბოლი - კი მანაც გამოაგზავნა, აი. . .

მალემსრბოლი ქალი სახელად დარეჯანი უზარმაზარ ყანწს გამოაძრობს კალათიდან.

მიშა - შენ რა მაგარი ქალი ყოფილხარ ქალო!. . . რამდენ კილომეტრს ფარავ საათში? თანაც ამ კალათთან ერთად. . . აბა მკლავი გააშიშვლე, კისერიც წამოხნიქე, უფ, უფ. . .

მალემსრბოლი - აბა მე რა ვიცი რამდენს ვფარავ არ დამითვლია. . . თქვენო ბრწყინვალეებავ. . .

მიშა - აწი დაითვალე ხოლმე. . . ამ ყანწზე რაღაც აწერია. . . რა ენაზეა ეს წარწერა?. . . ვნახო. . .

მალემსრბოლი - აი წერილში წერია ამ ყანწზე თქვენო ბრწყინვალეებავ. . .

მიშა - წერილი რად მინდა იმდენი უცხო ენა ვიცი ზეპირად ქალო. . . შენ ვერც დაითვლი. . .

კითხულობს, მაგრამ ეტყობა რომ ვერ იგებს. . .

მიშა - კარგი მაიტა წერილი. . .

წერია - ეს ყანწი არაბეთიდან მომართვა არაბმა ვაჭარმა აბდულ მუხ ბუაზ ალეკპერ მუსულბეზ ბეგმა ზულუსის ტომის აფრიკელი ბელადისათვის წაურთმევია ტყვედ რომ ჩაიგდო მაშინ, წარწერაც სპილოზე ნადირობის ეპიზოდს გამოხატავს. . .

მიშა - აბა მეორე რა ამბავი უნდა მაუწყო?

მალემსრბოლი - ახალი კერძის მომზადება შემასწავლეს. . .

მიშა - ვინა ანდუყაფარმა გასწავლა ?

მალემსრბოლი - არა მისმა გლეხებმა. . .

მიშა - რეებსა ბოდავ. . . აბა გლეხებს რა შეუძლიათ, მაგათ ხომ ტვინის მაგივრად ნეხვი აქვთ თავში და უქნარებიც არიან ქალო. . . მაგათი მოფიქრებული კერძი ალბათ ღორის ტყავისაგან ან ყურებისაგან იქნება. . . ხა ხა ხა ხა. . .

მალემსრბოლი - არა თქვენო ბრწყინვალეებავ ძროხის ფეხებისგან ამზადებენ. . .

მიშა - ძროხის ფეხებისგან? აბა მე რას ვამბობდი. . . ხა ხა ხა აბა რას რომავ მე და ძროხის ფეხები! ძროხის ფეხები სხვას შეაჭამე, მე არ მინდა. . . ხვალ სანადიროდ მივდივარ ანდუყაფართან. . . შენც წამოხვალ. . . ეხლა გადი ჩემს ვეზირს დამიძახე. . .

მალემსრბოლი ქალი გადის და ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ანთებული სანდლით ხელში ვეზირი.

მიშა - ვეზირო ვანო! ცხენები შეკაზმულია?

ვეზირი ვანო - შეკაზმულია და გადაქაზმულელებულიც თქვენო უბრწყინვალეებულ-ბულესობისავ. . . .უი . . . უი მაპატივებით. . . მაპატივებით უნებლიეთ მამდის. . .

მიშა - ეგ ვიცი ბრიყვო!. . . ხვალ დილით ორის ნახევარზე გავდივართ. . . არ გამაღვიძოს

საყვირების ხმამ თვარა ვირების თავლაში დაგტოვებ სადარაჯოდ

მესამე დღეს ანდუყაფარის გლეხებმა დაჰკრეს ნალარა ტყიდან ნადირის გამოსადენად. . . დახოცეს

უამრავი ნადირი. . . გარეულ ღორებთან ერთად იქ იყო ძროხები, ცხვრები და ბევრი ქათამი. . .

ტყიდან გლეხებმა დახოცილ ნადირთან ერთად სისხლიანი დაჭრილი კაცი გამოიყვანეს და მეფეს მიჰგვარეს.

დაჭრილი კაცი - მეფევ! ლეკები დაგვესხნენ თავს, გვიშველეთ. . . ქალები წაიყვანეს თან. . . ჯერ კიდევ დაეწევა თქვენი რაზმი. . .

მიშა - ქალები კარგია, მაგრამ ჩვენ ნადირობისთვის ხალხი არ გვყოფნის. . . რა დროს ლეკებია ბრიყვო. . . თან საქეიფოდ მივდივართ. . .

ვეზირი ვანო - რაღა დროს. . . საიდან მოგათრიეს ამ ბლიყვებმა მალე ბუნ გადამალეთ თავლაში. . .

მიმა – წაიყვანეთ და თავლაში ჩააგდეთ ჩქარა, სხვებმა არ დაინახოს. . .

სალამოს ანდლუყაფართან მიმამ ბევრი იქეიფა. . . ბევრი ღვინოც მიირთვა თავისი ახალი ყანწით.

მეორე დილით აღვიძებენ სასწრაფოდ. . .

მიმა – რა მოხდა თქვე ოხრებო თქვენა. . . ხომ იცით კარგი სიზმრები მიყვარს დილით. . . თუ არ იცოდით ამაზე. . . ვაი, ვაი როგორ ცუდათა ვარ. . . თავი. . . გამშორდით თქვენი. . .

ამ დროს შემოდის ვეზირი ვანო. . .

ვეზირი ვანო – იცით ეს რა მალმოა. . მალმო. . მალმოსთვისაა. . წამალივით მოლიხდებათ ძალიან კარგია. . . კარგია. . . უებარია. . . უებარი. . .

მიმა – რას ბლუკუნებ. . . ვერ გამაგებინებ რა გინდა?

თათარი მსახური – ეს საუკეთესო მალამოა ნაქეიფარზე თქვენო ბრწყინვალეზავ. . .

მიმა – მე ვიცი მარტო კამეჩის მაწონი, მაგრამ მაიტა ვნახო. . . ხვრიპ. . . ხვრიპ. . . ეს რა რძითაა? რა უგემურია თან. . . ტფუ. . .

თათარი მსახური – მიირთვით თქვენო ბრწყინვალეზავ! გამოკეთდებით. . .

მიმამ გააგრძელა. . . ხვრიპ. . . ხვრიპ. . .

მიმა – მგონი მართლაც კარგია. . . რა ჰქვია ამას. . . აუფ რა კარგია. . .

მალემსრბოლი – ამას ხაში დაარქვეს თქვენო ბრწყინვალეზავ. . . მე რომ გეუბნებოდით ის არის. კერძი მასწავლეს მეთქი. . .

ისევ ხვრიპ. . . ხვრიპ.

ამ დროს დიდი მიწისძვრისაგან მიწა იძრა. სუყველა გარეთ გამოვარდა მეფის გარდა რომელიც ხაშის სიამოვნებით ხვრეპას შერჩა. ასე დაიღუპა ჩვენი ხვრეპია მეფე.

მან ხვრეპიას სახელი დატოვა საქართველოში, თუმცა ერთი კარგი საქმე კი გააკეთა მაინც ხაში ამის მერე გაიცნო მთელმა საქართველომ.

ჭირი მიმას, ლხინი აქა. . .

ქატო ვანოს, პური აქა. . .

(3)

- ეს არის რეპორტაჟი?! - შემომიბღვირა ტელეკომპანია „დრონი მეფობენ, არა - მეფენის“ საინფორმაციოს ხელმძღვანელმა და გაოცებულ-გაბრაზებულმა შემომხედა.

- რა არ მოგწონთ აქ, ბატონო? - გამიკვირდა მე.

- შენ ის თქვი, რა მომწონს - შხამიანი კალამბური შემომაფრქვია ხელმძღვანელმა და დაიწყო:

- რომ ამბობ, გზები დააგესო, მერე რა, გზებს მეც კი დავაგებ - დამსვი იქ და!.. რომ ამბობ, ჯარი გაძლიერდაო, ჯარს მეც კი გავაძლიერებ - დამსვი იქ და!.. რომ ამბობ, ელექტროენერგია 24-საათიანიაო, მეც კი ვიზამ მაგას - დამსვი იქ და!.. რომ ამბობ...

- პატივცემულო, უარყოფითი მხარეებიც მაქვს მოხსენიებული, - შევაპარე მე.

- ეგ კარგია, მაგრამ მეტი ცრემლი მინდა, მეტი უბედურება უნდა ჩანდეს, ტანჯვა მინდა, მეტი ტანჯვა! - გავიგე, ბატონო!

- თუ გაიგე, წადი ახლა, "ტანჯვა" მომიტანე! - მიბრძანა საინფორმაციოს ხელმძღვანელმა და "ტანჯვის" საძებნელად გამიშვა.

მეორე დღეს პირველ რეპორტაჟად გავიდა ჩემი სიუჟეტი "ტანჯვები", რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: ვაი, რა გვეშველება ჩვენ უბედურთ! ვიღუპებით, იქცევა ქვეყანა! მერე რა, რომ გზები

იგება და ჯარი მლიერდება?! ამას ხომ ჩემი საინფორმაციოს ხელმძღვანელიც შეძლებდა - დასვით იქ და... ვაი, ვაი, ვაი, ამას რას მოვესწართ!

სიუჟეტი საინფორმაციოს ხელმძღვანელს ისე მოეწონა, რომ გადამეხვია და ახალი თაობის გენიოსი მიწოდა. შევიფერე და მორიგი რეპორტაჟის მოსამზადებლად მოვემზადე. რეპორტაჟში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო იმაზე, რომ მალე საქართველოს ცეცხლის წვიმა მოევიწინებოდა და მხოლოდ საინფორმაციოს ხელმძღვანელი და მისი მდივანი ნანუკა გადარჩებოდნენ. ეს უკანასკნელიც იმ შემთხვევაში, თუ უკან არ მოიხედავდა. უკან მოხედვის შემთხვევაში, ნანუკა მარილის სვეტად გადაიქცეოდა.

მოულოდნელად ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ყურმილს დავწვდი. ტელეკომპანია „ვისაც ჩვენი მატარებლის ბილეთი არ აუღია, თავის თავს დააბრალოს“ საინფორმაციოს ხელმძღვანელი რეკავდა:

- ხელფასი რამდენი გაქვს? - შემეკითხა.

- 300 ლარი.

- ჩემთან იმუშავე და 310 გექნება! - დამკერა მან და ყურმილი დადო.

დავიკერე და მეორე დღეს ახალ სამსახურში გადავედი. საგულდაგულოდ მომზადებული რეპორტაჟი ჩემს ახალ საინფორმაციოს ხელმძღვანელს ვაჩვენე და შექების მოლოდინში გავყუჩდი.

ხელმძღვანელმა თავი დიდხანს აქნია, მერე ზომამზე მეტი ჟანგბადი გადაყლაპა და მითხრა:

- რას ჰგავს ეს?! რა უმუშევრობაა ქვეყანაში?! რა ტელეფონები ისმინებო?! სასამართლო

ხელისუფლება ფაქტობრივად არ არსებობს?! სხვათა შორის, სულ არ იყო ძველად სასამართლო, მაგრამ რა ვაჟკაცები გავზარდეთ: გიორგი სააკაძე, პაატა, ავთანდილი!..

- ავთანდილი ვინაა? - გამიკვირდა მე.

- გიორგი სააკაძის უფროსი ბიჭი, - ამიხსნა გიორგი სააკაძის გენეალოგიაში ჩახედულმა საინფორმაციოს ხელმძღვანელმა და ახალი სიუჟეტის მოსამზადებლად მიბიძგა.

სიუჟეტი მალევე მოვამზადე, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: "როგორც იქნა, ამოვიდა მზე ბედნიერების, გვიხარია, ბედნიერი ერი ვართ, რა კარგია ცხოვრება, სასამართლო რად გვინდა? სულ არ ჰქონდა გიორგი სააკაძეს სასამართლო, მაგრამ რა ვაჟკაცები გამოზარდა! ისეთი კმაყოფილები ვართ, რა ვქნათ, არ ვიცით".

საინფორმაციოს ხელმძღვანელს რეპორტაჟის ნახვისას, სიხარულისგან მიკრო და მიოკარდის ინფარქტებს შორის რომ ინფარქტია, ის დაემართა. საავადმყოფოდან მობრუნებული კი გადამეხვია, ო, რა კაიაო, მითხრა და პრემიაც მომცა და ჩემი სიუჟეტი მსოფლიოს სატელევიზიო ოქროს ფონდში შეტანის ღირსადაც მიიჩნია. მეც გავემზადე ჩემი სიუჟეტის მსოფლიოს ოქროს ფონდში შესატანად, მაგრამ ამ დროს ისევ ტელეკომპანია „დრონი მეფობენ, არა - მეფენის“ საინფორმაციოს ხელმძღვანელმა დამირეკა და... და მოდი, მე ნუღარ მაწერინებთ, ამას სჯობს, ეს ფელეტონი წაიკითხოთ თავიდან... რამდენჯერმე...

(ზ. გურული „ტანჯვიდან ოკაიამდე“, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 30.11. 2009)

(4)

დედა როგორ ხარ, ძალიან მომენატრე... ხუნხუა, სინგი, ტუნგი, ლიო, სეენდი, დაოლი, კიმი და ოჯახის სხვა წევრებიც მენატრებიან. რომ ჩამოვალ, ისეთ ნასკებს და საცვლებს ჩამოვუტან, ათჯერ შეუძლიათ ჩაიცვან და არ დაიხვე... ეხლა დამის 11 საათია. ჩემს მეზობლად მოხუცი კაცი გარდაიცვალა, ქელეხია და მთვრალი ჭირისუფლები მღერიან. მაინც არ მაძინებენ და გადავწყვიტე წერილი მოგწეროთ

მე არამიშავს, კარგად ვარ. ერთ-ერთ უბანში თხუთმეტი კვადრატული მეტრი ოთახი ვიქირავებ და ეხლა ერთად ვცხოვრობთ მე, ლუსი, ლიანგი, ტენგი, ჩანგი, დინი, ხაი შანგი, ვონგი, და სანგი.

წამოსვლამდე, რაც ქართველების სტუმართმოყვარეობაზე გამეგო, ყველაფერი პირიქით ყოფილა: ქუჩაში სულ ბრიუს ლის მეძახიან. ბავშვები მეკითებიან შენ მოერევი, თუ რემბოვო. ჩვენს დადგმულ დახლს, რომლის აწყობას მთელ დილას ვანდომებთ, მოვლენ და ხუთ წუთში გვაშლევინებინებენ; ერთმანეთზე გაბრაზებულები მე მირტყამენ. შენი და მამას დამზადებული იტალიური ფეხსაცმელები კარგად იყიდება. უფრო კარგად რო გაიყიდოს, ვამბობ: „მოპარულია“ – რაღაც ჯადსნური სიტყვაა ალბათ.

ჩვენი სახლის დიასახლისიც დაბალი და ღარიბია, ჩვენი კარგად ესმის. თვითონ ქვეყანა ძალიან პატარაა და ცოტა ხალხი ცხოვრობს. დაახლოებით იმდენი, რამდენიც ჩვენს სოფელში. უცნაური ხალხია. მაგალითად ერთი კვირის წინ ვნახე როგორ მოკლა ცემით ერთმა ბიჭმა მეორე დედის შეგინებისთვის და შემდეგ როგორ ყვებოდა ამ ამბავს და თან თავის საკუთარ დედას აგინებდა. ვნახე, როგორ სვამდა ერთი კაცი ორ ლიტრიანი სასმისით და თითებში სიგარეტით ჯანმრთელობის სადღეგრძელოს; ვნახე ბანანების გამყიდველი რომელსაც ბანანი არასოდეს უჭამია, იმიტომ, რომ ძვირი ღირს; ვნახე ყურძნის არაყი, რომელიც ბაზრობაზე ერთი ჭიქა ათი ცენტი ღირს და ზუსტად იგივე არაყი კაფეში – ათი დოლარი; აქ ძალიან ღარიბები და გაჭირვებულებიც, კი მსუქნები არიან; ჩვენ ჩუსტებს, კეტებს და წებოს აქ სხვანაირად აფასებენ – ძვირი ღირს.

არ მესმის, რატომ იტანჯავენ თავს შიმშილით, როცა ამდენი უპატრონო ძალი დარბის ქუჩაში. ჩემს უბანში თხუთმეტი უპატრონო ძალი ცხოვრობდა. მაგრამ ამ ბოლო დროს ვაჭრობა ცუდად მიმდის და ექვსილა დამრჩა. უკვე აცივდა და ბუზებიც აღარ იშოვება. იმ დღეს ბაყაყით სადილის მომზადება მინდოდა, მაგრამ აქაურებმა არ დამაკვლევინეს – „წვიმა მოვაო.“

ქართული უკვე კარგად ვისწავლე. ლაპარაკი ცოტა მიჭირს, მაგრამ ყველაფერი კარგად მესმის, რასაც მეუბნებიან. ძირითადად მაგინებენ, ხოლმე, მაგრამ აღარ მწყინს. აქ ყველა ერთმანეთს აგინებს. ტყუილი უყვართ ძალიან. ყველა ცდილობს მოგატყუოს. თავიდან ესეც მწყინდა, მაგრამ აქ ყველა ერთმანეთს ატყუებს და აღარ მწყინს. ნაცნობი ბევრი არ მყავს, მაგრამ ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ვერ ვარჩევ ხოლმე, რომელი რომელია – ყველას მრგვალი თვალები აქვს.

სადაც ვცხოვრობთ, ამ ქალაქს თბილისი ჰქვია და აღმოსავლეთის, ანუ აეროპორტის მხრიდან ძალიან ლამაზია. შუაში მდინარე ჩამოედის, რომელშიც ნაგავს ყრიან და თავს იხრჩობენ.

დიასახლისმა ჩვენი ოთახიდან მაცივარი გაიტანა. შეგიძლია ხუნხუაც გამოუშვა, ისიც დაეტევა. აქ რომ ჩამოვა, სანამ მიპოვის, ფრთხილად იყოს. ამათ, როცა მთვრალეები არიან, ჩხუბი იციან, თუმცა ფხიზლები არაფერს დაგიშავებენ, მარტო შეგაგინებენ და მორჩა. ვაგზლის ბაზრობა იკითხოს და ადვილად მომაგნებს. ეს არის სულ დედა მერე კიდევ მოგწერ, როცა დრო მექნება.

(ანონიმი ავტორი)

(5) "მე ვხედავ ლარს" (ნოდარ დუმბაძისეულად)

მთავრობის სხდომა ხადურის გარეშე მდორედ მიმდინარეობდა. უცებ კარს გარედან რაღაც მძიმე მოხვდა, ორივე კარი ლაწანით გაიღო და ოთახში მხარზე ვეებერთელა ჩანთაგადაკიდებული ნოდარი შემოვარდა. იგი ძლივს იდგა ფეხზე. ისეთი მთვრალი იყო, თავის ადგილს ძლივს მიაგნო, ხელებით დაეყრდნო მაგიდას და ირგვლივ თვალი მოავლო.

- ვერ მისწორებთ, ხომ, თვალს? - იკითხა ენის ბორძიკით.
- გამარჯობა შენი, ხადურო! - მიესალმა სპორტის მინისტრი.
- პრემიერი სადაა? - ჰკითხა მან გვერდით მჯდომ გომელაურს.
- მე ვარ პრემიერი, ნოდარ, ვერ მიცანი? - უთხრა ღარიბაშვილმა და მხარზე ხელი დაარტყა.
- ირაკლი ხარ შენი? კი გიცანი, შენ არ დამტოვე ფინანსთა მინისტრად?
- კი, მე დაგტოვე! - გაუცინა პრემიერმა.
- ჰოდა, გახსენი მაშინ სხდომა და მომეცი სიტყვა.
- სიტყვა კი არა, გადაასხით თავზე ეგ კოკა-კოლა, გამოფხიზლდეს იქნებ, სად ჩასკდი, შე

სასიკვდილე? - გაუჯავრდა განათლების მინისტრი.

- გელაპარაკებით, მომეცით სიტყვა! - მიუბრუნდა ხადური ღარიბაშვილს.

- მე თუ მალაპარაკეთ, მაგიც ალაპარაკეთ, ჩემი ჭკუისაა ახლა მაგი, - თქვა სხდომაზე სტუმრად მოწვეულმა ჯაჭვლიანმა.

- თქვი, ნოდარ, - უთხრა ღარიბაშვილმა და მინისტრებს ანიშნა, გაჩუმდითო.

- ვინ გააუფასურა ლარი?! - იკითხა ხადურმა. ყველა გაშტერდა. - მე თქვენ გელაპარაკებით, ვინ გააუფასურა ლარი?!

- ლარი დოლარმა გააუფასურა, ნოდარ, რავა, ჩვენ ხომ არ გვაბრალებ? - გაუბედა ვიდაცამ.

- ტყუილია მაგი, დოლარს არ გაუუფასურებია!

- მაშინ, საგარეო ფაქტორებმა! - თქვა ერთ-ერთმა მინისტრმა.

- არა!

- არც ინვესტიციების კლებამ?

- არა!.. მე გავაუფასურე ლარი!!!

- სხვა რამე დაიბრალებ, შე უბედურო, მიჯირყვანა მაგაზე, - უთხრა იუსტიციის მინისტრმა.

დარბაზში ხარხარი ატყდა. ხადურმა ხალხს დაწყნარება აცალა და განაგრძო:

- კახაია კალაძე, ადექი, თუ ხარ სხდომაზე...

- აგერ ვარ, ნოდარა, არ მითხრა რამე უბედურება, არ დამღუპო, - წამოიძახა კახამ და წვერი კიდევ უფრო გაუთეთრდა.

- ვინ შეგხვდა პირველად კანცელარიის ფოიეში და ვინ იყო ის კაცი, რომელმაც გითხრა, დაეცა ლარის კურსიო, თქვი, ვინ იყო?..

- რა შენი ბრალია, დალოცვილო, ვიდაცას ხომ უნდა ეთქვა? - შეიბრალა კახამ.

- დაჯექი, კახაია... გიორგია კვირიკაშვილო, ვინ პირზე მიწადასაყრელმა გითხრა პირველად, 2-ს გადასცდა უკვე კურსიო და ვინ დააქცია ჩვენი რეიტინგი? თქვით, თქვე ღვთის პირიდან გადავარდნილებო, ვინ გამოგიგზავნათ მეილზე წერილები, 2-სა და 15-ზე ვერ შევაჩერეთ კურსიო?! - ნოდარს ხმა აუკანკალდა. მინისტრებს სუნთქვა შეეკრათ. ჰაერი გახურდა.

- რად მინდა მე თქვენი მოღუშული სახეების ყურება? - განაგრძო ხადურმა. - რად მინდა მე სოზარის აყროლებული არაყი? რად მინდა ცხოვრება, თუ კოლეგებს ჩემი დანახვის ეშინიათ? არ მინდა მინისტრობა!!! არ მინდა... გეყურებათ თქვენ? ღმერთი არ გწამს, ღარიბაშვილო? მეც მაქ ბანკიდან სესხი აღებული დოლარში, არ გეცოდებით, ხალხო? შენ მაინც არ გეცოდები? - თქვა და ზევით ადაპყრო თვალები. - გეყურება, შენ? ჩამოდი ფეხად და შენ თვითონ აუხსენი ამ ხალხს ყველაფერი, შენ მოქალაქე ხარ და ყველაფერს გაუძლებ... მე მინისტრი ვარ, მინისტრი და მეტი აღარ შემიძლია, - საცოდავად ამოილულულა, ღარიბაშვილს შეხედა და განაგრძო: -

აგერ არის ეს გაუფასურებული ლარი, ბატონო, და შენ თვითონ დაარიგე პენსიები და ხელფასები, მე რას მათრევიანებთ ამხელა ცოდვას! - ამოიგმინა და ჩანთა ძირს დაანარცხა, საიდანაც უამრავი ხუთლარიანი და ათლარიანი გადმოცვივდა.

ნოდარი ერთხანს მდუმარედ იდგა, მერე მაგიდაზე დაემხო და ბავშვივით ამოუჯდა გული. მეგონა, მთელი დარბაზი ადგილს მოსწყდებოდა და ძირს დაყრილ ლარებს მისცვივდებოდა, მაგრამ მოხდა გასაოცარი ამბავი: მინისტრები ჩუმად ადგნენ და როგორც გასვენებაზე, ისე, თითო-თითომ მორიდებით ჩაუარა მაგიდაზე დამხობილ ხადურსა და ლარების გროვას.

ნამჩვენადე/კორმაძე (გაზეთი „კვირის პალიტრა“, 02-03-2015).

(6) ლარის დატირება

ბანკის მევალები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, და მთელი ქართველი ხალხი იუწყებიან, რომ სამთვიანი წვალების შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა ეროვნული ვალუტა ლარი. გამოსვენება ეროვნული ბანკის შენობიდან.

ჯერ მხოლოდ 20 წლის იყავი, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. ბევრი ქარტეხილი გამოიარე, გაუძელი შევარდნადის კორუფციას, სააკაშვილის ტერორს, რას ვიფიქრებდით, თავისუფლად მსუნთქავი ბიზნესი თუ შეგიწირავდა. არადა, ამბობდნენ, ჯანსაღადაა, ადეკვატურიაო, ეჰ... როგორ გვენანები! ნამდვილად არ ველოდით, ხალხი ამბობდა, გუშინ ვნახეთ, პურს ყიდულობდაო, მეორე დღით კი ასანთიც ვედარ იყიდაო. თუმცა, უმადური არ უნდა იყო. რა არ გააკეთეს შენს გადასარჩენად - ეკონომიკური ზრდა შეაჩერეს, პრემიები აკრძალეს, ხადური შენს გამო დიეტაზეც კი გადავიდა, მაგრამ როგორც ამბობენ, ის ოხერი დოლარი რომ მოგიკაკუნებს, დამთავრებულია ყველაფერი. `ნაციონალები ქირქილებენ, იტანჯებოდა საწყალი და დაისვენაო. შენ კი დაისვენე, ჩვენო ლარო, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ვინც აქ დაგვტოვე ბანკის მევალებად? ამიტომ გთხოვთ მთელი ერი, ან ჩვენც წაგვიყვანე, ან ადექი და გამაგრდი, ბიჭო!!!

რამდენი რამ ვერ მოასწარი, მთავრობის რამდენი დაპირება გქონდა შესასრულებელი, ხელფასები და პენსიები - გასაზრდელი... გუშინ დოლარი იყო სამიმარზე მოსული, რა პერსპექტიული ახალგაზრდა იყო, ცრემლიანი თვალებით თქვა და - დაკრძალვის ხარჯებს ჩემზე ვიღებო, დაამატა. ოქროს გული აქვს, მაგრამ რაღას გიშველის ეგ! გახსოვს, 1.7 რომ გახდი, ყველა გეუბნებოდა, ნუ ეხუმრები მაგას, მიაქციე ყურადღებაო, მაგრამ არ დაიჯერე, მე რა მომკლავს, ძალი ვარო, იცინოდი და, აჰა... ისიც გვახსოვს, ახალი მთავრობა რომ მოვიდა, როგორ გიხაროდა, ბრუნვას მომიმატებენო, გამამყარებენო, ჩემს საკუთარ სიმბოლოს შემიქმნიანო. მართლაც შეგიქმნეს ნიშანი, სიხარულით დაფრინავდი იმ დღეს, მაგრამ ვაი, რომ ბოლო სიხარული იყო შენთვის. მომაკვდავმა სიკვდილის წინ მოხედვა იცისო, ისე დაგემართა.

მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო. მსუბუქი ყოფილიყოს ხადურის მოყრილი მიწა. ჩვენ კი გპირდებით, რომ არასოდეს დაგივიწყებთ, თუ ცოცხლები დავრჩით, რადგან შენ გარეშე როგორ უნდა ვიცოცხლოთ, ჯერ ვერც მთავრობა გვეუბნება და ჩვენ, მით უმეტეს, არ ვიცით. იძინე მშვიდად, გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ იქ კუპონი დაგხვდება და ყურადღებას არ მოგაკლებს...

ნამჩვენაძე/კორძაძე (გაზეთი „კვირის პალიტრა“, 23-02-2015).

(7) "გამპრავებლები"

- ისევ უმუშევარი ხარ ხო, შე საწყალო? - დამინახა თუ არა, შესძახა ჩემმა მეგობარმა, მერე ჩემს ტოტალიზატორის წაგებულ ბილეთს დააცქერდა და მკითხა, - არ გინდა სამუშაო?

სამუშაო როგორ არ მინდოდა, მაგრამ დიდი ხელფასი რომ მომეთხოვა, ძალიან დაფასებული სახე მივიღე (ძმაკაცმა მასწავლა, ასე ქენიო) და ვთქვი:

- გააჩნია სამუშაოს.

მეგობარი ემშაობას მიმიხვდა (საუბედუროდ, ის ძმაკაცი საერთო გვყავდა). ხელმკლავი გამომდო და მანქანაში ჩამსვა.

მეც მივხვდი, რომ მეგობარი მიმიხვდა და ვიკითხე:

კარგი, რა სამუშაოა ასეთი?

- ხელფასი მაღალი გექნება, მაგრამ.....

- რა, მაგრამ? - შეემშინდა მე.

- მაგრამ ნამუსი უნდა გადადო დროებით გვერდზე.

შევეყმანდი, თუმცა გამახსენდა, რომ მხოლოდ ერთი ლარი მედო ჯიბეში და დავთანხმდი. სამუშაო კი ასეთი იყო: ერთ-ერთ ოფისში, უცნაური სახელით "არლამენტი", კლიენტებისთვის უნდა გაგვეწია დახმარება. ჩემი მეგობრის გარდა ოფისში კიდევ ერთი თანამშრომელი მუშაობდა.

მაღე გამოჩნდა პირველი კლიენტიც, რომელიც ცოლს სახლიდან გამოეგდო.

- რატომ გამოგადგო? - ვკითხე მე.

- საყვარელი მყავდა სახლში... ცოლი წასული იყო, მაგრამ მოულოდნელად დაბრუნდა და ლოგინში წაგვადგა თავს, მიშველეთ რამე.

- ნუ გეშინია, - გაამხნევა ჩემმა მეგობარმა, - მოვიფიქრებთ რამეს.

კლიენტი წავიდა, ჩვენ კი კრეატიული თათბირი გავმართეთ.

- მოდი, ვთქვათ, რომ ქალი ძალიან მახინჯი იყო, - თქვა ჩვენი ოფისის მეორე თანამშრომელმა.

- მერე? - დავინტერესდი მე.

- მერე, ვითომ აყაჩაღებდა და ეუბნებოდა, ჩქარა, მითხარი, ფული სად გაქვსო?

- მერე? - ახლა ჩემი მეგობარი დაინტერესდა.

- მერე ვითომ ამან არ თქვა, მახინჯმა ქალმა კი გაუპატიურება დაუწყო, სწორედ ამ დროს დაბრუნდა ცოლიც.

იდეა ბრწყინვალე იყო, სასწრაფოდ დავურეკეთ კლიენტს და ავუხსენით, რა უნდა ეთქვა ცოლისთვის. მოვლენები ძალიან კარგად განვითარდა - ცოლი შეურიგდა ქმარს, ხოლო საყვარელი ციხეში ჩასვეს გაუპატიურების მუხლით. ოფისის საქმეები ნელ-ნელა ეწყობოდა, კლიენტი უამრავი გვყავდა. ერთ დღესაც მერიის თანამშრომელი მოგვადგა და გვთხოვა:

- ბიჭებო, დენის გადასახადს ნაგავი უნდა მივაბათ და აბა, თქვენ იცით, ისეთი რამე მოიფიქრეთ, რომ ეს გავაპრავოთ. ხომ იცით, ფულზე გულს არ დაგწყვეტო.

ურთულესი საქმე იყო, მაგრამ სიმნელეს არ შევუშინდით და ფიქრი დავიწყეთ:

- "მტერი ორმოც კილომეტრშია" - არ გამოგვადგება? - ვიკითხე მე.

- არა, არ გამოგვადგება, - იუარა ჩემმა მეგობარმა.

- "თუ არ გადავიხდით, რუსეთის წისკვილზე დავასხამთ წყალს"? - აზრი გამოთქვა მეორე თანამშრომელმა.

- არც ეს, - ფიქრიანად უპასუხა ჩემმა მეგობარმა, - რაღაც ახალი გვინდა.
 - მომაფიქრდა, - დავიყვირე მე, - ვთქვათ, ვითომ ეს ისეთი კანონია, ღარიბებს გადასახადი ცოტა მოუწევს და მდიდრებს - ბევრი, რაც სოციალურ თანასწორობას დაამყარებს. როგორია?
 - ცუდი არაა, - გაუხარდა მეგობარს, - თანაც დავამატოთ, რომ სამაგიეროდ ქალაქი სუფთა იქნება და მოქალაქეების სიხარულს საზღვარი არ ექნება.
 - კი მაგრამ, - ეჭვიანად იკითხა მეორე თანამშრომელმა, - ხუთ- ექვსჯერ მეტი გადასახადი რომ მიუვა მოსახლეობას?
 - ეგ არაფერი, - ვთქვი მე, - ასეთ ხალხს ავუხსნით, რომ რადგან ბევრი გადასახადი მოუვიდათ, ესე იგი მდიდრები ყოფილან და საწუწუნოდ კი არა, სასიხარულოდ ჰქონიათ საქმე.
 - გადაწყვეტილია, ბრწყინვალე იდეაა! - შესძახა გახარებულმა ჩემმა მეგობარმა და მერიაში დარეკა. მერიაში ჩვენი პროექტი მოიწონეს და დანაპირებზე მეტი ფული მოგვცეს, თან დაგვპირდნენ, თქვენთან კიდევ უამრავი საქმე გვექნება და აბა, თქვენ იცითო. ნელ-ნელა პოპულარულები ვხდებოდით. უკვე საოჯახო წვრილმან საქმეებს არ ვიღებდით, მერიიდან უამრავი საქმე შემოდიოდა. ჩვენდა სასიხარულოდ, პარლამენტმაც ისეთი კანონების მიღება დაიწყო, რომ პარლამენტარები ჩვენს ოფისში უფრო მეტ დროს ატარებდნენ, ვიდრე პარლამენტში. მოკლედ, ფული თავზე საყრელად გვექონდა და რეგიონებში ფილიალებიც კი გავხსენით. ერთ დღეს ნიღბიანი კაცი მოგვადგა და უფროსი იკითხა:
 - მე ვარ, - მიუგო, ცოტა არ იყოს, შემინებულმა ჩემმა მეგობარმა.
 - თუ შეიძლება, გვერდზე გავიდეთ, - უთხრა ჩვენმა უცნაურმა სტუმარმა. მე ყურები დავცქვიტე და რამდენიმე წინადადება გავარჩიე კიდევ.
 - დიახ, მესმის, - თავს უკანტურებდა ჩემი მეგობარი.
 - პარლამენტარად გახვალ, ყველაფერი გექნება, რაც გინდა, ოფისსაც ლობიერებას გაუწევ, - ეუბნებოდა ნიღბოსანი.
- მერე ხმა უფრო დაიდაბლა და აღარაფერი მესმოდა. თუმცა საუბრის დასასრულს მხოლოდ ერთი წინადადება გავარჩიე:
- ხომ გესმის, მისი პირველ პირად დარჩენა ძალიან დემოკრატიული უნდა ჩანდეს არა მარტო ქართველი ხალხისთვის, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობისთვისაც. აბა, შენ იცი.

18-07-2011

(8)

როგორც მოსალოდნელი იყო, ნინო ბურჯანაძეს პოლიტიკური ცომი საბოლოოდ ჩაუვარდა. ეტყობა, საფუარი ისეთივე იყო, როგორც თავის დროზე მამამისის მიერ შემოტანილი ფქვილი. ყველაფერი სცადა ანზორის ასულმა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს წიწიბურაც გაუგზავნეს – ცომში გაურიეო, მაგრამ არაო, ეგ ინგრედიენტი ცომს ამიმყარალებსო, ისედაც ნაგავში ვარო (სირცხვილი დასუფთავების სამსახურს!) და ფეკალიები, თუნდაც პარიზული იყოს, არ მინდაო.

ანალიზს თუ გავაკეთებთ, რჩება შთაბეჭდილება, რომ “სახალხო კრების” ხელმძღვანელობა მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში ჭარბად იყო დაკავებული ჯეკი ჩანის და კუნ-ფუზე ფილმების ყურებით. აბა სხვანაირად როგორ აიხსნება ამდენი “მთვრალი ოსტატის” (“პიანი მასტერ”) მობილიზება. ამ მოსაზრებას ის ვიდეოკადრებიც ამყარებს, სადაც ნათლად მოჩანს ბადრი ბიწაძის მთვრალი ოსტატობა, როცა ჟურნალისტს საქმეს ურჩევს. აქვე გეტყვით, რომ სანდო წყაროს ცნობით,

ბინამე “მაიმუნის სკოლის” ილეთებსაც ფლობს. თუმცა, ამას სანდო წყარო რად უნდა, ისედაც ნათლად ჩანს.

საინტერესოა ისიც, რომ “კრებამ” საკუთარი დროშები სანტექნიკურ მიღებს ჩამოაცვა და ეს არ იყო შემთხვევითი. “სახალხო კრების” შიდა კულუარებიდან მიღებული ინფორმაციით, ეს იყო რუსეთისთვის და რუსეთუმეებისთვის შეფარულად გაგზავნილი სამოკავშირეო მესიჯი, რომელიც ასე იმიფრება: სანტექნიკა-კანალიზაცია-ფეკალიები. ბუნებრივია, რომ მესიჯს მისვე გამოეხმაურა ოქრუაშვილის პარტია და აქციაზე დესპანები გაგზავნა, თუმცა ბურჯანაძემ, როგორც ზემოთ ითქვა, ჩემი ნაგავიც მეყოფაო.

მოკლედ რომ ითქვას, კრება დარჩა მხიარული, ოქრო ფეკალწამდარი, წიწიბურა დაობებული, სოხარი გამოსოხარებული. და ერასტი? რითმის მიხედვით მიხვდებით.

ბოლოს კი, როგორც 90-იან წლებში “რეაქტიული კლუბი” იტყოდა – “რასაც გასცემ შენია, რას არა - მამაშენია”. გამგები გაიგებს.

(თ. ტაბატაძე, „ნინოც ჩაო, ბადრიც ჩაო, „ოქროც ჩაო! ...“, presa.ge 24.05.2011)

(9)

მას დროის დინება მის ფერხთა ქვეშ გაყინულად ეჩვენება, სადაც როგორც ინებებს ისე იციგურავებს. ის ქვეყანასა და მის ხალხს კი არა, ქვეყნის ზედხედს იცნობს მხოლოდ – ვინაიდან სულ ზემოდან უყურებდა ქვეყნიერებას – პარტიული ნომენკლატურის ღვიძლ შვილს არც წარმოუდგენია სხვაგვარი ხედი თუ აქვს ქვეყანას. პოზიციებს იცვლის მარაოსავით. როგორც კი დაინახავს რომ პოზიცია ხელში შემოაცვდა და ველარ უნიავებს, მოისვრის და ახალს იღებს. შიგადაშიგ მარგალიტებსაც შეათამაშებს.

მას ნინო ბურჯანაძე ჰქვია. მას ერთმა ჟურნალისტმა ჯერ კიდევ მაშინ უწოდა პოლიტიკური ბარბი, როცა ქვეყანს ის ყველაზე საიმედო პოლიტიკოსად ესახებოდა.

მისი კარიერა დაბადებიდანვე დაიწყო – რაიკომის მდივნის ასული იყო. განათლება არ დაუკლიათ, ასწავლეს რუსული, ინგლისური, მაგრამ ქართულ ლექსიკონს მაინც ვერაფერი მოუხერხა, მეტად ღარიბი არს ლექსიკა მისი.

დაამთავრა აქ უნივერსიტეტი, მერე მამამ მოსკოვში „წაილო“ ასპირანტურაში. დისერტაციაც დაიცვა საზღვაო სამართალში. თბილისში 1991 წელს დაბრუნდა და მუშაობა უნივერსიტეტში დაიწყო დოცენტად, პარალელურად გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტი იყო, მერე კი როცა ზვიადი დაამხეს და ქვეყნის სადავეები მამის ძმადნაფიცმა შევარდნაძემ აიღო, ნინიკომ პარლამენტში დაიწყო ექსპერტ-კონსულტანტობა. 1995 წელს კი მოქვეყნირის ისაშიც ჩასვეს. ანზორ ბურჯანაძე სადღაც, ინტერვიუში წერდა რომ მას ზურაბ ჟვანია სთავაზობდა სიაში ჩასმას, ანზორი უარობდა, მერე ჟვანიამ ქალიშვილის სიაში ჩასმა შესთავაზა. სხვანი ამბობენ რომ ჟვანიამ ამ მანევრით მაშინ შევარდნაძის გულის მოგება სცადა, კიდევ სხვანი კი იმას რომ იქით ნამეტნავად გამდიდრებული ბურჯანაძეები ცდილობდნენ პოლიტიკაში დამკვიდრებას.

ქალბატონ ბურჯანაძეს დიდებისკენ გზა მამის ფულმა და შევარდნაძის ფაქტორმა გაუკავა, თორემ მაგის საზღვაო სამართლის ცოდნა რომ არავის ეხურმ-ეჩირ-ეჩურჩხელებოდა ფაქტია.

სწორედ მაშინ, იმ წლებში გადაიკვეთა პირველად მისი და სააკაშვილის გზები. სააკაშვილი იურიდიული კომიტეტის თავჯდომარე იყო, ბურჯანაძე – მისი მოადგილე. 1998 წელს, სააკაშვილი რომ მოქვეყნირის ფრაქციის თავჯდომარე გახდა, ნინომ გამონთავისუფლებული სავარძელი დაიკავა. ახლაც ამის იმედი აქვს რომ მიხეილის სკამს დაიკავებს, ხვდება რომ მიხეილი ნებით არ თმობს და ეჯიკავება, დამსვიო. საერთოდ უყვარს გამონთავისუფლებული სავარძლების დაკავება.

1999 წელს ისევ მოქცავშირის სიით გადაეპუტა, 2001 წელს კი, როცა ზურაბ ჟვანიამ პოსტი დათმო, ის პარლამენტის თავჯდომარედ მოგვევლინა. მისი გასპიკერება აკაკი ასათიანის ინიციატივა იყო. ბურჯანაძეზე ფსონი დასდო თვით ჟვანიამაც, ვაჟა ლორთქიფანიძის კანდიდატურას ჟვანიამ შევარდნაძისთვის მისაღები ბურჯანაძის კანდიდატურა დაუპირისპირა.

